ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. რეგულარული ნომერი გამოდის ყოველი თვის 23 რიცხვში.
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №5 (2015) 25.09.2005 • ფასი 50 თეთრი

ბრძენის ს

აზერბაიჯანი შეტევაზე მოდის
(ანალიზი ალტერნატიული პოლიტიკის კუთხით)

საქართველოს ყველა გაზეთი და ყველა ქართველი კალმოსანი ბედნიერი იქნება, რომ არც ამ სიტყვების დაწერა და არც ამ კითხვის დასმა არ სჭირდებოდეს. მაგრამ სინამდვილე ულმობელია და ეს მწარე ჭეშმარიტება ვერ დამალავს თავის თავს. ის მოწოლა საქართველოზე აღმოსავლეთიდან, რომელზეც აქ საუბარი გვაქვს, უკვე ათიოდე საუკუნის მანძილზე არსებობს. იგი ისტორიული, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფაქტია და მისი უგულებელყოფა, გნებავთ — ხელისუფალთა მხრიდან, გნებავთ — საზოგადოების მხრიდან კარგს არაფერს მოიტანს.

„აზერბაიჯანი" („ადარბადაგანი") ტერიტორიის (მიწაწყლის) სახელია ისტორიულად და არა ქვეყნის ან სახელმწიფოსი. ეს „ადარბადაგანი" ცოტა სამხრეთით მდებარეობდა. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას ერქვა „შირვანი", „რანი", „მუღანი" და სხვა.ამ ტერიტორიის მოსახლეობას ადრე შუა საუკუნეებში შეადგენდნენ სხვადასხვა ხალხები, რომელთაც „ალბანელების" სახელით აერთიანებდნენ და რომელნიც, — როგორც ეს მიჩნეულია დღეს, ძირითადად, მეცნიერებაში, — კავკასიური მოდგმისანი და კავკასიური ოჯახის ენათა მატარებელნი იყვნენ. მათი ერთი ძალიან მცირე ნაწილიღა შემორჩენილია „უდებად" წოდებული ხალხის სახით, რომლის ორი სოფელი დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაშია მოქცეული, ორიც საქართელოშია ჩამოსახლებული. თურქების მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობისა და დემოგრაფიული ათვისების პროცესში (X-XII სს) არაბთა და სხვათა მიერ უკვე დიდად დაზარალებული ალბანელი მოსახლეობა შეერია თურქებს, ენა დაკარგა, გამუსულმანდა და გათურქდა. რუსები აქაურ მოსახლეობას XIX საუკუნიდან უწოდებენ **тюрки** (თურქებს კი **турки**), მათ სამოსახლოს კი რუსულ იმპერიულ ნომენკლატურაში არანაირი საერთო სახელი არ ჰქონდა, მის შემადგენელ გუბერნიათა სახელების გარდა. მხოლოდ 1917 წლის რევოლუციების შემდეგ შემოვიდა ამ ტერიტორიისათვის სახელმწიფოებრივ სახელად — ანუ სახელმწიფოს სახელად — „აზერბაიჯანი". გასაბჭოების შემდეგ (1920წ) საბჭოთა რუსეთმა, — რა თქმა უნდა, მკაცრი რეპრესიების ფონზე, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, შემდეგში საქართველოში გატარებულთან შედარებით ძალიან რბილი იყო, — ყოველნაირად მოეფერა ამ ახალ რესპუბლიკას, რომელიც ერთადერთი მაჰმადიანური იყო გასაბჭოებულ ტერიტორიებს შორის. სხვა შეღავათებსა და საჩუქრებთან ერთად რუსეთმა „უფეშქაშა" მას ქართული მიწაწყალი აღმოსავლეთ კახეთის, დღეს „საინგილოდ" წოდებულის, ჩათვლით (აზერბაიჯანის ზაქათალის, ბელაქნის და კახის რაიონები). ამ „სიუხვეს" ორი მიზანი ჰქონდა: ერთი იყო აყვავებული და მეზობლის ხარჯზე გაზრდილი „აზერბაიჯანის" გამოყენება მუსლიმანური ქვეყნების თვალში საბჭოეთის საპროპაგანდოდ, მეორე იყო ამიერკავკასიაში არსებული სამი ელემენტის — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს — ნიველირება-გათანაბრება, რისთვისაც აუცილებელი იყო იმ დროს შედარებით პოტენციური საქართველოს ჩამოქვეითება კადრების და ტერიტორიების მხრივ. (კადრების რაოდენობისა და ხარისხის ჩამოქვეითებას ემსახურებოდა ხვრეტა, დაპატიმრება, გასახლება და ა.შ.). გარდა საინგილოსი აზერბაიჯანს დარჩა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი რკინიგზის გაყოლებით, რომელიც სამ სადგურს მოიცავდა (ძმობა-კუხეთის ზონა). ახალ ქვეყანასა და სახელმწიფოს რუსებმა უბოძეს ლათინურ ანბანზე დამყარებული ეროვნული ანბანი და ეროვნების სახელად „აზერბაიჯანელი" დაარქვეს ნაცვლად **тюрок**-ისა. ლათინური ანბანი აზერბაიჯანულ ენას (რომელიც თურქულის თითქმის იგივეობრივია) დარჩა მანამდე, სანამ სსრკ-ს თურქეთთან ურთიერთობა არ გაუფუჭდა (1938 წელს), შემდეგ გადააგდეს ლათინური ანბანი (რომელიც რამდენიმე წლით ადრე დაწესებული იყო თურქეთში არაბულის ნაცვლად) და აზერბაიჯანული დამწერლობა რუსულ ანბანზე გადაიყვანეს. დღეს აზერბაიჯანელები ოფიციალურად თავს თვლიან ალბანელთა შთამომავლებადაც და თურქულმოდგმოვან (turkic. თურქულს ინგლისურად ეწოდება turkish) ხალხად (რაც, რა თქმა უნდა, ლოგიკური წინააღმდეგობაა) და როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული ორიენტაცია მთლიანად თურქეთზე აქვთ აღებული (ადრე მათთვის კულტურულად უფრო პრესტიჟული იყო ირანი. აზერბაიჯანის მუსლიმანი მოსახლეობის ერთი მესამედი შიიტია, ისევე როგორც ირანელები, ორი მესამედი სუნიტია თურქეთივით). დღეს პოპულარულია ფორმულა, რომელსაც ჰეიდარ ალიევი სიამოვნებით ახმოვანებდა: „ბირ მილლეთ, იკი დევლეთ" („ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო", რაც ნიშნავს „ჩვენ და თურქები ერთი ხალხი ვართ, მაგრამ ორი სახელმწიფო გვაქვსო"), თუმცა სინამდვილეში თურქულმოდგმოვანი და თურქული ენის სხვადასხვა ნაირსახეობებზე — თურქულმდგმოვან turkic ენებზე — მოლაპარაკე სახელმწიფო ორი კი არაა, არამედ მრავლადაა (სახელდობრ, შუა აზიის სახელმწიფოები გარდა თაჯიკეთისა, და რუსეთის არაერთი ავტონომია).

ბოსნია — ევროკავშირის ყველაზე დიდი სამხედრო ოპერაცია ისტორიაში

საინგილო ანუ ისტორიული აღმოსავლეთი კახეთი 4500 კვ. კილომეტრია, ძმობა-კუხეთის ზონა — მასზე დახლოებით ოთხჯერ ნაკლები. საქართველოს ისტორიული ტერიტორიები აზერბაიჯანში ბევრად უფრო აღმოსავლეთითაც არის, მათ შორის — აქსტაფა (ქართულად — ალისტევი, სომხურად — აღსტევ (რადგან „ლ" სომხურ ენაში გარკვეულ შემთხვევებში „ღ"-დ იქცევა ხოლმე), თურქულ წარმოთქმაში — „აქსტაჶა". საქართველოს ისტორიული საზღვარი ირანთან არის მდ. შამხორი, განჯის ცოტა აქეთ. ამ ტერიტორიათაგან ქართველი მოსახლეობა დღეს მხოლოდ საინგილოშია. მისი დიდი ნაწილი შაჰ-აბასის მიერ აყრილი და ირანში გასახლებულია (მისი ადგილი ძირითადად კავკასიონის გადაღმიდან შემოსულმა ლეკებმა დაიკავეს), ნაწილი გალეკებულია XVII-XVIII საუკუნეებში, ნაწილი გათათარებულია („გააზერბაიჯანებულია"). საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე აზერბაიჯანის ყველა ხელისუფლება თანმიმდევრულად ეწევა ქართველი ქრისტიანი მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური შევიწროების პოლიტიკას მისი საქართველოში გასახიზნად იძულების მიზნით (რის გამოც ეს მოსახლეობა განუწყვეტელად მცირდება), ხოლო მუსლიმი ქართველების მიმართ — ზემოხსენებულ შევიწროებასთან ერთად მათი იძულებითი ასიმილაციის პოლიტიკასაც. საბჭოთა ეპოქისდროინდელი უსაზღვრო შესაძლებლობები სისხლიანი რეპრესიებისა აზერბაიჯანის ხელისუფლებას გამოყენებული ჰქონდა თავისი ეროვნული მიზნების (სახელდობრ, ქართული ავტოხთონური მოსახლეობის განადგურებისა და ასიმილაციის) მისაღწევად (უფრო მეტად, ვიდრე საკუთრივ პოლიტიკური მიზნებისა, როგორიცაა კოლექტივიზაცია, დაშინება და ა.შ.). (საინგილოს მდგომარეობის შესახებ უფრო ვრცელ მასალას მკითხველი წაიკითხავს „საქართველოს" სპეციალურ ნომერში მოკლე ხანში).

ერაყის უშიშროების ძალები პირველ ხანებში. „დღეს ამერიკელების მეგობრები ვართ"

დღევანდელ ქვემო ქართლში (ანუ ქვემო ქართლის იმ ნაწილში, რომელიც დღეს საქართველოს საზღვრებში შედის) თათრული (დღევანდელი ტერმინოლოგიით — „აზერბაიჯანული") მოსახლეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტად შემოსულია (ინფილტრირებულია) XVIII და, განსაკუთრებით, XIX საუკუნეში. მანამდე ქართლის მეფეთა ხელქვეით მყოფი „თათრული" მოსახლეობა (რომელსაც ეხება, მაგალითად, სამეფო გვარის მზითვის წიგნები, როცა ქალს ატანენ „ერთ სოფელს ქართლში პურისათვის, ერთ სოფელს ქართლში ღვინისათვის, ერთ სოფელს თათრებში საკლავისათვის") იმყოფება უფრო აღმოსავლეთით, ყაზახის მხარეს, და არა საქართველოს დღევანდელ ფარგლებში. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში რუსული ადმინისტრაცია ქვემო ქართლში მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით (პირველ ყოვლისა — დაბეგვრით და მიწების დარიგებით) ხელს უწყობდა გერმანელსა და რუს კოლონისტებს და აბრკოლებდა ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნაში ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. (იხ. ვრცელი მასალები გაზ. **Кавказ**-ში 1905-1907 წლებში). თათრული (მომავალი „აზერბაიჯანული") მოსახლეობა ამ მხრივ ნაკლებად ხელშეწყობილია, ვიდრე გერმანელები და რუსები, მაგრამ შედარებით უფრო ხელშეწყობილია, ვიდრე ადგილობრივი ქართველები. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ღიად უპირატესობას აძლევდა აზერბაიჯანულ მოსახლეობას „ინტერნაციონალური" მოტივებით, ხოლო ფარულად — ქრთამებით, რომლებიც ფინანსდებოდა საქართველოს გარედან, სახელდობრ, ფარული ისლამურ-ფუნდამენტალისტური ფონდებიდან, „შაჰ-აბასის ფონდის" ჩათვლით. აზერბაიჯანელების დემოგრაფიული შემოტევა ხორციელდებოდა ორი სახით: მიწების მიცემით და აზერბაიჯანელების უკანონო ინტენსიური იმიგრაციის ხელშეწყობით.

ახლო აღმოსავლეთის ჩვეული პეიზაჟი

დღეს, წინა წლებისგან და წინა თვეებისაგან განსხვავებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მეგობრობის ფონზე, აზერბაიჯანიდან ე.წ. კარტოგრაფიული აგრესია და პროპაგანდისტული შემოტევა ხდება არა მხოლოდ ჟურნალისტურ დონეზე, არამედ ოფიციალურ პირთა, სახელმწიფო მოხელეთა დონეზეც. ხელთ გვაქვს „საზღვარგარეთ მაცხოვრებელ აზერბაიჯანელებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის" თავმჯდომარის (მინისტრის რანგში) ნაზიმ იბრაგიმოვის ანგარიში, გამოქვეყნებული ბაქოს „ƏXO"-ში (იხ. ინტერნეტი www.sakartvelo.info). მინისტრი აცხადებს, რომ „ყველაზე აქტუალური დღეს არის საქართველოში აზერბაიჯანელთა პრობლემები". „პრობლემები ბევრია და უმეტესობა სახიფათოა". „ყველას გვახსოვს, რომ 1988 წელს სწორედ აზერბაიჯანის უმაღლესი ხელისუფლების უმოქმედობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ სომხეთში შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანელთა გამოდევნა მათი ძირძველი სახლობის ადგილებიდან. შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი პრეზიდენტი ამჟამად დიდ ყურადღებას უთმობს სწორედ საქართველოში მყოფ აზერბაიჯანელთა მდგომარეობას. პრობლემათა გამწვავებამ შეიძლება მიგვიყვანოს საქართველოს აზერბაიჯანელების გადაქცევამდე ლტოლვილებად. ჩვენს ქვეყანაში უიმისოდაც გვყავს მილიონი ლტოლვილი და იძულებით გადასახლებული (ამ ლტოლვილთა დიდ ნაწილს შეგნებულად ასახლებენ საინგილოში. რედ.). რა იქნება, თუ ქვეყანას შეემატება კიდევ 500 ათასი ლტოლვილი საქართველოდან?" (სინამდვილეში საქართველოში ცხოვრობს 300 ათასი „აზერბაიჯანელი" და არა 500 ათასი. რედ.)

მინისტრი ამბობს, რომ აზერბაიჯანის მთავრობაში უკვე წარდგენილია საქართველოში მაცხოვრებელ აზერბაიჯანელთა „პრობლემების" აღწერა და მათი „გადაჭრის" წინადადებები, რომლებიც შეიცავს 82 პუნქტს. (არანაირი არა თუ „აღწერა", არამედ ელემენტარული ინფორმაცია საინგილოს ქართველთა მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობას არა აქვს. რედ.). „მოსალოდნელია ამ საკითხის განხილვა სახელმწიფოთაშორის დონეზე უახლოეს ხანში" (ანუ: აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა აპირებს ახალი დათმობების მისაღწევად მორიგი ზეწოლა მოახდინოს საქართველოს

გაგრძელება მე-3 გვერდზე

აზერბაიჯანი შეჯევაზე მოდის

საქართველოში დღეს ასზე მეტი პოლიტიკური პარტიაა. მათში დიდ უმრავლესობას არა აქვს პროგრამა (მით უმეტეს — სერიოზული, ანუ მრავალმხრივ გააზრებული და საკმარისად სრული) და სამოქმედო გეგმა. საქართველოს ინტერესია არსებული პოლიტიკური სპექტრის შემჭიდროვება, ანუ ამ პარტიების ერთმანეთში შეერთება არსებითად თანამოაზრე ჯგუფებად, და არსებულ პოლიტიკურ ძალთა სტიმულირება სერიოზული დამოკიდებულებისათვის სახელმწიფო პრობლემებისადმი, რომელთა გადაჭრა დღეს, სამწუხაროდ, მოუმზადებელი, უუნარო და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის არმქონე დიქტატურის ხელშია.

ვფიქრობთ იმ პარტიებს, პოლიტიკურ ჯგუფებსა და პიროვნებებს, რომელთა აზრი და პოზიცია ჩვენი ქვეყნისათვის დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, თავისი აზრი მოგვაწოდონ საზოგადოების ბედისათვის უმნიშვნელოვანეს ორ საკითხზე: როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში და როგორი უნდა იყოს იგი ამერიკის შეერთებულ შტატებთან (თუ გნებავთ — ზოგადად დასავლეთთან) მიმართებაში (ჩვენი მიმართვის ტექსტი ქვეყნდება აქვე). სავსებით ვითვალისწინებთ იმ სამწუხარო გარემოებას, რომ ზოგი პარტია, — როგორც ჩვენ გვესახება, — არ ფიქრობს ამ საკითხებზე, ზოგი ფიქრობს, მაგრამ ისეთ პოზიციას ირჩევს, რომლის პირდაპირი გამოხატვა მის გამოუსწორებელ დისკრედიტაციას მოახდენს საზოგადოების თვალში, ზოგიც (იმედი გვაქვს) ფიქრობს კიდეც და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით აღბეჭდილ, —თუმცა, ალბათ, სხვათა ამგვარადვე პატიოსნური პოზიციებისაგან განსხვავებულ, — დასკვნებამდე მიდის.

ჩვენი მიზანია, სიტყვა მივცეთ ყველას, რათა დისკუსიაში გაცნობიერდეს ყველა ის გარემოებები, რომლებიც საქართველოს სწორ (ოპტიმალურ) კურსს და მის დეტალებს განსაზღვრავენ.

ადრესატების ჩამონათვალი გამოქვეყნდება. ყველა წარმოდგენილი თვალსაზრისი გამოქვეყნდება.

„საქართველოს“ რედაქცია

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკურ ჯგუფებს, პოლიტიკით დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და პირებს

საქართველოს სახალხო ფრონტის გაზეთ „საქართველოს“ განზრახული აქვს ერთი სპეციალური ნომერი (მინიმალური მოცულობა — 16 საგაზეთო გვერდი) მიუძღვნას საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებაში არსებული შეხედულებების გამოქვეყნებას ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე: როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში. წინამდებარე წერილი ეგზავნება საქართველოს პოლიტიკური პარტიებს, პოლიტიკურ ჯგუფებს, პოლიტიკით დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და პირებს, მაგრამ მადლიერებით და ინტერესით მივიღებთ სხვათა გამოგზავნილ მასალასაც. წინამდებარე წერილი გამოქვეყნდება გაზეთ „საქართველოს“ 23 სექტემბრის ნომერში, ხოლო მასზე პასუხები — ანუ ადრესატთა მიერ მოწოდებული შეხედულებები ზემოხსენებულ ორ საკითხზე (ერთ-ერთზე მაინც) — ამავე გაზეთის სპეციალურ ნომერში, რომელიც დაისტამბება 23 სექტემბრიდან რამდენიმე დღის ვადაში.

ივარუდება, რომ თითო პასუხის მოცულობა იქნება არა უმეტეს 3 გვერდისა.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე

ნოდარ ნათაძე

ხელისუფლებაზე, რომელიც, როგორც გამოცდილება გვასწავლის, ყველაფერს დათმობს წინა ხელისუფლებათა მსგავსად.რედ.).

მინისტრი ამბობს: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოს სომხებით დასახლებული რაიონები ერთი თანრიგით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა“. ამას, მინისტრის აზრით, „თავისი ახსნა აქვს“. სახელდობრ, „იქაურ სომხებს თავი გამომწვევად უჭირავთ, ისინი ხშირად გამოდიან მოთხოვნით საქართველოსაგან ჯავახეთის ჩამოშორების შესახებ, რის შედეგადაც სახელმწიფო მიისწრაფის, პირველ რიგში ამ რეგიონს გადაუჭრას მისი სოციალური პრობლემები. ჩვენები კი უმეტესად ჩუმად იყვნენ წინა ხელისუფლების დროს, ეშინოდათ მუქარისა, თუ გამოხვალთ, უარეს დღეში იქნებითო. კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ მოხელეები ცდილობენ ვერ შენიშნონ აზერბაიჯანელთა პრობლემები, დაკავშირებულია ცნობილ ფაქტთან — ბოლო არჩევნებზე მათმა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წინა ხელისუფლებას“. ეს მსჯელობა მინისტრს სჭირდება იმისათვის, რომ თავის დაინტერესებას (ანუ: აზერბაიჯანის სახელმწიფოს დაინტერესებას) საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელთა „პრობლემებით“ ეროვნულად „ნეიტრალური“ სახე მისცეს (საქართველოს აზერბაიჯანელებს აინტერესებთ, როგორი ადამიანები იქნებიან საქართველოს ხელისუფლებაში, და არა ის, მათში რამდენი იქნება ქართველი, რამდენი სომეხი და რამდენი აზერბაიჯანელიო), ხოლო შემდეგ (იგულისხმება: საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისადმი მეგობრული გრძნობების გამო) ამ აზერბაიჯანელთა „ერთსულოვნებისათვის“ იზრუნოს და ამ საბაბით მათში ორგანიზაციული მუშაობის საბაბი მოიპოვოს, ანუ საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევის მწვანე გზა მოიპოვოს. ამას კი ლოგიკურად მოსდევს პრესკონფერენციის „ორი ყველაზე მწვავე შეკითხვა“, რომელსაც პრესკონფერენციის რეჟისურაში საკვანძო ადგილი უჭირავს. პირველი ასეთია: „უურნალისტებმა შეახსენეს ნაზიმ იბრაგიმოვს, რომ იმ არჩევნების წინ, რომელმაც „ვარდების რევოლუციასთან“ მიგვიყვანა, სწორედ ოფიციალური ბაქო დაჟინებით და აქტიურად არწმუნებდა ჩვენს თანამემამულეებს ქვემო ქართლში, თავისი ხმები მიეცათ შევარდნაძისათვის, რაც შემდეგ მოხდა კიდეც“ (მინისტრი ვერ ხვდება, რომ მისი განცხადება არის საქართველოს შინაგან საქმეებში აზერბაიჯანის ჩარევის აღიარება, სახელდობრ, ჩარევისა აქაური აზერბაიჯანელი მოსახლეობის პოლიტიკური მართვის სახით. რედ.). მეორე „შეკითხვა“ ისაა, რომ „მინისტრს განუცხადეს, რომ სწორედ მისი სახელმწიფო კომიტეტის მეცადინეობით „იქნა შეტანილი აზრთა სხვაობა და განხეთქილება საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ერთ დროს ერთიან თემში“. (ესეც იმავე ჩარევის აღიარება გახლავთ, თანაც — იმის ღირებულების განცხადება, რომ აზერბაიჯანული თემი საქართველოში ერთიანი იყოს თავის შიგნით, და არა საქართველოს მთლიან სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტირებული, რომელთა დაცვის გზათა შესახებაც, ბუნებრივია, ყველა აზერბაიჯანელის აზრი ისევე ვერ დაემთხვევა ერთმანეთს, როგორც ყველა ქართველის აზრი. რედ.). ეს „შეკითხვა“ კი (რომელიც ფაქტობრივად კრიტიკული შენიშვნაა და არა შეკითხვა) საბაბს აძლევს მინისტრს, რომ არც თუ ლოგიკურად გადახტეს საქართველოს კანონიერი პირველი პრეზიდენტის მიმართ ლანძღვასა და ცილისწამებაზე და ამ საბაბით (რომელიც, როგორც ჩანს, სანქცირებულად მიაჩნია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ) საქართველოს სახელმწიფოს პრეტენზიები წაუყენოს. აი, იბრაგიმოვის პასუხი ამ „შეკითხვაზე“, როგორც მას გადმოგვცემს ჟურნალისტი.

„ამაზე იბრაგიმოვმა უპასუხა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ამ ქვეყანაში გაიმარჯვა ნაციონალიზმის პოლიტიკამ. ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება აგრესიული გახდა. ისინი პრაქტიკულად გამოთიშეს საზოგადოებრივი პროცესებიდან“.

„გამსახურდიას მმართველობის ორი წლის მანძილზე (სინამდვილეში ეს იყო 14 თვე.რედ.) 94 აზერბაიჯანელი მოტაცებული იქნა (ვის მიერ? რედ.), 660 მოიხსნა თანამდებობიდან, 27500 სული იძულებული იქნა დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და გადასულიყო რუსეთში ან აზერბაიჯანში. სწორედ გამსახურდიას დროს 60-მა აზერბაიჯანულმა სოფელმა დაკარგა თავისი ისტორიული სახელი, მათ ქართულად გადაარქვეს სახელები“ (ანუ აღუდგინეს ისტორიული სახელები. რედ.). „როცა 1995 წელს ხელისუფლებაში მოვიდა შევარდნაძე, მას აზერბაიჯენელებმა დიდი იმედები დაუკავშირეს. პირველად აზერბაიჯანელებმა თვითონ მისცეს მას ხმა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მეორედ მათ ვინმე აიძულებდა იგივე ექნათ. **საქართველოს აღმოსავლეთში ბევრია ისტორიულად აზერბაიჯანული მიწები, მაგრამ ჩვენ პატივს ვცემთ ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და საერთოდ არ ვაყენებთ საკითხს ამ ტერიტორიების მიმართ რაიმე პრეტენზიების შესახებ“ (ხაზი ჩვენია. რედ.).**

ამ განცხადების შემდეგ, რაც მისი მთავარი სათქმელია ამ კონფერენციაზე, მინისტრი დიპლომატიურ ზრდილობას იჩენს და ნაკლს აღნიშნავს საქართველოს „აზერბაიჯანელთა“ მოქმედებაშიც. ეს ნაკლი ის გახლავთ, რომ ისინი „სრულებით არ მიისწრაფვიან სახელმწიფო ენის შესწავლისაკენ“ (ეს, თავისთავად, ჩუმად შესანახი სამომავლო „არგუმენტია“ იმისა, რომ მოსახლეობას საქართველოში ყოფნა არ უნდა. რედ.). ქართულის არასაკმარისი ცოდნა გახდა, მინისტრის სიტყვით, იმ უსამართლობის მიზეზი, რომ „როცა მიმდინარეობდა გლეხებისათვის საკოლმეურნეო სავარგულთა გადაცემის პროცესი, ჩვენმა თანამემამულეებმა ვერ გააფორმეს სათანადო ქაღალდები, რის შედეგადაც ქვემო ქართლის „მიწების დიდი ნაწილი ოჯარით აიღეს **ქართველებმა, რომლებიც იქაურებიც კი არ იყვნენ“** (ხაზი ჩვენია.რედ.). შემდეგ ციტირებულია მინისტრის სიტყვები, რომელთა მიზანია უწყინარი ილუზიის შექმნა, თითქოს მისი პრესკონფერენციის ჭეშმარიტი მოტივი პოლიტიკურია (მას უნდა გაფანტოს გაუგებრობა აზერბაიჯანის მმართველებსა და სააკაშვილს შორის) და არა გეოპოლიტიკური. იგი ამბობს: „გარდა ამისა, მე არასოდეს არ მიმუშავია (საქართველოს „აზერბაიჯანული“) თემის ერთიანობის წინააღმდეგ. როცა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შემდეგ პირველად ჩავედით საქართვლოში, იქ არსებობდა აზერბაიჯანელთა 17 სხვადასხვა ორგანიზაცია და ისინი სრულებითაც არ იყვნენ ერთიანნი. ბევრ მათგანს სულაც ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდათ აზერბაიჯანელთა სხვადასხვა პრობლემებზე. როგორც კი დავიწყეთ აქტიური მუშაობა, საქართველოში სიარული, მაშინვე წავიკითხე გაზეთში „აზადლიგ“, რომ სახელმწიფო კომიტეტი აზერბაიჯანელებს განაწყობს სააკაშვილის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხომ ტყუილია! ჩვენს თანამემამულეებს იქ ძალიან ბევრი პრობლემები აქვთ და ჩვენ ვცდილობთ მათი გადაჭრის გზათა პოვნას. თუ არის ერთი ორგანიზაცია მაინც, რომელსაც აქვს წინადადებები მათი გადაჭრის თაობაზე, გამოვიდეს ჩვენთან კონტაქტზე. საქართველოში არ არსებობს მიზანმიმართული პოლიტიკა აზერბაიჯანელებზე ზეწოლის მიმართულებით“.

როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანის სახელმწიფო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

აზერბაიჯანი შეტევაზე მოდის

მე-3 გვერდიდან

— აცხადებს საქართველოში მცხოვრებ „აზერბაიჯანელებს“ თავის თანამემამულეებად (და არა ჩვენს თანამემამულეებად. ცხადია, კაცს არ შეიძლება ორი მამული ჰქონდეს)

— აცხადებს მათ ამ ტერიტორიის ავტოხთონურ მოსახლეობად. (რაც მიზანმიმართული ისტორიული სიყალბეა)

— აცხადებს აზერბაიჯანულ ტოპონიმებს ისტორიულად (მაშასადამე, ქართულს — არაისტორიულად)

— აცხადებს ტერიტორიას აზერბაიჯანულად, რომელზეც პრეტენზიას არ აცხადებს მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს მთლიანობას უფრთხილდება

— აცხადებს თავისთავს უფლებამოსილად, რომ საქართველოში იაროს (თავისი ზემოხსენებული უწყების სახით), თავის „თანამემამულეთა“ ერთსულოვნებისთვის იზრუნოს და ისინი აქაური „პრობლემების“ გადაჭრისათვის დარაზმოს.

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმ ტრადიციის აღდგენას თუ გაგრძელებას, როცა ცეკას მდივან ალიევს ცეკას მდივანი შევარდნაძე ხელზე მოსამსახურედ ჰყავდა (თავისი უპირატესობის გამო ინტელექტში, პასუხისმგებლობის გრძნობაში და ეროვნულ შეგნებაში), პრეზიდენტ ალიევს კი პრეზიდენტი შევარდნაძე (ამავე უპირატესობათა გამო)? ალბათ, არა, რადგან იგივე მდგომარეობა იყო ერთი წლის წინაც, ორი წლის წინაც და სამი წლის წინაც, მაგრამ აზერბაიჯანის ოფიციალურ პირებს, მიუხედავად აზერბაიჯანის ჟურნალისტთა აღვირახსნილობისა, ასეთი შემოტევა არ უცდიათ. როგორც ჩანს, ამ ცვლილების მიზეზია რუსული პოლიტიკის მიზანმიმართული და პრინციპული გააქტიურება ყოფილ საბჭოთა სივრცეში, რომელიც თავისი ყოფილი ვასალებისგან პირდაპირ მოითხოვს მისი პოზიციის დაჭერას. ალიევი მის ამ მოთხოვნას დადებით პასუხს აძლევს — ცხადია, გახარებული, რომ მისი ქვეყნის აგრესიულ ინტერესებს ამით ასპარეზი უფართოვდება. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ანბანური გეოპოლიტიკური ანალიზისა და მასზე დამყარებული პროგნოზის სისწორე: დასავლეთისა და აღმოსავლეთის გლობალურ დაპირისპირებაში თურქეთი და თურქობა აღმოსავლეთის რეზერვია და არა დასავლეთისა. რუსეთის პოლიტიკის გამოცხადებული გააქტიურება ჩინური ფაქტორის გაძლიერების შედეგია, ერთის მხრივ, და რუსეთის შემოსავლების მკვეთრი გადიდებისა (ნავთობის ფასთა ზრდის გამო) — მეორე მხრივ. რა არის მოვლენათა ამ მიმართულებით განვითარების პერსპექტივა? აღმოსავლეთ კახეთის ჩუმი მონელება (ანუ ისეთი მონელება, რომელიც საქართველოს ღია პროტესტს არ იწვევს), რაც აზერბაიჯანს ხელებს უთავისუფლებს ქვემო ქართლის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების დასაწყებად.

* * *

ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი საინტერესო ტექსტი ინტერნეტიდან. ეს გახლავთ იმავე იბრაგიმოვის წერილი სათაურით „ისტორიული პასუხისმგებლობის მომენტი“, მოცულობით კომპიუტერის 5 მჭიდრო გვერდი. „ისტორიული პასუხისმგებლობა“, მინისტრი ავტორის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, „გამოსწორდეს უსამართლობა, რომელიც დაშვებული იქნა მიწების განაწილების დროს“, სახელდობრ, ის, რომ აზერბაიჯანული დასახლების ზონაში — ქვემო ქართლში, — მიწა მიეცათ ქართველებსაც, მათ შორის ისეთებსაც კი, რომლებიც „აქაურებიც კი არ არიან“ (ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ტერიტორია ავტორს „ძირძველ აზერბაიჯანულ მიწებად“ მიაჩნია). მეორეც, უნდა მოიხსნას აზერბაიჯანელების „დისკრიმინაცია“ სახელმწიფოს ხელმძღვანელ თანამდებობათა დაკავებაში (კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორ დავნიშნოთ საქართველოს თავდაცვის მინისტრად ან შინაგან საქმეთა მინისტრად საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი, თუკი იგი ბატონ იბრაგიმოვს თავის „თანამემამულედ“ მიაჩნია და არა ჩვენად?). მესამეც, უნდა მოიხსნას „სიძნელეები“ საბაჟოებზე, რომლებიც აზერბაიჯანელებს თავისუფალ კომერციაში აფერხებს. მეორე და მესამე პუნქტები, დაგვეთანხმებით, არსებითი არ არის. იბრაგიმოვის პრეტენზიის პირველი პუნქტი კი გვიხსნის საიდუმლოს, თუ რატომ იბრძოლეს გააფთრებით ხეოვიაშვილმა, ბოკერიამ და სხვა კარიკატურულმა ფიგურებმა პარლამენტიდან, რომ მიწების გაპრივატება მოხდეს საზღვრის ხაზამდე, იმ წერტილამდე, საიდანაც ერთი ნაბიჯის გადადგმით უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ხვდებით. აზერბაიჯანის სახელმწიფო, — თუკი მინისტრის ენთუზიაზმის მიხედვით ვიმსჯელებთ, — არ დაიშურებს სახსრებს „ქართველი“ პარლამენტარების მოსაქრთამავად (კერძო ფონდებზეც რომ არაფერი ვთქვათ). ამით, სხვათა შორის, არაპირდაპირი პასუხი შეიძლება გაეცეს იმ „პრობლემასაც“, თუ რა დამსახურებისათვის მისცეს ასეთსავე ფსევდოპარლამენტარს ბუჩუკურს 150 ათასი დოლარი იზრაელში. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს მიწის მიტაცების მსურველნი დღეს, უპირატესად, ჩვენი მეგობარი აზერბაიჯანელები, სომხები და ებრაელები არიან (არგენტინელთა და ანტარქტიდელთა მხრიდან საქართველოს მიწისადმი ინტერესი ჯერჯერობით არ ჩანს).

პუტინის დემოკრატია: ეგებ ცოტა შეგიმციროთ წონა?

არასწორი არჩევნებით განერვიულებული ტოგოელი

როგორია ყოველივე ამის ფონზე სომხეთის კურსი?

სომხეთის კურსი, — რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, — კორექტულია, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობითა და სამართლებრივი ნორმების პატივისცემით აღბეჭდილი. მართალია, ყველაფერი, რაც ხდება, რა თქმა უნდა, არ ვიცით, ხოლო რაც ვიცით, ის უარყოფითია (ხუჯაბის მონასტრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მითვისება 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე, საზღვრის ფიზიკური გადმონევა საქართველოს ტერიტორიის შიგნით ჯავახეთის მონაკვეთზე), მაგრამ იქიდან პირდაპირი გზა სომხეთის ხელისუფლებისაკენ არ მიდის. სამწუხაროდ, უკიდურესად აგრესიული და უპასუხისმგებლოა ზოგი არასამთავრობო სუბიექტის და, განსაკუთრებით, რუსეთში მოღვაწე და პოლიტიკაში ჩაბმული ზოგი სომხის კურსი, რაც, უნდა ვიფიქროთ, — რადგან საპირისპიროს ვარაუდი ლოგიკური არ იქნება, — სომხური საზოგადოებრიობის აზრსა და სულისკვეთებას, გარკვეული სახით, ასახავს კიდეც და აყალიბებს კიდეც. ჩვენს წინაშეა ინტერნეტიდან აურჩევლად (როგორც იტყვიან — „თითის ტაკებით“) ამოღებული ერთი რიგითი მასალა ქართულ-სომხური ურთიერთობისა, კონკრეტულად — საქართველოს მიწის მიმართ სომხური საზოგადოების ერთი ნაწილის პრეტენზიის შესახებ, რომელიც არაფრით გამოირჩევა სხვა მასალათა ზღვისაგან ამავე ინტერნეტში. სათაურია: „ჯავახეთის („ჯავახქის“) დილემა: ყარაბაღი თუ ნახიჭევანი?“ (წყაროდ დასახელებულია **Голос Армении**). როგორც სათაური მიგვითითებს, ავტორი იხილავს საკითხს: როგორი უნდა იყოს ჯავახეთის მომავალი ბედი — ისეთი, როგორიც ეწია ნახიჭევანს აზერბაიჯანის შემადგენლობაში (იგი აზერბაიჯანმა ყველა მხრივ მოინელა, დემოგრაფიულის ჩათვლით), თუ ისეთი, როგორიც ჰხვდა ყარაბაღს, სადაც ახლა სომხები გამარჯვებას ზეიმობენ? ამ მეორე პერსპექტივას ავტორი ასე ახასიათებს: **Вариант Карабаха - вооруженного восстания и провозглашения независимости.** ავტორი, ბუნებრივია, მეორე ვარიანტს ირჩევს და მის განსახორციელებლად საჭიროდ თვლის ბრძოლას, რომლის ერთ ნაწილს, სახელდობრ, იდეოლოგიურ ნაწილს, ემსახურება მისი წერილი. მისი არგუმენტაცია იმდენად პრიმიტიულ სიყალბეებზეა აგებული (მაგალითად, განცხადებაზე, რომ „ჯავახეთში საქართველო არის 1921 წლიდან“, თუმცა პირველი სომეხი ამ მხარეში გაჩნდა 1830 წელს, როცა თურქეთზე ქართული მილიციის ანუ მოხალისეთა ლაშქრის დიდი მონაწილეობით გამარჯვებულმა რუსეთმა ამ მხრიდან ადგილობრივი ქართველი მუსლიმანი მოსახლეობა ფაქტობრივად განდევნა და მის ნაცვლად თურქეთიდან 30 000 სომეხი მიიყვანა) და იმდენად ჩვეულია, რომ მისი კვლავ ციტირება ქართველი მკითხველისათვის არაფრის მომცემია, თუმცა მსოფლიოს „ყურის ხედნისათვის“ მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს.

იაპონელები ზედმეტად ხომ არ ეჩვევიან სმას? (The Economist)

რომელია ამ ორში (აზერბაიჯანულ და სომხურ შემოტევაში) უფრო სახიფათო?

იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს ნათლად ჰქონდეს თვალწინ მოვლენათა მოსალოდნელი მომავალი ვითარების ყველა მხარე, მას ჰმართებს რამდენიმე გარემოების გათვალისწინება, რომლებიც ისტორიას და ტრადიციას ეკუთვნის. ზოოლოგიური სიძულვილი ქართველი ერისადმი და საქართველოსადმი, იდეა და გეგმა სომხეთის გასვლისა შავ ზღვაზე მას შემდეგ, რაც საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, უკვე გადაშლილი იქნება მსოფლიოს რუკიდან, საქართველოს მიწების ჯერ დემოგრაფიული, ხოლო შემდეგ პოლიტიკური და იურიდიული ათვისება, სამწუხაროდ, სომხური საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილში ცოცხალი განწყობილებები და იდეებია (თუმცა, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, კლებადი — პოლიტიკურ ელიტაში მაინც). მაგრამ ეს იდეები, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ე.წ. ბოდვითი კარტოგრაფიული აგრესიისა და აგზნებული დიდმპყრობელური ფანტაზიის სფეროს ეკუთვნის და არა რეალობისას. ეს მხოლოდ ცნობიერების ელემენტებია, მაშინ როცა აზერბაიჯანული შემოტევა ცნობიერების ელემენტიცაა და რეალური ვითარების ობიექტური შედეგიც. რაც [illegible] ხსენებული სომხური საზოგადოებრიობის ეს ნაწილი საქართველოსათვის ზურგში დანის ჩასაცემად ხელსაყრელი მომენტის გაჩენისთანავე, იგი არაა აღჭურვილი სხვა რამ უფრო ქმედითი იარაღით, ვიდრე მსოფლიო ლობია (არც თუ ყოვლისშემძლე), დიასპორის ფულია და მეზობელი, ან უკვე დაღმავალი რუსეთის თანადგომაა. აზერბაიჯანის შემოტევას, პირიქით, მძლავრი მუდმივმოქმედი საფუძველი აქვს: ესაა განუწყვეტელად მზარდი დემოგრაფიული პოტენციალი ერთის მხრივ და თურქეთის, როგორც მფარველის, ორგანიზატორისა და მოკავშირის, ფაქტორი მეორეს მხრივ. ეროვნული სიფხიზლე საქართველოს, რა თქმა უნდა, ორსავე მხარეს სჭირდება და უვარგისი ხელისუფლების ყოლა, როგორიც დღეს ჰყავს, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ორივე მიმართულებით დამღუპველია ორსავე ხიფათთან მიმართებაში, მაგრამ განსხვავება მაინც ძალიან დიდია. აზერბაიჯანის შემოტევის მოსაგერებლად საქართველოს სჭირდება საუკუნეების მანძილზე ყოველდღიურად მოქმედი და ამავე დროს საუკუნეების მასშტაბით მოქმედი თავდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვა, რომელიც მოიცავს საკუთრივ სათავდაცვო მომენტსაც, ეკონომიკურსაც, დემოგრაფიულსაც, კულტურულსაც, საპროპაგანდოსაც (მსოფლიოს წინაშე) და საგარეოპოლიტიკურსაც. სომხური მხრიდან არსებული ხიფათის მოსაგერებლადაც სიფხიზლე მუდმივი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები — ეპიზოდური და კონკრეტულ ხიფათზე რეაგირების ხასიათისა უფრო, ვიდრე საუკუნეებზე გათვლილი.

დღეს აზერბაიჯანი საქართველოსთან ერთად დასავლეთის ბანაკშია, სომხეთი — რუსეთის ბანაკში. მაგრამ ძალთა ამ განლაგებამ ილუზიები არ უნდა შეგვიქმნას. თუ საქმე გეოსტრატეგიულ, მენტალურ, ცივილიზაციურ პოტენციალთა და შესაბამის ინტერესთა სრულ გაშლამდე მივა (რასაც უფრო მაღალი ალბათობა აქვს, ვიდრე მათს არგაშლას), მაშინ უდავოა, რომ ისლამის ქვეყნები ზოგადად (გარდა ჩრდილო კავკასიის მთის პატარა ხალხებისა) რუსულ-ჩინური ალიანსის შემადგენლობაში მოექცევიან. სად იქნება მაშინ თურქეთი (თავისი ქურთული პრობლემებითურთ) და მისი ბუნებრივად უმცროსი მოკავშირე აზერბაიჯანი? საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მისი დღევანდელი არაკონდიციური მმართველობის პრაქტიკისაგან განსხვავებით, გათვლა სჭირდება. მაგრამ რა ზუსტიც არ უნდა იყოს გათვლა, ჩვენ ყველა ვარიანტისათვის მზად უნდა ვიყოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯრჭეპის სკოლა თუ „ჯრჭეპის“ ჯრჭეპული

(საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ გამო)

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია. იგი საკუთარი ხალხის წინაშე განსაზღვრავს (ყველა არსებით ხაზებში), რა ემუქრება სახელმწიფოს და, შესაბამისად, თვით იმ ხალხს, რომლისთვისაც მისი სახელმწიფო დღევანდელი და სამარადისო გადარჩენის (და არა მხოლოდ კეთილდღეობის) მიუცილებელი იარაღია. უსაფრთხოების კონცეფცია არის ხალხის (საზოგადოების, ერის, მოსახლეობის) მუდმივმოქმედი და მშვიდი მობილიზაციის საშუალება, რათა ამ ხალხის დამოკიდებულება თავისი შთამომავლობისა და თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისადმი იყოს ფხიზელი, რეალისტური და საერთო-სახელმწიფო მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის შეგნების მატარებელი. ამ ძირითადი ფუნქციის გარდა (რომელშიც შედის, მეორე რიგში, ისიც, რომ ეს დოკუმენტი არის სამაგიდო დოკუმენტი ყველა იმისთვის, ვინც ჩაბმულია ქვეყნის ადმინისტრაციაში, მის ნებისმიერ დონეზე, ან მასში ჩაბმისათვის ემზადება.) სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფციას აქვს მეორე, საგარეო ფუნქციაც: ასეთი კონცეფციის ტექსტი თავაზიანად აცხადებს მსოფლიოს წინაშე იმას, თუ რას რაცხს სახელმწიფო თავის კანონიერ (სამართლიან) სასიცოცხლო ინტერესებად და, ამასადამე, რას არ დათმობს იგი არანაირი საფრთხის თუ ზეწოლის პირისპირ. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნული უსაფრთხოების ოფიციალური კონცეფცია **რელისტური** უნდა იყოს სახელმწიფოს თავზე შეკრებილ ნამდვილ საშიშროებებთან მიმართებაში (და არა მიკიბულ-მოკიბული წუთიერ შიდაპოლიტიკურ და გარეპოლიტიკურ თამაშთა ნუანსებისდა მიხედვით) და **სრული** უნდა იყოს. ანუ იგი უნდა ასახავდეს **ყველა** სასიცოცხლო საშიშროებებს, რომლებიც სახელმწიფოს დღეს თუ მომავალში ემუქრება ან შეიძლება დაემუქროს. თავაზიანობასა და დიპლომატიური მოტივების მოქმედება კონცეფციის ტექსტის შედგენაში მისი შინაარსის ამ ორი ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგღა იწყება. მაგალითად, მოწინააღმდეგე, რომლისგანაც საშიშროებას ელით, შეგიძლიათ ახსენოთ ან სახელით, ან როგორც „მოწინააღმდეგე“, ან როგორც „ევენტუალური მოწინააღმდეგე“, ან როგორც „შესაძლო მოწინააღმდეგე“ და ა.შ. მაგრამ მისი გამოტოვების (ვერშემჩნევის) უფლება თქვენს კონცეფციაში არა გაქვთ. ასევე, არ გაქვთ უფლება გამოგრჩეთ რეალობის რომელიმე მხარე (ქვეყნის ცხოვრების რომელიმე განზომილება), რომელშიც შეიძლება სახელმწიფოსა და ხალხს სასიცოცხლო საშიშროება შეექმნას (ენერგეტიკული შიმშილის შექმნა, პროდუქტებით მომარაგების შეფერხება და ა.შ.)

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ არც რეალისტურია და არც სრული. იგი ვერ აძლევს და არ აძლევს საქართველოს მოქალაქეს ადექვატურ ინფორმაციას იმაზე, თუ რა ემუქრება საქართველოს, და არ ასახელებს და ვერ ასახელებს მსოფლიოს

წინაშე იმ ძირითად სასიცოცხლო კანონიერ ინტერესებს, რომლებიც დღეს საქართველოს აქვს თავის ტერიტორიაზე და თავის რეგიონში და რომლის არდათმობაც, შესაბამისად, საქართველოს მყარი და შეუქცევადი გადაწყვეტილებაა.

მივყვეთ დოკუმენტს თავიდან. კონცეფციის თავი 4 „ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები“ იწყება პუნქტით 4.1, „ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა“, სადაც ლაპარაკია „გარედან ინსპირირებული და მხარდაჭერილი აგრესიული სეპარატისტული მოძრაობების“ მოქმედებაზე აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში. ყველაფერი, რაც აქ ნათქვამია, მართალია (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ამ თემისთვის არსებითია და ამავე დროს მართალია, აქ ნათქვამია. მაგალითად, აქ არც ერთი სიტყვით არაა ნახსენები „სამშვიდობოების“ ნეგატიური და გადამწყვეტი როლი ამ ტერიტორიაზე დღეს არსებული ვითარების დარეგულირების ამოცანასთან მიმართებაში). მაგრამ სეპარატისტული მოძრაობებით შექმნილ საშიშროებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წინ უძღვის სხვა მუდმივი საშიშროება, რომელიც მუდმივი ფაქტორია ყველა არასტაბილობისა, სეპარატიზმით გამოწვეულის ჩათვლით: საქართველოს მეზობლად ჰყავს სუპერსახელმწიფო (აქ შეგვიძლია რუსეთი „კონცეფციის“ ტექტში სახელდებით ვახსენოთ, შეგვიძლია არ ვახსენოთ. აზრი ორსავე შემთხვევაში ნათელი იქნება და ეს საკმარისია), რომელსაც საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება (ე.წ „ჩარჩო ხელშეკრულება“) არა აქვს, რომელიც საქართველოში მაცხოვრებელ ადამიანებს თავის მოქალაქეობას ანიჭებს და მაში იარაღით დაცვის უფლებას იკუთვნებს (ჯერჯერობით, ზეპირი განცხადებების ფორმით). ანუ: საქართველოს ჰყავს მეზობელი სუპერსახელმწიფო, რომლისგანაც იგი პირდაპირ შეიარაღებულ დარტყმას ელის. როგორ დაიცვას საქართველომ თავი ამ საშიშროებისაგან? ამ კითხვის პასუხზე დამოკიდებულია, დიდწილად, საქართველოს მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის პოლიტიკის ჩათვლით. სახელდობრ,

1. თუ საქართველო თავს არ დაიცავს, არამედ დათმობების გზით ივლის, მაშინ პერსპექტივაშია მხოლოდ საქართველოში რუსეთის ბატონობის სრული აღდგენა, რადგან რუსეთის სტრატეგიული მიზანია საქართველოს უპირობო დაუფლება, რათა შეეძლოს, ერთის მხრივ, დასავლელებისათვის გზის გადაკეტვა შუა აზიისკენ, მეორეს მხრივ, ახლო აღმოსავლეთის ყოლა სამხედრო დარტყმის მუდმივი მუქარის ქვეშ. რუსეთის უპირობო ბატონობა საქართველოში შეიძლება იყოს მხოლოდ ტოტალიტარული, ანუ საქართველოს საკუთარი ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და ზოგად-ეროვნული ძალის სრულ არარსებობაზე დამყარებული (რადგან რუსეთი, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარე, პატარა ქვეყნებთან ურთიერთობაში არაკონკურენტუნარიანია, ამიტომ ძალთა ასეთი, „მშრალი“ მიმართება მისთვის უალტერნატივოა.). ასეთი მიმართების დასამყარებლად რუსეთმა უნდა

ასეთად ხედავს შირაკს The Economist. წარმოშობით გოლიბტი (ეთნიკურად ებერეკული), იგი დღეს ფაქტობრივად, ცენტრისტ-ბერძენია. იგი ლიბერებს დახმარებას „კანონიერებისათვის“, მწვანეებს, ანტიგლობალიზმს, ანტიამერიკანიზმს, ებრძის ერაყის ომს, „ერთი სიტყვით – უყვარს თუმცა, რომლებიც „ქურაში გადის“. ამავე დროს, გაყოფას უპირებს დერისა და გაზის სახელმწიფო კომპანიებს. შირაკის პოლიტიკის ეს მრავალსახოვნება, ფურნალის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ იგი „ხელმძღვანელობს უფრო სურვილით, რომ ჰქონდეს, სოციალური მშვიდობა და აიცილოს კონფრონტაცია, ვიდრე დარწმუნებულობით“. თუ გავითვალისწინებთ ბრიტანული პოლიტიკური აზროვნების უდიდეს კულტურას, ეს სიტყვები ვერაფერი ქართულია საფრანგეთის პრეზიდენტის მიმართ.

ეროვნული ერთიანობა ... ეროვნული ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის საველე თუ

მშენებლობის იმ მასშტაბებით, რომელიც ადგილობრივი წერტილოვანი გარედან ინსპირირებული „ამბოხებების“ და რუსეთის ასეთივე წერტილოვანი დაუფარავი დარტყმების მოგერიებას ესაჭიროება. თუ, პირიქით, ამას შესაძლებლად ვთვლით – მით უმეტეს, თუ ამას მაღალი ალბათობის მოვლენად ვთვლით, მაშინ სხვა გზა არ გვაქვს გარდა იმისა, რომ ზემოხსენებული მახასიათებლების მქონე მოკავშირის ძებნაზე ვიყოთ ორიენტირებული. ასეთ პოტენციურ მოკავშირედ დღეს საქართველოს ჰყავს, ერთის მხრივ, შეერთებული შტატები, მეორე მხრივ – დასავლეთი ზოგადად ნატოს სახით. ამ ფაქტის კონსტატაციით საქართველოს უსაფრთხოების დაცვის ამოცანა საგარეო-პოლიტიკურ სფეროში გადაინაცვლებს და ასეთი კითხვების სახეს იღებს: **პირველი:** უეჭველია, რომ საქართველოს რეალური დაცვის ამოცანა რუსეთის პირდაპირი დარტყმის შემთხვევაში მოითხოვს საქართველოს საჰაერო სივრცეში ბატონობისთვის საბრძოლველად ზემოხსენებულ მოკავშირეთა საჰაერო ძალების მონაწილეობას – ალბათ, მათი საქართველოშივე განლაგების ფორმით. მაგრამ რა პირობებით: იმგვარი სტატუსით, რომ ესა თუ ის საავიაციო შენაერთი საქართველოში დღეს დაჯდეს და ხვალ საერთაშორისო კონიუნქტურაში მომხდარი ამა თუ იმ ცვლილებების გამო ისევ წავიდეს და საქართველო კვლავ პირისპირ რუსეთთან დარჩეს? თუ მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს მოხდეს ორმხრივი ან მრავალმხრივი (ნატო) სათავდაცვო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მხარეთა სტაბილური ურთიერთდახმარების სისტემას ქმნის თავისი ვადის მთელი დროისთვის? **შემდეგ:** მისაღებია თუ არა, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესთა თვალსაზრისით, რომ დასავლელი მოკავშირეების ავიაცია საქართველოში იმყოფებოდეს (და, შესაბამისად, საქართველოს საჰაერო სივრცეს რუსეთის წამლეკავი საჰაერო უპირატესობისაგან იცავდეს) იმ პირობით, რომ მას უფლება ექნება საქართველოს ტერიტორიიდან დარტყმების განხორციელებისა საქართველოს მეზობელი ქვეყნების, ვთქვათ ირანისა და ერაყის ტერიტორიების მიმართ? და რა საშუალებები ექნება საქართველოს იმ ვითარების არშესაქმნელად, რომ მოკავშირე წავა, ხოლო ის მეზობელი ქვეყანა – დღეს ან შორეულ მომავალში, – თავისი აღმატებული პოტენციალის გამოყენებით შეეცდება შურისძიების საბაბი მოიმარჯვოს იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიის წართმევა, მასზე დამკვიდრება, საქართველოს დაპყრობა ან მისი ოკუპაცია მოისურვოს? ეს კითხვებიც უსაფრთხოების კონცეფციის აუცილებელი კითხვებია. ჩვენის აზრით, მათი პასუხი ასეთი უნდა იყოს: საქართველოსათვის დასავლეთთან მჭიდრო სამხედრო მოკავშირეობა, ორმხრივი ხელშეკრულებების ფორმითაც და მრავალმხრივის ფორმითაც (ნატო), აუცილებელია. აუცილებელია, რომ იყოს განსაზღვრული მონაწილე მხარეთა ერთობლივი პასუხისმგებლობის არეალი (ანუ ის, თუ სად, დედამიწის რა ნაწილში ითვლება საქართველოზე თავდასხმა მოკავშირეზე თავდასხმად და პირიქით (მაგალითად, საქართველოს გემის ხელყოფა არგენტინელების მიერ არ უნდა იწვევდეს ამერიკელების ვალდებულებას, რომ არგენტინას ომი გამოუცხადონ, და ამერიკელების კონფლიქტი ნამიბიასთან არ უნდა იწვევდეს საქართველოს ვალდებულებას, ნამიბიას ებრძოლოს). დასავლეთის ინტერესი, რომ შუა აზიისკენ გავიდეს, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესს ემთხვევა და საქართველოს ინტერესი, რომ რუსეთმა იგი ვერ დაიპყროს, ემთხვევა დასვლეთის ასეთივე სასიცოცხლო ინტერესებს. ეს დამთხვევა საკმარისი საფუძველია საქართველოსა და დასავლეთის სტაბილური, საუკუნეებზე გადამწვდომი მოკავშირეობისათვის. რაც შეეხება საქართველოს მონაწილეობას დასავლეთის ომებში (თავის ტერიტორიიდან მათზე დარტყმების დაშვების სახით), ეს არ გამომდინარეობს მოკავშირეობის არც ფაქტიდან, არც პრინციპიდან, არამედ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ცალკე გათვლისა და ცალკე მოლაპარაკების საგანია. ამ პრინციპის იქით, რომელიც გამჭვირვალეა და დაუფარავად გაცხადებულია ორივე მხრიდან, რა თქმა უნდა, დგას პრობლემების ოკეანე, რომლებიც ჯერ გასარკვევია, მხარეებისათვის ასაწონ-დასაწონია, ჯერ მათი მოლაპარაკებების, მით უმეტეს – გაცხადების საგანი არ გამხდარა და ვერ გახდება.

ასეთია, მაგალითად, საქართველოსათვის უმწვავესი და უმძიმესი პრობლემა, რას შვრება იგი იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი არ იღებს თავის თავზე მის სტაბილურ დაცვას რუსეთის დარტყმისაგან ან ამ პირობის ფასად საქართველოს იმგვარ ვალდებულებათა

ალებასა და დათმობებს სთხოვს, რომლებიც შეუთავსებელია მის სიცოცხლესთან? ამ კითხვის პასუხი საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს, უფრო მეტიც – უნდა ჰქონდეს რამდენიმე ვარიანტი (რომლებიც ყველა, სამწუხაროდ, ძალიან სარისკოა). მაგრამ ეს პასუხი, წინა კითხვათა პასუხისაგან განსხვავებით, ჯერ მხარეთაგან ურთიერთშეზვერვის, მოზომვის, ერთმანეთის მიმართ მომგებიანი პოზიციის შერჩევის სტადიაში იმყოფება და ამიტომ ღიად გასაცხადებელი არ არის. რაც შეხება ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს, რომელთა პასუხები განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებულ ძალთა დღეს მშენებლობის სტრატეგიას, ეს პასუხები შესანიღბავს არაფერს შეიცავს და ამიტომ საზოგადოებისათვის ღია უნდა იყოს და, რაც ყველაზე არსებითია, საზოგადოების მიერ გაცნობიერებული და გაცნობიერებადი უნდა იყოს.

ასეთი გახლავთ რუსეთის, როგორც დღევანდელი მოწინააღმდეგისა და ევენტუალური თავდამსხმელის, ფაქტორის როლი და ადგილი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორთა სისტემაში. ეს ფაქტორი წინ უსწრებს სეპარატისტულ მოძრაობათა ფაქტორს ლოგიკურადაც და დროითაც. რუსეთის აგრესიის მოგერიება, ან უფრო ზოგადად, რუსეთის ევენტუალური აგრესიის სტაბილური მოგერიობადობის სიტუაციის შექმნა გარდუვალად გამოიწვევს სეპარატისტულ მოძრაობათა გაქრობას გარდა იმ ერთადერთ შემთხვევისა, რომ სეპარატიზმებს (იმასვე ან ახალს) ახალი დიდი მფარველი გამოუჩნდეთ.

შეიძლება, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების პასუხებზე სხვადასხვა აზრიც არსებობდეს. ის, რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ ერთ-ერთი აზრია მრავალ შესაძლოთა შორის. დაუშვებელია მხოლოდ ერთი რამ: რომ ამ საკითხზე აზრი არ გქონდეთ და ამავე დროს ქვეყანასა და მის მოსახლეობას ეუბნებოდეთ, რომ ამ ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია მოგეპოვებათ.

თურქეთის ფაქტორი

თურქეთი დღეს საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში მყოფი ქვეყანაა და მისი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნერია (სამწუხაროდ, საქართველოსათვის კატასტროფულად უარყოფითი სავაჭრო სალდოთი). მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ეროვნული უსაფრთხოების მიმღებ პარლამენტს იმ მოვალეობისაგან, რომ კონცეფციაში გაითვალისწინოს და საზოგადოებას გაუთვალისწინოს ის საშიშროებები (საფრთხეები), რაც საქართველოს ემუქრება ან შეიძლება დაემუქროს თურქეთის მხრიდან. ამ ქვეყნის სახელდებით ხსენება კონცეფციის პუბლიკაციისას აუცილებელი არ არის (იგი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს, როგორც „დიდი მეზობელი სახელმწიფო“, რომელიც „ევენტუალურად“ ამა და ამ ნაბიჯს გადადგამს, და ა.შ., მაგრამ იმგვარად, რომ მკითხველისთვის ნათელი იქნება, ვისზეა ლაპარაკი. თურქეთი ლოკალურ კონფლიქტებში შესაძლოა გამოვიდეს როგორც ზოგადთურქული დემოგრაფიული პოლიტიკური სტრატეგიული შემოტევის ზურგი, ლობისტი და მოკავშირეც კი (ეს შემოტევა უკვე ინტენსიურად წარმოებს აზერბაიჯანის მხრიდან და შესაძლებელია განვითარდეს შუა აზიის მხრიდანაც). გლობალურ კონფლიქტში (დასავლეთი ერთ მხარეს, ჩინეთი, რუსეთი და ისლამის ქვეყნები მეორე მხარეს) იგი შესაძლებელა მეორეთა ბანაკში მოექცეს. არც ამერიკელები, არც დასავლელები საერთოდ მასთან დაპირისპირებას არ მოინდომებენ იმ შემთხვევაში, თუ მან, თავის ლოკალურ ინტერესებში (მაგალითად, ზოგად-თურქულმოდგმოვანი შემოტევისათვის მხარდაჭერის პროცესში) საქართველოს ინტერესთა შელახვა მოინდომა და მასზე სამხედრო ზეწოლას შეუდგა. თუ ეს მოხდება, მაშინ თურქეთის 650-ათასიანი არმისათვის წინააღმდეგობის გაწევა საქართველოსათვის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე რუსეთის არმიისათვის: მოწინააღმდეგის შეუზღუდავი საჰაერო უპირატესობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს არ ეყოლება ივივე დახმარებისათვის მუდმივად გამზადებული მოკავშირე, რაც რუსეთის შემთხვევაში, და საქართველოს მოწოდებას, აგრესიისგან დამიცავითო, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ისე არ გამოეხმაურება, როგორც რუსეთის აგრესიისაგან დასაცავად მოწოდების შემთხვევაში. ამიტომ საქართველომ თურქეთის, როგორც შესაძლო ადგილობრივი მოწინააღმდეგის, შემოტევისაგან თავის დასაცავად იმ ძალის შექმნას უნდა მიაღწიოს, რომელიც შესაძლებელს გახდის მსოფლიოსათვის თვალში საცემად ხანგრძლივ თავდაცვას და შეუძლებელს გახდის საქართველოს იმგვარ დამარცხებას, როცა იგი იძულებული იქნება სიტყვაშეუბრუნებელი კაპიტულაცია მოახდინოს როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე ეროვნული წინააღმდეგობის ყველა სხვა დონეზეც. ამ ზოგადსტრატეგიული ამოცანიდან გამომდინარეობს საქართველოს შეიარაღებულ ძალთა „მშენებლობის“ გარკვეული არსებითი მახასიათებლებიც: ამ შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰყავდეთ თავისი ქმედითი (მოძრავი) ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა და ჰქონდეს, ტყვია-წამლის წარმოების სრული ციკლის მქონე ყველა ძირითადი ხაზები.

არის ტენდენცია, რომ ზღვისქვეშა მძლავრი გაზსადენის რუსეთი-თურქეთი ამუშავების შემდეგ თურქეთის მონაწილეობა დასავლეთისა და რუსეთის ბრძოლაში შავი ზღვისათვის დასავლეთის მხარეზე არ ჩაითვალოს ისე უეჭველად მოსალოდნელ რადმე, როგორადაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ითვლებოდა. მაგრამ ეს ტენდენცია არ ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივმა აზრმა და სახელმწიფოებრივმა საგანმანათლებლო მანქანამ საქართველოს უშიშროების განმსაზღვრელ თუ ხელმყოფელ შესაძლო ფაქტორთა შორის თურქული საშიშროების ფაქტორი უგულებელყოს ან საზოგადოებას დაუმალოს.

სომხური და აზერბაიჯანული ფაქტორი

სომხეთი და ზერბაიჯანი არიან ჩვენი განუყოფელი მეგობრები, რომლებთანაც საქართველოს, რაგინდარა ძალისხმევის ფასად, კეთილი და საიმედო მეზობლობის, უკეთეს შემთხვევაში – მოკავშირეობის შექმნა და შენარჩუნება ჰმართებს და უღირს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემდგენელ პროფესიონალს ან მის მიმღებ პარლამენტს უფლება აქვთ, საქართველოს მოქალაქეებს და, მით უმეტეს, პოლიტიზირებულ საზოგადოებას (რომელის ამ კონცეფციის, თუკი იგი საჯაროა, ძირითადი მკითხველია) დაუმალონ, რომ როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს არა ერთი, არამედ მრავალი სერიოზული საშიშროება ემუქრება, რომელთა აცილებისთვისაც ძალისხმევაა საჭირო. ეს რომ ასეა, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ აზერბაიჯანის, როგორც ერთეულის გაჩენის მომენტიდან (რაც 1917 წლის რევოლუციას მოჰყვა) დღემდე, მიუხედავად აქტიური მცდელობისა, ამიერკავკასიის სამ დაახლოებით ტოლ ერთეულს, – ამათი ორს ძველს და ერთს ახალს – არ გამოუვიდათ არც ის ჰარმონია, არც ის სტაბილური ურთიერთთანადგომა საერთო საქმისათვის ბრძოლაში, რომელიც ბალტიის სამ ქვეყანას აქვს. ამ განსხვავების მიზეზი, საფიქრებელია, ის არის, რომ ბალტიისპირეთისგან განსხვავებით ამიერკავკასიური სამეულის წევრებს სხვადასხვა ობიექტური მდგომარეობა აქვთ: საქართველო მთლიანად დამოკიდებულია საკუთარ შესაძლებლობებზე, აზერბაიჯანს ზურგი და მშობლიური სამყარო ჰყავს ფართო თურქულმოდგმოვანი რეგიონის სახით (თურქეთი, შუა აზია, ირანის აზერბაიჯანი...), სომხეთს კი დიდი

„ბრძოლის“ ჯრეული

და მდიდარი დიასპორა, რომლის წყალობითაც სომეხი ერის დიდი ნაწილის ცნობიერებაში მისი ეროვნული მეობა მოქცეულია არა სომხეთში, როგორც სომხურ ქვეყანაში, არამედ სომხურ დიასპორაში, როგორც სომეხი ხალხის უდიდეს ნაწილში. აზერბაიჯანული შემოტევის საშიშროება ტერიტორიული და დემოგრაფიულია, სომხურისა — აგრეთვე ტერიტორიული და დემოგრაფიული, მაგრამ, ამასთან ერთად, პოლიტიკური ორიენტაციით განსაზღვრულიც: სომხეთს, თურქული ფაქტორის გამო, რუსეთზე ორიენტაციის მისწრაფება აქვს (თუმცა, თურქეთისა და რუსეთის შესაძლო დაახლოების შემთხვევაში მოსალოდნელია ამ ორიენტაციის შეცვლა). სომხური და აზერბაიჯანული საშიშროების შესახებ მსჯელობა გვაქვს ამავე ნომრის მე-2 გვერდზე, ამიტომ ამ თემაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

დაახლოებით საქართველოს ზომისა და საქართველოს ტოლი პოტენციალის მქონე ამ ორ სახელმწიფოსთან სამხედრო დაპირისპირების შესაძლებლობის პერსპექტივა საქართველოს ავალებს, რომ თავისი

არქტიკული ნაკრძალი ალასკაზე

შეიარაღებული ძალების მშენებლობაში გაითვალისწინოს ყოველ მათგანთან როგორც ელვისებური, ისე პოზიციური ომის საშიშროება. ერთი შეხედვით, არ საჭიროებს გათვალისწინებას ორივე ამ სახელმწიფოსთან ერთდროული შეიარაღებული დაპირისპირების საშიშროება, რადგან მათ — სამწუხაროდ და მთელი ამიერკავკასიის საზარალოდ, — ერთმანეთში ულმობელი და სტაბილური დაპირისპირება აქვთ. მაგრამ ეს ვითარება ადვილად შეიცვლება იმ შემთხვევაში, თუ მეზობელმა სუპერსახელმწიფომ, ან მსოფლიოს რომელიმე სხვა მძლავრმა აქტორმა მიზნად დაისახა მათი ალიანსის ორგანიზება საქართველოს წინააღმდეგ. ორივე მათგანისათვის ეს აქტორი შეძლებს მიმზიდველი დაინტერესების პოვნას: სომხეთს ხელს შეუწყობს შავი ზღვისკენ დერეფნის მოპოვებაში, აზერბაიჯანს კი აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორიების დაუ-

ართურ მილერი და მისი ცოლი მერილინ მონრო. თუ მერილინ მონრო და მისი ქმარი ართურ მილერი? (newsweek)

ფლებაში. ეს პერსპექტივა, — ზემოთ ჩამოთვლილი სხვა პერსპექტივების მსგავსად და მათთან ერთად — აიძულებს საქართველოს თავისი თავდაცვის შესაძლებლობები მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში ჰქონდეს იმ ფარგლებში, რომელსაც ამას მისი ეკონომიკური მდგომარეობა დაუშვებს.

გლობალური წარმოშობის საშიშროებები

გლობალური განვითარება, მით უმეტეს — გლობალური განვითარება და მასში საქართველოს მონაწილეობის ესა თუ ის ეპიზოდი ერთად, — ქმნის მთელ რიგ საშიშროებებს, რომლებიც შეიძლება საქართველოსათვის ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. ესენია:

ტერორისტული და ტერორიზმს ამოფარებული შემოტევები:

— საქართველოს ხელისუფლების ჩეჩნებისადმი ამორალური დამოკიდებულების რამდენიმე ეპიზოდმა (მათმა გადაცემამ რუსეთისათვის), ამ ეროვნების ლტოლვილებისადმი ზოგადი კარგი დამოკიდებუილების ფონზე, შექმნა იმის საშიშროება, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა (რომლებიც საქართველოში დღეს, სამწუხაროდ, დაუბრკოლებლად მოქმედებენ) მოაწყონ საქართველოში მრავალრიცხოვანი და დიდმასშტაბიანი ტერაქტები ჩეჩნების სახელითა და ნიღბით.

— საქართველოს მონაწილეობა ანტიერაყულ კოალიციაში შესაძლებელია ამავე რუსული სამსახურების მიერ გამოყენებული იქნას საქართველოში ტერაქტების მოსაწყობად ალ-ყაიდას და სხვა მუსლიმური ორგანიზაციების სახელითა და ნიღბით, ამავე მონაწილეობის გამო შესაძლებელია ტერაქტების ორგანიზება მართლაც ალ-ყაიდასა და ამ ორგანიზაციების მიერ.

ორივე ეს საშიშროება მრავალკეცად ამძიმებს საქართველოს უშიშროების სამსახურის ამოცანებს, აგრეთვე სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზებისა და მომზადების ამოცანას.

ირანის ომში შესაძლო ჩაბმით გამოწვეული საშიშროება

იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ მესამე ქვეყანას (ქვეყნებს) ნება დართო თავისი ტერიტორიის (აეროდრომების) გამოყენებაზე ირანისათვის საჰაერო დარტყმების მისაყენებლად, მოსალოდნელია ირანის საპასუხო ქმედება

— საქართველოზე სარაკეტო დარტყმების სახით და

— მუსლიმანური ტერორისტული ორგანიზაციებისათვის საქართველოზე გასალაშქრებლად მოწოდების სახით, რასაც მოჰყვება ტერორისტული აქტები (ან მათი მცდელობა) ამ ორგანიზაციების მხრიდან ან მოჰყვება მათი სახელის ამოფარებით რუსული სპეცსამსახურების მხრიდან.

აღნიშნული პერსპექტივა მკვეთრად ზრდის დატვირთვას საქართველოს უშიშროების სამსახურებზე და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზეც, რომელსაც იგი ანტისარაკეტო დაცვის აუცილებლობის წინაშე აყენებს.

აქ ვერ განვიხილავთ ყველა არგუმენტს და კონტრარგუმენტს იმის შესახებ, თუ რამდენად ჰმართებს ან არ ჰმართებს საქართველოს მონაწილეობის მიღება ირანის ბირთვული განიარაღების ოპერაციაში. მაგრამ უდავოა, რომ საქართველოს უსაფრთხოების ამოცანის გააზრების არსებითი კომპონენტია ის, თუ რა მოქმედება ჰმართებს საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი იარაღის ვერგავრცელებისათვის ბრძოლის დასავლური სტრატეგია ამ შემთხვევაში დამარცხდა და მასში ფართო ბზარი გაჩნდა ჩვენი რეგიონის ერთ-ერთი არც თუ მშვიდი ქვეყნის — საქართველოზე დაახლოებით 14-ჯერ უფრო ხალხმრავალი ირანის — მიერ ბირთვული იარაღის ხელთგდების სახით (საშუალო რადიუსის რაკეტებს ირანი უკვე რამდენიმე წელიწადია ფლობს). როგორ მოიქცეს საქართველო ასეთ შემთხვევაში — გააგრძელოს გაუვრცელებლობისათვის ომი, რომელიც უკვე წაგებულია, და ამით მეზობელთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების გაღრმავება? თავი წაუხაროს მის ძალას, რომელიც შესაძლებელია არცთუ მშვიდობიანი იყოს? თუ სინანულით თითზე იკბინოს, რომ თავისი მცირე მარაგი გახლეჩადი მასალისა უდრტვინველად გადასცა მეგობარ ზესახელმწიფოს, რომელმაც მას ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა, როგორიცაა საკუთარი ურანის საკუთარ საცავში შენახვა, ვერ ანდო, და იფიქროს მცირე ქვეყნების პატარა ჯგუფის შეკოწიწებაზე, რომელიც შეეცდება ბირთვული საჭურველი საკუთარი ხელით შექმნას, რათა აღჭურვილთა წინაშე მუშტითა და კეტით შეიარაღებული არ დარჩეს? ეს კითხვები სულ სახელმწიფო უშიშროების კითხვები გახლავთ, რომელებიც დგას. ყველა მათი პასუხის საჯაროდ გამოფენა და აფიშირება, რა თქმა უნდა, არც სავალდებულოა და არც დასაშვები. მაგრამ თვით კითხვებისა და მათი წარმომშობი საშიშროებების დამალვა ყოვლად გაუმართლებელ სიცრუეს ნიშნავს. ესაა ქვეყნისა და მისი ხალხისთვის თვალის მოხუჭვინება ისეთ ვითარებაში, სადაც სიფხიზლეა საჭირო, და მათში სახელმწიფოებრი აზროვნების იმ ღვთისგან ბოძებული სტიმულის ხელოვნური დათრგუნვა, რომელიც ხალხს ერად აქცევს და თემს — სახელმწიფოდ.

არ გაფართოვდეს უშიშროების საბჭო უიაპონიოდ!

ჩინეთის ფაქტორი

არავისთვის, გარდა არაპოლიტიზირებული მასისა და ქოთნის მცენარესავით ვერგანვითარებული მარიონეტული მთავრობებისა, საიდუმლო აღარ არის, რომ ძირითადი მსოფლიო დაპირისპირების ფრონტი დღეს გადის ხმელეთზე ცენტრალურ აზიაში და წყალზე — წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ჩინეთის მძლავრი გეოპოლიტიკური წინწაწევა ნასაბჭოვარი შუა აზიისკენ, რომელიც დღიდან დღეზე დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ მას იქ დასავლეთმა არ შეასწრო (დღესდღეობით აშშ-ს სახით), დღევანდელი გლობალური განვითარების ერთ-ერთი არსებითი კომპონენტიცაა. ეს პერსპექტივა საქართველოსათვის დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საფრთხის, სახელდობრ, დემოგრაფიული საფრთხის წყაროა. ჩინეთის დემოგრაფიული მიწოლა შუა აზიიდან ავტომატურად გადაეცემა, წნევის ბუნებრივი კანონების ძალით, ირანისა და კასპიის ზღვის დასავლეთ ნაწილს და მისი არა თუ ზვირთი, არამედ ოკეანისებრი მოქცევა, სხვათა შორის, საქართველოსაც წალეკავს.

ეს დემოგრაფიული საშიშროება არის — და უნდა იყოს, — საქართველოსათვის ერთ-ერთი მთავარი მოტივი იმისა, რომ დასავლეთის მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ თავისთვის სასიცოცხლო ინტერესად ჩათვალოს და თავისი პოლიტიკა შესაბამისად ააგოს. საქართველოს მოსახლეობისათვის ეს ცნობილი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა — მისი პოლიტიზირებული ნაწილისათვის, რომელიც პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციის ადრესატად და განმსჯელად იგულისხმება. მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაში გათვალისწინებული უნდა იყოს ზომები იმ დემოგრაფიული ტალღების შესაჩერებლად, რომელებიც, თუკი დასავლეთის მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ შედგა, სავარაუდოდ, დაუძლეველი არ იქნება, მაგრამ საშიში იქნება. ამ ზომებს შორის, სავარაუდოა, ისეთებიც იქნება, როგორიცაა აღმოსავლეთი საზღვრების მკვეთრი გამაგრება და მათი გაყოლებით უსაფრთხოების სარტყლის შექმნა, სადაც ხალხმრავალი სივრცე (სახლობა ან არ იყოს — ბა, ამ მხოლოდ ისეთი მოსახლეობისა იქნება, რომელიც საზღვრის დაცვის მონაწილეა.

არასამხედრო ფაქტორები

სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის სასიცოცხლო უსაფრთხოებას ემუქრება მრავალი არასამხედრო საშიშროება, რომელიც გათვალისწინებულ და პრაქტიკულად დაძლეულ უნდა იქნას (შეძლებისდაგვარად) სახელმწიფოს მიერ. ამათი ყველაზე მძიმე ნაწილი პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, უბრალოდ, გამოტოვებულია. მაგალითად, გარდა დემოგრაფიული საშიშროებისა (იხ. აქვე ზემოთ) გამოტოვებულია ის, რომ საქართველოს ემუქრება წყალსაცავთა შემკავებელი კაშხალების განადგურება, დანგრევა-დივერსიებით ან დაბომბვით, რის გამოც საქართველოში დაუშვებელია წყალსაცავების არსებობა, არამედ წყლის ენერგია უნდა გამოიყენებოდეს კასკადურად და მისი სეზონური სხვაობები უნდა რეგულირდებოდეს სხვა სახის გენერაციით („კონცეფციაში“ ამ თემაზე ნათქვამია მხოლოდ ის, რომ „ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ მიმართულმა ტერაქტებმა შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ბუნებრივი გარემო“). დასახელებულია ეკონომიკური სიდუხჭირე, როგორც საქართველოსათვის საშიში მრავალი მოვლენის წყარო, მაგრამ ამ სიდუხჭირის მიზეზად დასახელებულია „ეკონომიკური ჩამორჩენილობა“ და არა ის, რაც ეკონომკურ თავისუფლებას ახშობს: მანკიერი საგადასახადო სისტემა, სახელმწიფო (ანუ: საერთო-სახალხო) ,ქონების განიავება მაფიური „მიპრივატების“ წესით და „თავისუფალი ეკონომიკის“ პრინციპის ამოფარებით, ეკონომიკური პროცესების სრული უკონტროლობა სახელმწიფო ნების მიერ. არ არის აღნიშნული გარდაუვალი ეროვნული კატასტროფის ისეთი ფუნდამენტური ფაქტორები, როგორიცაა მიწის მთლიანი ან თითქმის მთლიანი გადასვლა უცხოელთა ხელში, ენერგეტიკის ობიექტთა სრული ან თითქმის სრული გადასვლა მათ ხელში, ორმაგი მოქალაქეობის დაშვების შედეგად (რასაც ჯერჯერობით კანონით დადგენილი ქვოტა არ მოეპოვება) საქართველოს ხმისუფლებიანი მოსახლეობის ძალიან დიდ მასაზე უცხოელთა კონტროლის განხორციელება, საქართველოს რადიკალური და მზარდი ჩამორჩენა განათლების მოცულობასა და ხარისხში, რასაც მიმდინარე თითქოსდა რეფორმა, სინამდვილეში კი მიზანმიმართული დივერსია, იწვევს, საქართველოში უცხო ეგიდით 300 ათასი მუსლიმანის შემოსახლება, უცხო ძალების ზეწოლა საქართველოში სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების შემოსაღებად „ფედერალიზმის“ ფორმით, საქართველოში უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების განუკითხავი (სახელმწიფოს მიერ დაკანონებული და დაუსჯელი) საქმიანობა და მრავალი სხვა რამ. ზოგი ამ საშიშროებათაგანის არსებენება ბუნებრივია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიის სკოლა თუ

რადგან მათ თვით არსებული ხელისუფლების არსებული მანკიერი პოლიტიკა ქმნის. მაგრამ ყველა საშიშროება ასეთი არაა: სახელმწიფოს სჭირდება სასურსათო უსაფრთხოებაც (რაზედაც ზრუნვას სახელმწიფოს თვალი ყოველთვის არ სჭირდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში სჭირდება), ეპიდემიური და ეპიზოოტიური უსაფრთხოებაც (რასაც სახელმწიფოს თვალი ყოველთვის სჭირდება), ადგილობრივად წარმოებულ და შემოტანილ სურსათზე სამედიცინო კონტროლის სისტემაც, რათა არ ხდებოდეს მოსახლეობის გრძელვადიანი წამლვაც (საქართველოში ასეთი დაცვის ნასახიც არ არსებობს), ფსიქოლოგიური უსაფრთხოებაც (ანუ მოსახლეობის დაცვა სექტანტური და სხვა სახის შემოტევებისაგან კრიმინალური ტექნოლოგიების გამოყენებით) და მრავალი სხვა დაცვითი ზომაც.

სახელმწიფოსთვის დღეს არსებული „საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების" თერთმეტპუნქტიანი ჩამონათვალი, რომელსაც „კონცეფცია" გვაწვდის, საკმარისია იმის ილუსტრაციად, რომ ეს დოკუმენტი არ ისახავს რეალურ მიზნად არც მოსახლეობის გრძელვადიან გაფრთხილებას იმაზე, თუ რა ელის პასიურობისა და არაადექვატური ქცევის შემთხვევაში, არც აპარატისა და სხვა მმართველი სტრუქტურების ინფორმაციულსა და ფსიქოლოგიურ მობილიზებას (რომელიც ორგანიზაციულს უსათუოდ უნდა ახლდეს) სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის საქმისათვის. ეს ოფოცოალური „კონცეფცია" არის საშიშროებათაგან გაფრთხილება, რომელიც საშიშროებებს მალავს (ან სიბრმავით ვერ ამჩნევს). ეს არის ძაღლი, რომელიც არ ყეფს, რადგან ან სმენა და ყნოსვა არა აქვს, ან საგანგებოდაა იმგვარად გაწვრთნილი, რომ უცხო კაცის შემოსვლაზე ყეფით კი არ ირეაგიროს, არამედ მხოლოდ კუდის ქიცინით. დასკვნა ასეთია: ეს „კონცეფცია" არის საზოგადოების (მიზანმიმართული ან უცოდინრობისმიერი, უფრო – პირველი) მოტყუება, მისი მიძინება გამოფხიზლებიხ ნაცვლად.

აი, ზემოხსენებული ჩამონათვალი: „4.1. ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. 4.2. მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტების გადმოდინება. 4.3. სამხედრო ინტერვენცია. 4.4. საერთაშორისო ტერორიზმი, 4.5. კონტრაბანდა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი, 4.6. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები. 4.7. კორუფცია და სახელმწიფო მართვის არაეფექტიანი სისტემა. 4.8. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები. 4.9. ენერგეტიკული გამოწვევები. 4.10. ინფორმაციული გამოწვევები. 4.11. ეკოლოგიური გამოწვევები". პარლამენტის მიერ დაკანონებული „კონცეფცია" არა მხოლოდ ნაკლულ ჩამონათვალს იძლევა ამ საშიშროებებისას, არამედ უმეტეს შემთხვევაში უკმარისად ან არასწორად (რეალური ვითარებისადმი არაადექვატურად) განსაზღვრავს მათს რაგვარობას და შინაარსს, შესაბამისად (როგორც ქვემოთ დავინახავთ), ჩამოთვლილი საფრთხეების დაძლევისა და მოგერიების გზებსაც. სახელდობრ,

პუნქტი 4.1.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს ტერიტორიული ხელყოფის პირველწყაროა უცხო აგრესია. სეპარატიზმის ამოქმედება ამ აგრესიის შედეგი და გამოვლენაა.

პუნქტი 4.2.

კონფლიქტის „გადმოდინებას"

პანკისის ხეობაში ადგილი არა აქვს. ესაა ლტოლვილთა არსებობის გამოყენების მცდელობა რუსეთის აგრესიული მოქმედებისათვის საბაბის მოსაპოვებლად რუსეთის მიზანმიმართული ნების შედეგად. კონფლიქტთა „გადმოდინების" მთავარ საშიშროებას საქართველოსთვის – ლტოლვილთა შემოდენის და საქართველოში დასახლების დემოგრაფიულად საშიშ შედეგს – „კონცეფცია" მალავს (რადგან დემოგრაფიული საშიშროების აღიარება ასეთად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისათვის იდეოლოგიურად მიუღებელია).

პუნქტი 4.3.

როგორც ზემოთ ითქვა, სამხედრო ინტერვენციის საფრთხეები მრავლადაა, მაგრამ „კონცეფცია" მათზე დუმს. ერთადერთი, რომელსაც ახსენებს, – რუსული, – არაა „მცირედ შესაძლებელი", როგორც „კონცეფცია" ფიქრობს, არამედ გარკვეულ პირობათა შექმნის შემთხვევაში (როგორც ვაჩვენეთ ზემოთ) – კანონზომიერად მოსალოდნელი.

პუნქტი 4.4.

„კონცეფცია" მალავს, რომ ტერორსაშიშია პირველ ყოვლისა საქართველოში ლეგალიზებულ მდგომარეობაში მყოფი რუსული სამსახურები და არა „მეზობლად" მყოფი „ტერორისტები", ანუ ჩეჩნები, რომლებიც ტერორისტები კი არ არიან, არამედ ღია მებრძოლნი თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. მსჯელობა დიდი საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლებელ თავდასხმაზე სწორია.

პუნქტი 4.5.7.

„კონცეფცია" მალავს საქართველოში კორუფციის აყვავების ძირითად წყაროს, მის შეგნებულ საყოველთაო მიშვებას (დივერსიული მიზნით) შევარდნაძის ხელისუფლების მიერ და მის შერჩევით მიშვებას დღევანდელი ხელისუფლების მიერ. უგულებელყოფილია კორუფციის ძირითადი ფაქტორი: მოსახლეობაში და ხელისუფლებაში, დემოკრატიულ ცნობიერებისაზე უწინარესად, სამართლიანობის ცნობიერების დეფიციტი.

პუნქტი 4.5.

მსჯელობა არსებითად სწორია. მასთან საკამათო არ გვაქვს.

პუნქტი 4.6.

„კონცეფცია" უმალავს მკითხველს, რომ რუსეთის ბაზები საქართველოსათვის არიან სტრატეგიულად საშიშნი გარკვეული პირობების შექმნის შემთხვევაში (იხ.ზემოთ). გარდა ამისა, მისი ტექსტი ცრუობს სახელმწიფო ღირსების საწინააღმდეგოდ, როცა წერს, რომ „საქართველო მიესალმება" რუსეთის ბაზების გადასვლას გაყვანის რეჟიმში, თითქოს ეს რუსეთის კეთილი ნება იყოს და თითქოს მისი ბაზების არგასვლას რაიმე იურიდიული საფუძველი მოეპოვებოდეს.

პუნქტი 4.8.

„კონცეფციაში" გამოტოვებულია მთავარი სოციალური საშიშროება – მოსახლეობის კატასტროფული ემიგრაცია, რომელსაც, მოსალოდნელია, ძირითადი ეკონომიკური ბაზის უცხოელებზე განსხვისების პირობებში მოჰყვება უცხო მოსახლეობის მასობრივი იმიგრაცია და „უქართველებო საქართველოს" ცნობილი გეგმის განხორციელება. „კონცეფცია" ამ თემაზე, ალბათ, შეგნებულად დუმს, რადგან, ჯერ ერთი, ამ გეგმის წინააღმდეგ ხმის ამაღლება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისათვის იდეოლოგიურად მიუღებელია, მეორეც, მასობრივი ემიგრაცია მისი შეგნებული ეკონომიკური პოლიტიკის, სახელდობრ, ეკონომიკის სტიქიურ მექანიზმთა უკონტროლო მიშვებისა და ამავე დროს საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ ეკონომკურ შესაძლებლობათა მიზანმიმართული დანგრევის (ხელოვნური გაკოტრების) პირდაპირი შედეგია.

პუნქტი 4.9.

„კონცეფცია" აღნიშნავს სახელმწიფოსათვის იმ ვითარების საშიშროებას, როცა საქართველოს ენერგეტიკა დამოკიდებულია იმპორტზე, მაგრამ დუმს იმ ვითარებაზე, როცა სახელმწიფოს ენერგეტიკული ბაზა და დისტრიბუციული მექანიზმი, აგრეთვე ფასთა განსაზღვრა უცხოელების, ამ შემთხვევაში – მტრულად განწყობილი უცხოელების ხელშია. ეს დუმილიც შეგნებული ჩანს, რამდენადაც ხსენებული ვითარება პირდაპირი შედეგია იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკისა, როცა საკუთრების მოძრაობის პროცესში მოქმედებს სტიქიური მექანიზმები და მტერი პარტნერის ნება (სახელდობრ, რუსეთისა), მაგრამ არ მოქმედებს საქართველოს სახელმწიფო ნება.

პუნქტი 4.10

„კონცეფცია" დუმს, ერთის მხრივ, საქართველოს საინფორმაციო ინტერესების პრინციპულ დაუცველობაზე მისი დაცვის საქმეში სახელმწიფოს როლისა და უფლებამოსილების პრინციპული განუხრელი კვეცის შედეგად, მეორე მხრივ, მის პრაქტიკულ დაუცველობაზე სახელმწიფოს უშიშროების ორგანოთა არასანდოობის, სახელდობრ, მათი რუსეთის უშიშროებისაგან ფაქტობრივი გამოუდიფერენცირებლობის შედეგად. იგი უგულებელყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების ისეთი არსებითი პარამეტრის არსებობასაც, როგორიცაა ე.წ. „საინფორმაციო ომი" ანუ სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის იდეოლოგიის პროპაგირებას და აფიშირებას მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. ეს დუმილიც და ეს უგულებელყოფაც, უნდა ვივარაუდოთ, ნებსითია, რამდენადაც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ გააჩნია (და არც მიაჩნია საჭიროდ, რომ გააჩნდეს) ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგია, და რამდენადაც მას არ ჰსურს და მიზნად არ აქვს რადიკალური გამოცალკევება რუსეთის უშიშროების სამსახურებისაგან, თუნდაც მათთან კავშირის მქონე ან მათთან კავშირზე ეჭვმიტანილი ოფიცრების სამსახურიდან დათხოვნისა და სამართალში მიცემის სახით.

პუნქტი 4.11.

როგორც ვთქვით, „კონცეფცია" დუმს მთავარ ეკოლოგიურ საშიშროებაზე – მოსახლეობის მასობრივ და სისტემატურ წამლვაზე საკვები პროდუქტებით, რაც უშუალოდ გამომდინარეობს სახელმწიფოს პასიურობიდან, კორუმპირებულობიდან და მის ამ თვისებათა წყალობით კრიმინალური ელემენტებისა და კრიმინალური სტილის გაბატონებიდან პროდუქციის იმპორტის საქმეში. იგი დუმს, ბუნებრივია, ამ მდგომარეობის ეკონომიკური ბაზის – მოსახლეობისათვის პროდუქტთა მიწოდების საქმის იმპორტერთა მიერ მონოპოლიზაციის – შესახებ, რაც შესაძლებელი გახდა და არის პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ სახელმწიფო შეგნებულად და მიზანმიმართულად თრგუნავს (საგადასახადო ბერკეტებითა და ხარბი ბიუროკრატიის შეგნებული გაპარპაშებით) – შინაურ წარმოებას როგორც პროდუქტების შექმნის, ისე მათი დაკონსერვების სფეროში. გარდა ამისა, „კონცეფცია" დუმს ეკოლოგიურ კატასტროფებზე, რომლებიც განხორციელდა და

ლოდ ... ციელდება ისეთი დივერსიული უცხო „რეკომენდაციების" მიყოლის შედეგად, როგორიცაა მორების სახით ხე-ტყის გატანის აკრძალვის მოხსნა, და ისეთი მიზანმიმართულად კორუმპირებული ხელმძღვანელობის (ჟვანიას გუნდის) ყოლის შედეგად ეკოლოგიურ უწყებათა სათავეში, როგორიც იყვნენ მინისტრი ნინო ჩხობაძე და სხვანი.

თავის მეორე მთავარ მონაკვეთში სათაურით „5. **საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკაში ძირითადი მიმართულებები**" პარლამენტის მიერ მიღებული „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია", თავისი განაცხადით, განსაზღვრავს იმ გზებსა და იმ ნაბიჯებს, რომლებითაც საქართველოს ხელისუფლება აპირებს წინა მონაკვეთებში („4") ჩამოთვლილ „საფრთხეთა, რისკთა და გამოწვევათა" პასუხს და მათს დაძლევას.

ბუნებრივია, რომ იმ შემთხვევაში, როცა „საფრთხე, რისკი და გამოწვევა" დასახელებული არ არის (შეუმჩნევლად დარჩენილია, უგულებელყოფილია ან შეგნებულად დამალული), მისი პასუხიც, ანუ მისი დაძლევის გზაც, მითითებული არ არის. როცა დასახელებულია, მისი დაძლევის გზა ან დასახელებულია, ან არა; როცა დაძლევის გზა დასახელებულია, იგი ან საკმარისია აღნიშნული საშიშროების დასაძლევად ან არასაკმარისია. ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ სფეროში არსებული საშიშროებები მონაკვეთში „4" სრულადაა ჩამოთვლილი და მონაკვეთში „5", მისი 12 პუნქტითა და 15 ქვეპუნქტითურთ. ამ საშიშროებათა დასაძლევად მითითებული საშუალებები საკმარისია მისი დაძლევისათვის, „კონცეფციაში" არ არის. ისეთი შემთხვევები, როცა მონაკვეთში „4" მითითებული საშიშროების დაძლევისათვის მონაკვეთში „5" მითითებული გზა საკმარისია, კონცეფციაში" ძალიან მცირე უმცირესობაშია, ხოლო ისეთი შემთხვევები, როცა მონაკვეთში „4" მითითებული საშიშროების დაძლევისათვის მონაკვეთში „5" მითითებული საშუალება (საშუალებები) არასაკმარისია, „კონცეფციის" დაპირებათა თუ რეკომენდაციათა შორის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ეს რეკომენდაციები თუ დაპირებები იმდენადვე არაადექვატურია თავისი ამოცანის მიმართ, სახელდობრ, იმდენადვე არასრულია და არარეალისტურია, რამდენადაც თვით საშიშროებათა ჩამონათვალი. მივყვეთ მათ სათითაოდ.

პუნქტი 5.1. „სახელმწიფო მართვის გაძლიერება და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება"

აქ სათაურშივე შეცდომაა, უფრო ზუსტად – მიზანმიმართული პროპაგანდისტული სიყალბე. „მართვის გაძლიერება" ერთია, „დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება" – მეორე. შესაძლებელია, პირველი

„პრემიის“ ქრემპული

გქონდეთ, მეორე კი არა, და პირუკუ. ამიტომ აქ საქმე გვაქვს (უფრო ზუსტად: უნდა გვქონდეს) ორ საზრუნავთან და არა ერთთან. ამ სათაურის ქვეშ მოქცეული ტექსტი (არა ნაკლებ 250 სიტყვისა) მთლიანად შედგება ე.წ. მორიგე ფრაზებისაგან და იმის კონსტატაციებისაგან, რა და რა კომისიები შეიქმნა, მაგრამ არ შეიცავს არც ერთი კონკრეტული ზომის დასახელებას.

პუნქტი 5.2. „სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება“

ამ პუნქტში ჩამოთვლილია რეალური ქმედითი ზომები საქართველოს ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა: „5.2. სახელმწიფოს თავდაცვიანობის ამაღლება. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად საქართველო ავითარებს შეიარაღებულ ძალებს, აძლიერებს სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმებს, თანამშრომლობს საერთაშორისო საზოგადოებასთან მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დასამკვიდრებლად და აყალიბებს კრიზისების მართვის მექანიზმებს. საქართველო ახორციელებს თავდაცვის ფართომასშტაბიან რეფორმას, რის შედეგადაც იქმნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტების შესაბამისი, გაზრდილი შესაძლებლობების მქონე, თანამედროვე, ეფექტიანი და მდგრადი შეიარაღებული ძალები, რომელთაც ძალა შესწევთ დაძლიონ ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი სამხედრო საფრთხეები. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უნდა შეეძლოთ საერთაშორისო ანტიტერორისტულ და მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებში მონაწილეობა, ასევე სამოქალაქო ხელისუფლების დახმარება საგანგებო მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“.



და შემდეგ: „საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებლად მიიჩნევს სამობილიზაციო სისტემის რეფორმირებას და რეზერვისტების მომზადების სისტემის განვითარებას. ამასთან ერთად მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს სამოქალაქო თავდაცვის განვითარება. სამოქალაქო თავდაცვა უნდა იყოს სახელმწიფო თავდაცვის სისტემის მხარდამჭერი მექანიზმი სერიოზული საფრთხის ან კრიზისის დროს, იგი მოამზადებს მოქალაქეებს თავდაცვისათვის და უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და კულტურული ფასეულობების დაცვას საგანგებო სიტუაციების შედეგად მიღებული ზარალის შემცირების ან ლიკვიდაციის გზით. მრავალეროვნულ ანტიტერორისტულ, სამშვიდობო, სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო იღებს მდიდარ გამოცდილებას, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამით მას თავისი წვლილი შეაქვს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. მსოფლიოს ანტიტერორისტული კოალიციის წევრობით საქართველოს საკუთარი წვლილი შეაქვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში“.

აქ დაუკონკრეტებელია სიტყვები „ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი სამხედრო საფრთხეები“ (პირველი ციტატი), რამდენადაც არ ვიცით, რას თვლის „კონცეფციის“ მიმღები ასეთ „საფრთხეებად“ — იმას, რაც ტრადიციულად ითვლება საფრთხედ სახელმწიფოსათვის თუ სხვა რასმე, — ისევე, როგორც გაურკვეველია შემდეგ ტექსტში გამოხატული განაცხადი მხარეთა შეიარაღებული ძალების „რიცხოვნების ოპტიმიზაციისა“: რა იგულისხმება „ოპტიმუმად“ — ის, რაც სჭირდება საერთაშორისო ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობას, თუ ის, რაც სჭირდება საქართველოს დაცვას სხვა, საკუთარ საფრთხეთაგან, მათ შორის იმათგან, რომლებიც „კონცეფციაში“ დასახელებლი არ არის. ჩამოთვლილ ღონისძიებებში ყველას მიზანშეწონილება უდავოა, გარდა საერთაშორისო ანტიტერორისტულ და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისა, რომელშიც ყოველ ცალკე შემთხვევაში ამ მონაწილეობის სისწორის შეფასებას ცალკე კონკრეტული ანალიზი და გათვლა სჭირდება. მაგრამ ცალსახად უდავოა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა სახელმწიფოს ტრადიციული მიზნისათვის — თავისი მიწის, დამოუკიდებლობის, უსაფრთხოების დაცვისათვის — საკმარისი არ არის. საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის მიუცილებელი მინიმუმი ის არის, რომ მათ შეეძლოთ სრულმასშტაბიან ომში თავის ტოლ მეზობელთა შემოტევის მოგერიება და ანგარიშგასაწევი ბრძოლა თავისზე დიდ მეზობელთან, ანუ ისეთისა, რომელიც არსებითი ფაქტორი იქნება ამ მეზობლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, მისცენ თუ არა თავს უფლება, საქართველოში შეიარაღებული ინტერვენცია მოახდინონ მათთვის საინტერესო ამ თუ იმ ჯრობლემის გადასაჭრელად. ამისთვის აუცილებელია, ერთი, საქართველოს მთელი მოსახლეობის დაქვემდებარება სავალდებულო სამხედრო ბეგარისადმი მისი გაწვრთნის მიზნით და, მეორე, საშუალო სკოლაში სამხედრო საქმის სწავლება იმ ანგარიშით, რომ მოსწავლემ მიიღოს სრული ინდივიდუალური მომზადება, სრული სამწყობრო მომზადება და ტაქტიკური მომზადების ელემენტები, მესამე, სათავდაცვო მრეწველობის შექმნა იმ ანგარიშით, რომ საქართველოს შეეძლოს ომი ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მის დიდ მეგობრებსა და მოკავშირეებს ამ ომში ინტერესი არა აქვთ, საქართველოს კი აქვს. თუ ეს უკანასკნელი პირობა არ შესრულდა, მაშინ საქართველო ყოველთვის დამარცხებული იქნება, ვთქვათ, ქვემო ქართლისათვის ომში აზერბაიჯანთან, რომელსაც სათავდაცვო მრეწველობა აქვს, ჯავახეთისთვის ომში სომხეთთან, რომელსაც სამხედრო მრეწველობა აგრეთვე აქვს, და პროტესტის უნარმოკლებული იქნება თურქეთთან, რომელიც მოისურვებს, მაგალითად, ბატალიონი ან ბრიგადა ჩააყენოს მარნეულის რაიონში, რათა მიწის იჯარად აღების უკანონოდ მსურველი აზერბაიჯანელი ოჯახის „ინტერესები“ და „ადამიანური უფლებები“ დაიცვას.

პუნქტი 5.3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

ამ სათაურში აღნიშნულ ამოცანას ტექსტში მიცემული აქვს იმგვარი იდეოლოგიური არგუმენტაცია, რომელიც შეუთავსებელია სახელმწიფოებრიობასთან და სახელმწფოებრივ აზროვნებასთან. აქ ნათქვამია, რომ არაკონტროლირებადი ტერიტრიების არსებობა „ხელს უშლის“ საქართველოს „სრულფასოვან დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას“ და „შესაბამისად“, — ანუ ამ გარემოებიდან გამომდინარე, — საქართველოს სახელმწიფოს რეინტეგრაცია „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“. ამგვარად, ნაგულისმევია — და მკაფიოდ მოტანილია მკითხველამდე, — რომ საქართველოს ტეროტორიის აღდგენა იმიტომ წარმოადგენს სახელმწიფოსათვის პრიორიტეტს, რომ მის გარეშე იგი დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ დადგება. ეს სუსტი, უფრო მეტიც, — ორმხრივად მიმართვადი არგუმენტია, რადგან მოწინააღმდეგესაც შეუძლია თქვას „აფხაზეთი ცალკე უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიულ სივრცედ ვერ განვითარდებაო“. ნამდვილი არგუმენტი ასეთი უნდა იყოს: საქართველოს ტერიტორიის აღდგენა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტთა პრიორიტეტია იმიტომ, რომ საქმე ეხება ქართველი ერის ეთნიკურ ტერიტორიას — მიწა-წყალს, რომელზეც ქართველი ერი ავტოხთონური მოსახლეობაა და რომლის დათმობის უფლება მას არა აქვს არც სამშობლოს წინაშე, არც საკუთარი ღირსების წინაშე, არც მომავლის წინაშე. ამ პოზიციის არგუმენტაცია (პოზიციისა, რომ საქართველოს მთლიანობა უნდა აღდგეს) ერთ-ერთი ისეთი თემაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა, რომელთანაც ავტორებს საშუალება ეძლევათ და მოვალეობა ეკისრებათ, ზოგადეროვნული ურყევი ნება გამოთქვან, რომ საქართველო თავისი ტერიტორიისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს და მას არ დათმობს, სრულებით დამოუკიდებლად იმ გარემოებათაგან, რომ ამას, ეროვნული ისტორიული ინტერესისა და პასუხისმგებლობის გარდა, დემოკრატიის ინტერესიც მოითხოვს. „კონცეფციის“ ავტორები, მისი მიმღები პარლამენტის ჩათვლით, პირიქით იქცევიან: ისინი ორიენტირებულნი არიან იმაზე, რომ შემოთავაზებული და რეკომენდირებული მოარული ცნებების სფეროში იტრიალონ („დემოკრატია“, საბედნიეროდ, ერთ ასეთი ცნებათაგანია) და ადრესატს მისთვის ოდნავ მაინც ახალი, ყოველდღიური რუტინის სტანდარტით არნაგულისხმევი არაფერი უთხრან. ეს არ არის ნორმალური საშუალო ადამიანის ე.წ. ბუნებრივი პოზიცია, ანუ იმ ტიპიური მენტალიტეტის მატარებელი პიროვნებისა, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში იგულისხმება ყველა პროფესიული და სოციალური ფენის, მათ შორის ე.წ. დიპლომატიური კლასის (classe diplomatigne) რიგების ძირითად შემადგენლად.

ეს ე.წ. „გენმოდიფიცირებული“ ადამიანების პოზიციაა, რომელნიც ისეთივე გამოუსადეგარნი არიან სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის, როგორც გენმოდიფიცირებული კარტოფილი — საკუთარ ჯანმრთელობაზე მზრუნველი ადამიანის კვებისათვის.

ეს მანკიერი პოზიცია განსაზღვრავს იმ ორადორ კონკრეტულ ნაბიჯს საქართველოს ტერიტორიის აღდგენის მიმართულებით, რომელსაც „კონცეფცია“ იაზრებს და გეგმავს. ერთია საქართველოს პრეზიდენტის „ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“, რომელიც გამოთქვამს მზაობას „სამხრეთ ოსეთის“ შესაქმნელად, ანუ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის გამოსაცხადებლად მიგბობელი ქართველების ტერიტორიის „სამხრეთ ნაწილად“ და კაცობრიობის წინაშე „ორი ოსეთის“ შეერთების ამოცანის დასასმელად. მეორეა გაეროში დადებული ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი“, რომელიც ქმნის საქართველოს და აფხაზეთის ერთობლივ სახელმწიფოს „ფედერალური შეთანხმების“ საფუძველზე, რაც მხარეებს, ბუნებრივია, ამ ხელშეკრულების გაწყვეტის და კვლავ დაშლის ნებას უტოვებს და ამით აფხაზეთს აძლევს სეცესიის (გამოყოფის) იურიდიულ მექანიზმს, რომელიც მას დღესდღეობით არ მოეპოვება. „კონცეფციაში“ შეტანილი ეს ორივე განზრახვა არის არავითარი აუცილებლობით არგანპირობებული კაპიტულაცია სახელმწიფოს მოწინააღმდეგეების წინაშე და, ამდენად, სახელმწიფო ღალატიც. საქართველოს ტეროტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური გზები არსებობს და მათ შორის ყველაზე გამართული, — იურიდიულად, მორალურად და პოლიტიკურად, — უნდა ვივარაუდოთ, შემდეგია:

1. ოფიციალურად გამოცხადდეს რუსეთისადმი ნოტის სახით, აგრეთვე გაეროსადმი და სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვის სახით, რომ ომი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში იყო და არის არა ქართულ-აფსუური („აფხაზური“) და ქართულ-ოსური, არამედ ქართულ-რუსული. ეს იყო და არის რუსეთის შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ საქართველოში სახელმწიფოსადმი მტრული შეიარაღებული ძალების შექმნის, მათი იარაღით, ტყვიაწამლითა და ტექნიკური დახმარებით მუდმივი უზრუნველყოფის, მუდმივი მომზადებისა და გადამზადების, ინსტრუქტორებითა და სადაზვერვო ინფორმაციით უზრნველყოფის, მოხალისე და დაქირავებული ჯარისკაცებითა და ოფიცრებით — რუსეთის მოქალაქეებით — მათი შეიარაღებული ძალების მუდმივი შევსების, რუსეთის მოქალაქე სამოქალაქო პირების შეიარაღებისა, გაწვრთნისა და საქართველოში სახელმწიფოს წინააღმდეგ საომრად შემოგზავნის, საბრძოლო ოპერაციებში რუსეთის შეიარაღებულ ძალთა (ავიაციის, არტილერიის და იარაღის სხვა სახეობის), ეპიზოდურად პირდაპირი მონაწილეობის გზით.

2. ოფიციალურად გაცხადდეს და შესაბამისი მიმართვებით განემარტოს გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, რომ აფხაზეთი არ არის არც ისტორიულად, არც დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით აფსუების ქვეყანა, რომელთაც ქართულად და ქართული სახელის მიხედვით, — სხვა ენებზეც „აფხაზები“ ეწოდებათ იმიტომ, რომ საქართველოს „აფხაზეთად“ ცნობილ ნაწილში დასახლდნენ. ასევე გაცხადდეს, რომ აფხაზეთში მოსახლე და დღეს იქიდან დევნილი ქართველი მოსახლეობა ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობაა, ანუ იმ მოსახლეობის შთამომავალია, რომელმაც ეს მიწა-წყალი ხელუხლებელი ტყეებისა და მინდვრების მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიის საკოლა თუ

ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში. ამ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დასახლდა აფხაზეთში 1930-იან და 1940-იან წლებში, დასახლდა თავისი წინაპრების (თურქული შემოსევების და დაჭაობების შედეგად) მოსახლეობაშემცირებულ მიწაზე და მისი რაოდენობა ნაკლებია იმ რუსების, სომხებისა და სხვა არაქართველების და არააფსუების („არააფხაზების") რაოდენობაზე, რომელიც ჯერ მონარქიულმა, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსულმა ხელისუფლებამ დაასახლა ამ მიწაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაცხადდეს, რომ აფხაზეთის, როგორც მთელის, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაში ერთ ქართველ მოსახლეს არც მორალურად, არც იურიდიულად არ ეკუთვნის ნაკლები ხმა, ვიდრე ერთ აფსუა („აფხაზ") მოსახლეს. შესაბამისად, აფხაზეთში არსებული ვითარების დარეგულირების თაობაზე დღემდე წარმოებულ მოლაპარაკებათა პრაქტიკა, რომელშიც მდუმარედ ნაგულისხმევია, რომ აფსუა („აფხაზი") მოსახლეობის სახელით მოლაპარაკე ე.წ. „აფხაზური მხარეს" ვეტოს უფლება აქვს, აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას კი, რომელიც მოლაპარაკებებზე წარმოდგენილიც კი არ არის, ასეთი უფლება არა აქვს, უნდა საქართველოს მიერ აღიარებულ იქნას უმართებულოდ და აღარ გაგრძელდეს.

3. ოფიციალურად გაცხადდეს, რომ აფხაზეთის, როგორც ტერიტორიული ერთეულის , ნება არ არის მხოლოდ მისი აფსუა („აფხაზი") მოსახლეობის ნება, არამედ იგი არის ტოლქმედი (resultant)

— აფსუა („აფხაზი") მოსახლეობის ნებისა, რომ აფხაზეთი განიხილოს, როგორც თავისი სამარადისო და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის და განვითარების ასპარეზი, ეროვნული პოლიტიკური განვითარების ჩათვლით,

— ქართველი მოსახლეობის ნებისა, რომ აფხაზეთი განიხილოს, როგორც თავისი სამარადისო ყოველმხრივი თვითრეალიზაციისა და განვითარების ასპარეზი, ეროვნული პოლიტიკური განვითარების ჩათვლით,

— ყველა მოსახლის ნებისა, რომ იყოს დაცული, კეთილდღიანი, იცხოვროს სრული დემოკრატიის პირობებში და ჰქონდეს თვითრეალიზაციისა და განვითარების შეუზღუდავი საშუალება, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური განვითარების ჩათვლით.

შესაბამისად გაცხადდეს, რომ აფხაზეთის აფსუა („აფხაზი") მოსახლეობისათვის, ანუ, რაც იგივეა, აფსუა („აფხაზი") ხალხისათვის, როგორც მთელისათვის, მისი ზემოხსენებული ყოველმხრივი თვითრეალიზაციისა და განვითარების გარანტირებული ობიექტური (იურიდიული და ფაქტობრივი) პირობების შექმნა იმიტომ კი არის არის ნებისმიერი მოაზრებადი პოლიტიკური და იურიდიული დარეგულირების აუცილებელი პირობა, რომ ეს მოსახლეობა აღჭურვილია უფლებით, რომლითაც ქართველი მოსახლეობა (ამჟამად დევნილი) აღჭურვილი არ არის, არამედ იმიტომ, რომ აფსუა („აფხაზი") ხალხის მიერ ამისათვის საჭირო გარანტირებული პირობების ქონა წარმოადგენს აბსოლუტურ ღირებულებას როგორც თვით აფსუა („აფხაზი") ხალხისათვის, ისე ქართველი ხალხისათვის და საქართველოს სახელმწიფოსათვის.

თქმულიდან გამომდინარე, უნდა გაცხადდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოსათვის გადაჭრით მიუღებელია აფხაზეთში სიტუაციის დარეგულირების ბოდენისეული გეგმა (ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი"), რომელიც წარმოდგენილია გაეროს უშიშროების საბჭოში და რომელიც ითვალისწინებს (ითხოვს)

საქართველოს ტერიტორიულ ინტეგრაციას ერთის მხრივ საქართველოს, როგორც უაფხაზეთო სახელმწიფოს, და მეორეს მხრივ აფხაზეთის, როგორც საქართველოში არ შემავალ არაქართულ პოლიტიკურ ერთეულს შორის ფედერალური შეთანხმების დადებით ერთობლივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, ანუ ისეთი იურიდიული ვითარების შექმნას, როცა მხარეს შეუძლია გააუქმოს თავისი თანხმობა ამ ერთობლივ სახელმწიფოში ყოფნაზე და სეცესია (გამოყოფა) მოახდინოს. ამასთან ერთად უმოკლეს შესაძლებელ დროში უნდა მიღებულ იქნას პარლამენტის მიერ, ზემოხსენებული პრინციპების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა, ზოგად ხაზებში მაინც, რომლითაც განსაზღვრული იქნება როგორც თბილისისა და სოხუმის უფლებამოსილებები და მოვალეობები ერთიმეორესთან მიმართებაში, ისე აფხაზეთის, როგორც ტერიტორიული და პოლიტიკური ერთეულის, ნების ფორმირების იურიდიული მექანიზმები და უფლებამოსილებათა გამიჯვნა აფხაზეთის შიგნით. ეს დოკუმენტი, კონსულტაციის წესით, უნდა გადაეცეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მსოფლიოს წამყვან აკადემიურ ცენტრებს, რათა მათი აზრი გათვალისწინებულ იქნას საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის შესახებ საკონსტიტუციო კანონის მიღებისას შეძლებისდაგვარად ახლო მომავალში.

4. ოფიციალურად გაცხადდეს, რომ აფხაზეთის და ცხინვალის ზონის პრობლემა საქართველოს შინაგანი პრობლემაა და ინტერნაციონალიზაციას ანუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ განხილვას ექვემდებარება მხლოდ ორი თვალსაზრისით: საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შეფასებისა და მასზე რეაგირების თვალსაზრისით და ადამიანთა ადამიანური უფლებების, მათ შორის — უმცირესობების და ხალხების უფლებების დაცვის თვალსაზრისით იმ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, რომელთა დამაფიქსირებელ დოკუმენტებზე (კონვენციებზე) საქართველო ხელს აწერს.

5. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს ტერიტორიაზე — აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში — ჩატარებული ანტიქართული ეთნიკური წმენდის ფაქტზე და საომარ მოქმედებათა პროცესში ჩადენილი ყველა ცნობილი კრიმინალური ქმედების ფაქტზე, აგრეთვე იმ კრიმინალური ქმედებების ფაქტზე, რომლებიც დღეს გრძელდება (მკვლელობების და ადამიანთა გატაცების ჩათვლით).

6. დენონსირებულ იქნას შევარდნაძის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, მიერ და მისი მმართველობის დროს დადებული ყველა ხელშეკრულებები და შეთანხმებები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის შესახებ, როგორც უსაფუძვლოდ კაპიტულანტური და საქართველოს ინტერესებზე წინ რუსეთის იმპერიული ინტერესებით ნაკარნახევი, მათ შორის — 1993 წლის 4 აპრილის შეთანხმება და სხვა შეთანხმებანი, რომლებიც შეიცავს საქართველოს ვალდებულებებს გარედან მართული კრიმინალური სეპარატიზმის წინააღმდეგ ძალის არგამოყენების შესახებ.

7. გაუქმდეს რუსეთისათვის „სამშვიდობო" შეიარაღებული ფუნქციობის მიმნიჭებელი მანდატი აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში.

8. გაცხადდეს ოფიციალურად, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მთელ თავის ტერიტორიაზე, რომელიც გამოცხადდა 1991 წლის 9 აპრილს, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში დაპყრობილის, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, საბოლოოა, სამარადისოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება; რომ, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მაცხოვრებლებისათვის თავისი მოქალაქეობის მიცემა საქართველოსთან შეთანხმების, საქართველოსათვის შეტყობინების და საქართველოში ამ პირთა შემდგომი ცხოვრების შესაძლებლობათა თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკების გარეშე არის საერთაშორისო ურთიერთობათა წესების უხეში დარღვევა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გაღრმავების მიზნით; რომ საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილში (ამჯერად — აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში) რუსეთის მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტი არ აძლევს და ვერ მისცემს რუსეთს ვერც საფუძველს, ვერც უფლებას, ჩაერიოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიაზე რაგინდარა ღონისძიების გატარებაში, კრიმინალური სეპარატიზმის ძალით აღკვეთის ჩათვლით; რომ, თუ რუსეთს უნდა თავის მოქალაქეებზე ზრუნვა, მან ეს უნდა მოახდინოს თავისი საელჩოს და საკონსულოს საშუალებით, უკიდურესი უნდობლობის შემთხვევაში — საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მონიტორინგის საშუალებით; ხოლო თუ რუსეთი გადაწყვეტს საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საბაბით, მას ამის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოსათვის ომის გამოცხადების ფორმით,მაგრამ არა საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც მისი მოქალაქეები ცხოვრობენ, თავისი შეიარაღებული ძალების შეყვანის ფორმით. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ, თუ რუსეთი შეეცდება საქართველოს ტერიტორიის რომელსამე ნაწილში თავისი შეიარაღებული ძალების შეყვანას იქ მყოფი მოქალაქეების ინტერესთა დაცვის მიზნით, საქართველო მის ამ ნაბიჯს განიხილავს, როგორც პირდაპირ შეიარაღებულ აგრესიას, და ამ აგრესიას უპასუხებს ყველა



ადექვატური ზომით.

9. გაცხადდეს ოფიციალურად, რომ

— ის 160 ათასი ოსი, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, არიან დიასპორა და არა ეროვნული უმცირესობა ამ სიტყვის დღეს საერთაშორისოდ მიღებული გაგებით, მათ შორის ის 60 ათასი ოსიც, რომელიც ცხინვალის ზონაში ცხოვრობს და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" შექმნაზე პრეტენზიას აცხადებს. დღეს მოქმედი საერთაშორისო კონვენციებით, რომლებსაც საქართველო ხელს აწერს, არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოთა ვალდებულება, რომ მათ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ დიასპორებს ანუ ეთნოსებს, რომელთაც მოცემული ქვეყნის გარეთ თავიანთი ისტორიული ეთნიკური სამშობლო აქვთ, დღესდღეობით მათი სახელის მატარებელი ტერიტორიული ავტონომია მიეცეთ.

— რომ სახელი „სამხრეთ ოსეთი" ამ ტერიტორიისათვის მოგონილია და შემოღებულია ანტიქართული მიზნით რუსი ბოლშევიკი დამპყრობლების მიერ 1922 წელს, რომ მას არც ისტორიული, არც იურიდიული, არც ეთნიკური, არც მორალური საფუძველი არა აქვს და მისი კვლავ შემოღება საქართველოში (იგი გაუქმდა საქართველოს პირველივე ლეგიტიმურად არჩეული პარლამენტის მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს) დაუშვებელია, რამდენადაც ეს ნიშნავს საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის ცნობას მეზობელი ქვეყნის (ოსეთის, „ალანიის") ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად და მსოფლიოს წინაშე ამოცანის დაყენებას „ორი ოსეთის" გაერთიანების, მაშასადამე, საქართველოსათვის მისი ტერიტორიის წართმევის შესახებ.

— რომ ცხინვალის, ზნაურის, ჯავის და ლენინგორის ყოფილი რაიონები, რომელთაგანაც 1922 წელს რუსეთის მიერ ოკუპაციის 14 თვის თავზე შეკოწიწდა ახალი ერთეული „სამხრეთ ოსეთი", არ წარმოადგენს ერთ ცალკე ერთეულს არც ფიზიკურ-გეოგრაფიულად (ეს ერთმანეთის მიმდგომი, სხვა მეზობელ რაიონთაგან განუსხვავებელი რაიონებია (ხეობებია), რომელთაც ერთმანეთთან კავშირი მხოლოდ ბარში ჩამოსვლის გზით აქვთ), არც ისტორიულად, არც დემოგრაფიულად და კულტურულად, რის გამოც მათ ცალკე ერთობლივი სახელიც არა აქვთ, არამედ არიან შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი.

— რომ ისეთი პრაქტიკის დაკანონება, როცა მოცემულ ტერიტორიაზე მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების დინამიკა (ვინ გამრავლდა, ვინ შემცირდა და ა.შ.) განაპირობებს ამ ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსის ცვლას, გარდუვალად გამოიწვევს ყოველი ეთნიკური ჯგუფის შიშს ყველა სხვა ჯგუფთა დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და, მაშასადამე, პროფილაქტიკური „ეთნიკური წმენდისა" და მისი მთავარი იარაღის — გენოციდის ცდუნებას მთელ მსოფლიოში. ამგვარი პრაქტიკის კიდევ ერთი პრეცედენტის შექმნა — საქართველოს ნაწილის „სამხრეთ ოსეთად" გარდაქმნა იმის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე, საბჭოთა წლებში, ოსურმა მოსახლეობამ ქართულს გადააჭარბა (იმიგრაციის შედეგად), — საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იქნებოდა არა მხოლოდ დანაშაული საქართველოს მიმართ, არამედ ამავე დროს უპასუხისმგებლობა მსოფლიოს მიმართ.

— რომ განსახილველი ტერიტორიის იმ რაიონებში, სადაც ოსები უმრავლესობას წარმოადგენენ (ესენია ცხინვალის, ჯავის და ყოფილი ზნაურის რაიონი), ოსთა ყველანაირი ინტერესების, მათ შორის — ეროვნული ინტერესების დაცვისათვის სავსებით საკმარის გარანტიას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულ მექანიზმთა განვითარება. რესპუბლიკაში (საქართველოში, კიდევ ერთი ახალი რესპუბლიკის („სამხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბრეჟნევის“ ბრეჟნევი

რეთ ოსეთის რესპუბლიკის“) შექმნა იქნებოდა მკვეთრი ნაბიჯი საქართველოს უშიშროების დასუსტებისაკენ, რომელსაც ამ ხიფათის საპირწონედ არავითარი დადებითი შედეგი არ ექნებოდა.

– რომ მთლიანად ოსური მოსახლეობის (160 ათასი სულის) ყველა სახის ინტერესთა (მათ შორის – ეთნიკურ ინტერესთა) დაცვისა და წინწაწევისათვის საუკეთესო საშუალებაა ფუნქციური ოსური ავტონომია (სათვისტომო, ოსური საბჭო, ორგანიზაციის მრავალი სხვა ფორმა...), რომელსაც კანონი არ კრძალავს, რომელსაც ძალუძს ოსთა ყველა ინტერესის ლობირება და რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლია მოიცვას მთელი ოსური მოსახლეობა – როგორც კომპაქტურად მაცხოვრებელი საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ისე არაკომპაქტურად მაცხოვრებელიც.

10. გაცხადდეს ოფიციალურად „ესენგედან“ საქართველოს გამოსვლის მყარი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტლების განხორციელების (პარლამენტის მიერ სათანადო დადგენილების მიღების) მოკლე (რამდენიმეკვირიანი) ვადა.

11. გაუქმდეს „სამშვიდობო“ მანდატი „ესენგეს“, რუსეთისა და „ჩრდილოეთ ოსეთის“ შეიარაღებულ ძალთათვის საქართველოს ტერიტორიის ყველა წერტილში.

12. აიკრძალოს ორმაგი მოქალაქეობა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება პრესაში გამოქვეყნებული მოტივაციით, პრეზიდენტის წინადადებით და პარლამენტის დადგენილებით კანონის მიერ გათვალისწინებული ქვოტის საზღვრებში.

„კონცეფციის“ პუნქტი 5.3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ შეიცავს ფორმულირებას, რომელმაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ფართო მკითხველში ის შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება უპირობო კაპიტულაციაზე მიდის სეპარატისტების წინაშე, ხოლო ჩახედულ მკითხველებში – გაუგებრობა იმის თაობაზე, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ჩაუხედავთა ეს შთაბეჭდილება. აქ ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰსურს კონფლიქტის მოგვარება „მშვიდობიანი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული მეთოდებით“, რაც ფართო მკითხველს ესმის იმის აღიარებად, რომ ქართველებისა და აფსუების („აფხაზების“) ურთიერთობა და საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობა საერთაშორისო ურთიერთობაა, ანუ აფხაზეთი სხვა სახელმწიფოა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, და საქართველო – სხვა. ასეთი გაგება აკმაყოფილებს და, შესაბამისად, ასეთი ფორმულირება ახარებს, – ლოგიკურად, – სეპარატისტებს იმ შემთხვევაშიც, თუ მათ საქმის ნამდვილი ვითარება იციან, სახელდობრ, იციან, რომ საერთაშორისო სამართლის საგანია მხოლოდ იმ საერთაშორისო კონვენციათა მოთხოვნების შესრულება, რომელსაც სახელმწიფო (ამ შემთხვევაში – საქართველო) ხელს აწერს. აფხაზეთის კონფლიქტს თემატურად ეხება კონვენციები ადამიანის უფლებათა, მათ შორის – ეროვნულ უფლებათა შესახებ და კონვენციები ომის წესთა შესახებ. ამ განმარტებით, – და მხოლოდ ამ განმარტებით, – აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში მიმდინარე კონფლიქტები მართლაც საერთაშორისო სამართლის საგანია და მათი ინტერნაციონალიზაცია, რასაც საქართველოს ხელისუფლება დღესაც აგრძელებს, როგორც შევარდნაძემ მოახდინა 1993 წელს, დასაშვებია. ყველა სხვა მიმართებით ეს კონფლიქტები მხოლოდ საქართველოს შინაგანი პრობლემაა და ვერავითარ ინტერნაციონალურ განხილვას ვერ დაექვემდებარება. ზუსტად ამავე აზრით და ამავე მიზნით ექვემდებარება ინტერნაციონალიზაციას ყველა სხვა პრობლემა, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება: კონკრეტული ინდივიდის დაკითხვა ადვოკატის გარეშე, კონკრეტული პირის ცემა პოლიციის განყოფილებაში, კონკრეტული მასალის გაჩერების მცდელობა გაზეთში და ა.შ.

პუნქტი 5.4. „ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაცია“ თავისი ქვეპუნქტებითა და ქვე-ქვეპუნქტებითურთ

ჩამოთვლის და მიესალმება აღნიშნულ ორგანიზაციებთან საქართველოს დაახლოების ნაბიჯებს და გამოთქვამს მათში შემდგომი ინტეგრირების იმედსა და რწმენას. აქვე საუბარია საქართველოს ურთიერთობაზე უკრაინასთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან. მსჯელობას პარადული ტონალობა აქვს. „გამოწვევები, რისკები და საფრთხეები“ აქ არ განიხილება, მაგრამ ასეთები არსებობს და ცნობილი უნდა იყოს „კონცეფციის“ მკითხველთათვის. აღვნიშნავთ ორს.

პირველი. ევროკავშირის ინტეგრაცია, რომელიც წინაა, და ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ინტეგრირება, რომელიც უკვე მომხდარია, საქართველოსათვის (უზარმაზარ პლუსებთან ერთად) საშიშროებასაც შეიცავს მას შემდეგ, რაც იქ იქნება თურქეთიც თავისი უდიდესი დემოგრაფიული ექსპანსიით. თურქული მუშახელისა და თურქული იმიგრაციის დაუბრკოლებელი შემოსვლა საქართველოში მას ეთნიკურ იდენტობას დაუკარგავს უმოკლეს დროში.

მეორე. „კონცეფციაში“ გაცხადებული მზაობა საქართველოსი, რომ რუსეთთან „ითანამშრომლოს რეგიონული კონფლიქტების მოსაგვარებლად და ტერორიზმის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ არარეალისტურიც არის და სახიფათოც. „რეგიონულ კონფლიქტებში“, რომელებიც საქართველოს აქვს, რუსეთი უკლებლივ ყველგან საქართველოს მოწინააღმდეგის ინსპირატორის, მფარველის, დამხმარისა და მოკავშირის როლშია. მასთან „თანამშრომლობის“ სურვილი ან მზაობა მხოლოდ გააძლიერებს მისი მავნე მოქმედების შესაძლებლობებს რეგიონში. რუსეთის „რეგიონული კონფლიქტები“ კი დამყარებულია რუსეთში შემავალი მკვიდრი ხალხების ბრძოლაზე რუსეთისაგან სეცესიისათვის, რისი მხარდაუჭერლობის უფლებაც, მით უმეტეს – რის წინააღმდეგ გამოსვლის უფლებაც საქართველოს მორალურად არა აქვს. „ტერორიზმი“, რუსეთის თვალსაზრისით, რუსეთის ტერიტორიაზე არის ჩეჩნებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელების ბრძოლა რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის, რაზეც საქართველო რუსეთს ვერ დაეთანხმება. საქართველოში ტერორიზმი დღეს, საქართველოს აზრით, რუსეთის სპეცსამსახურთა საქმიანობაა, რასაც რუსეთი ვერ დაეთანხმება. „კონცეფციის“ ციტირებული ფორმულირება ანარეკლია იმ, სამწუხაროდ, გავრცელებული ყალბი აზრისა, თითქოს რუსულ-ჩეჩნური ურთიერთობები ერთის მხრივ და ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური ურთიერთობები მეორეს მხრივ ერთმანეთის ანალოგიური მიმართებები იყოს.

პუნქტი 5.5.8.3. ევროსაბჭო

ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას კონცეფცია რაცხს საქართველოსათვის „საუკეთესო შესაძლებლობად“, რომ თავის ცხოვრებაში „ევროპული ღირებულებები და ნორმები დაამკვიდროს“ და „დასავლური ღირებულებებისა და ნორმების მქონე დემოკრატიული სახელმწიფო“ შექმნას. ამ ფორმულირებათა ავტორებმა არ იციან, რომ „დასავლური ნორმები“ და „ევროპული ღირებულებები“ არსებითად იგივეა, რაც ქართული ისტორიისა და ტრადიციის ნორმები (რადგან საქართველო ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა, ფეოდალური – და არა დესპოტურის, როგორც რუსეთისაა, – წარსულის მქონე), ხოლო იმ კულტურული, სოციალური, მეცნიერული და პოლიტიკური სავანძურის ათვისების ამოცანა, რაც ევროპამ ფეოდალური ეპოქის შემდეგ შექმნა, ქართველმა ელიტამ მიზნად დაისახა XIV საუკუნის დასაწყისშივე და უფრო ადრეც. „კონცეფციის“ ციტირებული სიტყვები მხოლოდ უთავმოყვარეობაზე მეტყველებს და ვერავისგან პატივისცემას ვერ დაიმსახურებს.

პუნქტი 5.6. ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის, კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

ჩამოთვლილია კონკრეტული ნაბიჯები და პროგრამები, რომლითაც საქართველო ზრდის თავის ქმედუნარიანობას ევენტუალურ ტერორისტულ თავდასხმებთან ბრძოლაში, მაგრამ კრინტი არაა დაძრული მთავარზე: საქართველოს უშიშროების სამსახურები თითს არ აკარებენ ევენტუალური ტერორიზმის ყველაზე საშიშ ცენტრს – რუსულ სპეცსამსახურებს, რომელთაც საქართველოში საიმედო „სახურავი“ აქვთ რუსული სამხედრო ობიექტების სახით, აგრეთვე სხვა რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურებს. ეს გარემოება მსჯელობას არასერიოზულად ხდის. არგუმენტაცია, რომ ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობით საქართველო „მდიდარ გამოცდილებასაც იძენს“ და კაცობრიობის ამ მწვავე ამოცანის გადაჭრაში თავისი წვლილიც შეაქვს, სწორია (ეს უდავო გახლავთ), მაგრამ ცალმხრივია: მას უნდა ახლდეს განმარტება იმისა, თუ რა დამატებითი ტვირთი აწვება და პასუხისმგებლობა ეკისრება ამით საქართველოს სამსახურებს იმის წყალობით, რომ საქართველოს ეს მოქმედება რეალური ისლამური ტერორისტების ყურადღებასაც იზიდავს საქართველოსაკენ და რუსეთსაც აძლევს საშუალებას, საქართველოში ტერაქტები მათი სახელით მოაწყოს. „კონცეფციის“ ამ მონაკვეთში მკაფიოდ უნდა იყოს გაცემული (უარყოფითი) პასუხი იმაზეც, თვლის თუ არა საქართველო „ტერორისტებად“ რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩეჩნებს.

პუნქტი 5.7. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

ამ პუნქტის სახეს ქმნის თვალში საცემი სიცრუეების კასკადი, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის დასახელება „მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისა“ (მაშინ, როცა სინამდვილეში მას ახრჩობს არარაციონალური საგადასახადო სისტემა ერთის მხრივ და სახელმწიფო რეკეტი, კორუფციითურთ, მეორე მხრივ), „მიწის ბაზრის განვითარებისა“ (მაშინ როცა მიწის უცხოელებზე გაყიდვით, რაც დაკანონდა, გზა ეხსნება ქართველი გლეხობის ტოტალური პაუპერიზაციის მიზანმიმართულ პროცესს), „რეგიონებსა და დედაქალაქს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას“ (მაშინ, როცა რეალურად შემოღებულია რაიონების უელექტროდენოდ დატოვების პრაქტიკა), „კონკურენტული გარემოს და ბიზნესში თანაბარი შესაძლებლობების პირობათა შექმნისა“ (მაშინ როცა რეალურად ბიზნესში სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მაფიური მონოპოლიზმი სუფევს) და ა.შ. „მასშტაბური პრივატიზაცია“, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ღირსება, რეალურად სხვას არა ნიშნავს რა თუ არ სახელმწიფოს ხელიდან პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სტრატეგიული ობიექტების დატაცების აქსელერაციას. ტექსტის დანარჩენი ნაწილი ეძღვნება „მიღწევების“ ყალბ ჩამონათვალს კომუნისტური საბჭოური პროპაგანდის სტილში. პრიმიტიული აზროვნებისა და უპასუხისმგებლობის მკაფიო გამოვლინებაა ის, რომ „კონცეფცია“ არ სახავს მიზანს: საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის მუდმივად მოფუნქციე გარანტირებული სისტემის მოაზრებას და შემდეგ შექმნას.

პუნქტი 5.8. სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა

ამ პუნქტის მთავარი მახასიათებელია ძირითადი სახელმწიფო სოციალური საფრთხის – მასობრივი ემიგრაციის – დამალვა. დანარჩენი ტექსტი შედგება კომუნისტური სტილის პროპაგანდისტული ტრაბახისაგან არარსებული მზრუნველობისა და მიღწევების თემაზე. ცინიკური სიცრუეა განათლების სისტემის ნგრევის ცნობილი პროცესის წარმოჩენა „განათლების თანამედროვე სისტემის

ინტერვიუ სახალხო ფრონტის ლიდერთან ნოდარ ნათაძესთან

— ყველანი ვხედავთ, რომ ხელისუფლებას საქართველო გადარჩენისკენ არ მიჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ გადარჩენისთვის ობიექტური პირობები არსებობს. როგორ ფიქრობთ: რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სახელმწიფო გადარჩეს?

— ამისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ისაა, რომ შეიცვალოს ხელისუფლება, სახელდობრ, შეიცვალოს არამარიონეტი ხელისუფლებით. 1992 წლის 6 იანვრიდან საქართველოს მარიონეტი ხელისუფლება ჰყავს, კონკრეტულად — რუსეთის მარიონეტი, უფრო ზუსტად კი — რუსეთის პირდაპირი აგენტი და, რუსეთის ნებართვით — პარალელურად სხვისი მარიონეტიც. მაგრამ ხელისუფლების შეცვლას წინ უძღვის ერთი აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც მისი შეცვლა არა მხოლოდ შეუძლებელია, არამედ დაუშვებელიც: წინასწარ უნდა იყოს მზად ან თითქმის მზად ის ხელი, რომელიც სახელმწიფოს საჭეს დაედება, ანუ მმართველი გუნდი, კომპეტენტური და ერთგული ჯგუფის სახით, უხეში მიახლოებით მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ მარიონეტს მეორე მარიონეტი შეცვლის — ან ისეთივე ცუდი, ან უარესი. საქართველოში ე.წ. ხუნტა, რომელიც რუსეთის აგენტურა იყო და არის, რუსეთისვე აგენტმა შევარდნაძემ შეცვალა, შევარდნაძე — ისევ აგენტურულმა დღევანდელმა ხელისუფლებამ. ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთის ბატონობის ხანა გრძელდება.

— როგორ უნდა შეიქმნას ეს სახელმწიფოს საჭეზე დასადები ხელი?

— პირველ ყოვლისა — გონებაში და ქაღალდზე, სახელდობრ, ხელთ უნდა გვქონდეს სრული და სწორი ხედვა და ცოდნა იმისა, ვინ გვიტევს, როგორ გვიტევს, რით შეგვიძლია შეტევის მოგერიება და როგორ. ერთი სიტყვით — უნდა გვქონდეს სიტუაციის ანალიზი. ამ ამოცანასთან ერთად ავტომატურად წყდება მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი — საპროპაგანდო ომის მოგება, ანუ სახელმწიფო იდეოლოგიის დაფორმულება სათანადო აკადემიურ დონეზე და მსოფლიოსათვის მისი გაცხადება. დღეს ეს გაცხადება უნდა მოხდეს უვარგისი ხელისუფლებისათვის გვერდის ავლით. ამ პირველი ამოცანის სხვა ნაწილებია სიტუაციის დარგობრივი გააზრება. და დარგობრივი დაგეგმვა. მაგალითად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, უხეში მიახლოებით მაინც, რა საგადასახადო სისტემა უნდა შემოვიღოთ ხელისუფლების შეცვლის მესამე დღეს, არსებული ძალების რა დისლოკაცია უნდა განვახორციელოთ ხელისუფლების შეცვლის პირველ დღეს, სასამართლო სისტემის რა რეფორმირება უნდა მოვახდინოთ მეჩვიდმეტე დღეს და ა.შ. ამოცანის მესამე ელემენტია ყველა ამ დარგისათვის კადრის შექმნა. ვგულსხმობ, ცხადია, რომ პოლიტიკური კადრი თვით ბრძოლის პროცესში იქმნება, მაგრამ, რა თქმა უნდა — და ეს მთავარი გახლავთ — წინასწარ მიღწეული დარგობრივი მომზადების ფონზე. ამ მიმართულებით მუშაობა მიდის და ჩემთვის სრულებით უეჭველია, რომ იგი ძალიან მოკლე ხანში შედეგს მოიტანს. ეს საქართველოს გადარჩენის ამოცანის მხოლოდ ერთი მხარე გახლავთ — ასე ვთქვათ, პრობლემისადმი მიდგომა მხოლოდ ერთი ბოლოდან, თუმცა პრობლემას მეორე ბოლოც აქვს.

— ალბათ, არ ფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ადვილია. თუ ასე არ ფიქრობთ, მაშინ რა მიგაჩნიათ სიძნელის მთავარ მიზეზად?

— ერთ-ერთი დიდი მიზეზი — თუმცა, ცხადია, არა მთავარი, — არის საქართველოს უვარგისი ანტიქართული ხელისუფლების მხარდაჭერა დასავლეთის მიერ. მხარს უჭერდნენ შევარდნაძეს, მხარს უჭერენ მის ლეკვებს. შევარდნაძეს რომ დასავლეთისათვის სასურველი კაცის იმეჯი არ ჰქონოდა ქართველი ხალხის თვალში, არამედ იმისა, რაც იგი ნამდვილად იყო — რუსეთის უსწავლელი აგენტისა, — იგი ვერ მოუტანდა საქართველოს მთელ იმ ვნებას, რაც მოუტანა, და აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ ხალხი დილის 6 საათზე არ ჩადგებოდა რიგში მისთვის ხმის მისაცემად, როგორც 1995 წლის 11 ოქტომბერს ჩადგა. ამის მოწმე, სამწუხაროდ, ჩემი თვალით ვარ. რატომ არ ისურვა დასავლეთმა დღემდე, საქართველოში პატრიოტებს დაყრდნობოდა და არა რუსეთის აგენტებს, ყველანაირ „უმცირესობებს“, ერის პოტენციურსა და რეალიზებულ მოღალატეებს, ყველანაირი კომპლექსებისა და უცხოელის ძალაზე დამყარებული ამბიციების მატარებლებს? იმიტომ, რომ დასავლეთის კურსი არ ითვალისწინებდა საქართველოს ფეხზე დადგომას სახელმწიფოებრიობის ძირითად პარამეტრთა დიდ ნაწილში (ჯარის გაწვრთნა, ჯანდაცვა და ერთიერი სხვა სფერო ამ მხრივ გამონაკლისია), იგი, პირიქით, ითვალისწინებდა საქართველოს დეზაბილიტაციას (დაუძლურებას) წარმოების მხრივ, განათლების მხრივ, ჯანსაღი ეროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების მხრივ. საქართველოს მართვის სქემა ასეთი იყო (და არის): საქართველოს ხელისუფალი რუსს ემსახურება პირნათლად, რუსეთის ნებართვით — ამერიკელსაც (და კიდევ არაერთ სხვას); მართალია, იგი ამერიკელს ხშირად ატყუებს (ან მის მოტყუებას ცდილობს) რუსის სასარგებლოდ, მაგრამ სამაგიეროდ სიტყვის შეუბრუნებლად ყიდის საქართველოს ქონებას დედაბუდიანად, მორჩილად ანადგურებს და ადამბლავებს მას, რათა იგი უნებო და ფაქტობრივად უსახელმწიფოო დასახლებულ (შემდეგ კი — დაუსახლებელ და ახალ მოსახლეთა მომლოდინე) ტერიტორიად აქციოს. ასეთი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, თუ მას გრძელ პერსპექტივაში განვიხილავთ, ამერიკელებისათვის მომგებიანი არ არის: იგი აქვეითებს მათ შესაძლებლობას, რომ შუა აზიის მოსახლეობისათვის, რომელიც საქართველოსას თანრიგით და მეტით აღემატება რაოდენობრივად, სასურველი პარტნერები გახდნენ, ანუ აქვეითებს მათ კონკურტრენტუნარიანობას შუაა აზიელთა გულებისათვის ბრძოლაში, რომელთა რეგიონიც დღეს მათი უპირველესი სტრატეგიული დაინტერესების ასპარეზი და საგანია. ამერიკელების და, საერთოდ, დასავლეთის დათანხმება და დაყოლიება სხვა პოლიტიკაზე, სახელდობრ, — საქართველოს მოკავშირედ მიჩნევის პოლიტიკაზე შეუძლებელი არ არის. მაგრამ ამას საქართველოს სხვა ხელისუფლება — სხვა ხარისხისა და პიროვნული თვისებების მქონე ხელისუფლება სჭირდება.

— როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ხელისუფლების შეცვლა? რევოლუციით?

— არა. „რევოლუცია“ არცერთი თვალსაზრისით სასურველი არ არის. ქუჩაში გამოსვლამ უნდა მიაღწიოს მხოლოდ სამ რამეს: მერების არჩევითობას, რეალური საარჩევნო კანონის მიღებას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება იმდენად სუსტია, რომ მის მოსაცილებლად ესეც კმარა. მაგრამ, ვიმეორებ, ამას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა გამზადებულია სახელმწიფო საჭის ამღები რეალური არამარიონეტული ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება უპასუხისმგებლოთა და არასერიოზულ პირთა ავანტურასთან ან სულაც აგენტურულ პროვოკაციასთან. ე.წ. „ესენი“, ანუ დღევანდელი ხელისუფლება, იმ ტიპის უმწიფარობით ხასიათდება, რომელმაც შეიძლება სასხლეტის მეტისმეტად ადვილად გამოკვრისაკენ უბიძგოს. ეს სახიფათოა. ამგვარი ხიფათის რეალიზაციას გულმხურვალე მონატრული ჰყავს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების (მაგრამ არა მხოლოდ მათი) სახით.

ბრძოლის სკოლა თუ „ბრძოლის“ ჯრეხული

ჩამოყალიბებად“. საგანგაშოა „სოციალური მობილობის ზრდის“ წარმოჩენა პლუსად: ამ პროცესს, ანუ ადამიანთა სოციალური როლისა და ადგილის ცვლას (რომელიც დამავალია ყველასათვის გარდა ხელისუფლების კამარილისა და ხუნვეიბინური სტილის ახალგაზრდობის მცირერიცხოვანი ფენისა) საქართველოში უამისოდაც უკვე კატასტროფული მასშტაბები აქვს.

პუნქტი 5.9. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა

„კონცეფცია“ არ ახსენებს, ანუ მალავს, საფრთხეებს, სახელდობრ, საქართველოსათვის მისი ენერგეტიკული ბაზის (დროებითი) მიზანმიმართული პარალიზაციის შესაძლებლობას გეოსტრატეგიულად მოწინააღმდეგე მიმწოდებლის (რუსეთის) ან საქართველოში ენერგეტიკული ობიექტების (ჰესების) მტრულად განწყობილი მესაკუთრის (იმავე რუსეთის) მიერ. სახელმწიფოს ხელში სახელმწიფოს თუნდაც სათავდაცვო ფუნქციებისათვის საჭირო ენერგეტიკული სიმძლავრეების არსებობის საჭიროებაზე ეს დოკუმენტი არაფერს ამბობს. მეტიც, აქ ლაპარაკია გეოსტრატეგიულად მოწინააღმდეგე უცხო მესაკუთრეებზე საქართველოს დამოკიდებულობის გაძლიერების, როგორც სასურველი მოვლენის, შესახებ (ელექტროდისტრიბუციის სისტემისა და ზოგიერთი ელექტროსადგურის „პრივატიზაცია“).

პუნქტი 5.10. ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა

„კონცეფცია“ არც ახსენებს ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს ინფორმაციის დაცვის სფეროში, როგორიცაა საქართველოს უშიშროებისა და წესრიგის დამცავი ორგანოების დაუცველობა მოწინააღმდეგის აგენტურისაგან (უფრო ზუსტად — მისი გაჯერებულობა ამ უკანასკნელით), რაზეც მეტყველებს ამ სფეროს არაერთი მაღალთანამდებობიანი მუშაკის რუსეთში შეფარების ფაქტი მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან წასვლა მოუხდათ (გიორგაძე, თარგამაძე, კვირაია და მრავალი სხვა). ეროვნული უშიშროების საბჭოსთან ინფორმაციის დაცვისათვის განკუთვნილ სხვადასხვა უწყებათა შექმნა, რასაც დოკუმენტი აღნიშნავს, როგორც პრობლემის მოგვარების ზომას, ვითარებას არ ცვლის, ვინაიდან ზემოთქმული ეხება მოწინააღმდეგის (რუსეთის) აგენტურისაგან დაუცველობას უშიშროების საბჭოშიც.

პუნქტი 5.11. ეკლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა

თუმცა სახელმწიფოსათვის არსებულ საფრთხეთა შორის „კონცეფცია“ არ ასახელებდა მოსახლეობის პერმანენტულ წამლვას იმპორტირებული არაკონდიციური საკვებით , დოკუმენტის ამ ნაწილში იგი აღნიშნავს ამ საკვების კონტროლის აუცილებლობას. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, ისევე, როგორც ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება საქართველოს კანონმდებლობისა ამ სფეროში. მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი აზროვნების სრული არარსებობისა და ეკოლოგიური აზროვნების პრიმიტიულობის მაჩვენებელია ის, რომ „კონცეფცია“ არ აყენებს მიზნად იმის განსაზღვრას (გათვლას) მაინც, თუ როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა, რათა საქართველოს ბუნებრივმა გარემომ ფუნქციობა შეძლოს, როგორც საქართველოს სიცოცხლის მარადიულმა ბაზამ.

როგორც წარმოდგენილი გადმოცემიდან ჩანს, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების „კონცეფცია“, პარლამენტის მიერ მიღებული, არ არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია: იგი არ შეიცავს არც რეალურ საშიშროებათა აღრიცხვას, არც მათი დაძლევის მეტ-ნაკლებად რეალური გზების განსაზღვრას და არც მსოფლიოს წინაშე იმ ძირითადი პოზიციებისა და პრინციპების გაცხადებას, საქართველოს ეროვნული ინტერესების სახით, რომელზედაც საქართველო დგას და იდგომება და რომლიდანაც უკან არ დაიხევს. „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციად“ მოწოდებული ტექსტი, რომელსაც მისი ბოლო პუნქტი „**6. დასკვნა**“ სიამაყით იხსენიებს, როგორც პირველ ასეთ დოკუმენტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, არის ერთი დიდი ბლეფი, უპასუხისმგებლო და პრიმიტიული, რომელსაც მიზნად ის კი არა აქვს, რომ ქვეყნის გადარჩენისა და დაცვისათვის გრძელვადიანი სამოქმედო სქემა შექმნას, არამედ მხოლოდ ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის იმ ნაწილს, რომლის ანგარიშგაწევაც ეკუთვნის, თავი კარგად აჩვენოს და, — ისევე, როგორც თავისი სიტყვისა და საქმის ყველა პარამეტრში აქვს ოცნებად, — მისგან ყოფაქცევაში „ხუთიანი“ მიიღოს. მაგრამ მხოლოდ ყოფაქცევაში და არა რომელსამე საქმიან საგანში! რადგან ლიტონი ფრაზები „თქვენი ვარ, თქვენი წყალობით ვარ, ქვე მთხლეკარ, ბატონო, ქვე კაცი არ გეგონო“, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, არც ნდობას ბადებს (ის, ვის სიტყვასაც ფასი აქვს, ასეთ სიტყვებს არ ხმარობს!), არც პატივისცემას, არც ანგარიშგაწევას და პარტნერობის სურვილს.

ამ სულისკვეთებისა და აზროვნების, ამ სტილის მატარებელი ხელისუფლება ვერასოდეს გაიზრდება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე გუნდად, ისევე როგორც ხვლიკი ვერ განვითარდება სახედრად ან შაშვი — პტეროდაქტილად. ის, რისი ქმნაც მას არ შეუძლია (ამ შემთხვევაში — საქართველოს უსაფრთხოების საჭიროებათა და შესაძლებლობათა რეალური გააზრება), ქართველმა საზოგადოებრიობამ თვითონ უნდა აიღოს საკუთარ თავზე, საჭირო შრომა გაწიოს და მისი ნაყოფი ხელისუფლების გვერდის ავლით წარუდგინოს ქართველ ხალხსაც და მის მტერსა და მოყვარესაც, რათა ცნობილი იყოს, რომ საქართველოს შეუძლია არა მხოლოდ ზემოხსენებული „ხუთიანისათვის“ მათხოვრობა, არამედ საკუთარი ეროვნული ინტერესების დანახვა და დაცვაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაელების გამოსვლა გაზის ზოლიდან

გაზიდან გამოჰყავთ 8000 სული, რომელნიც ცხოვრობენ 21 დასახლებულ პუნქტში, იორდანეს დასავლეთი ნაწილიდან — 4 დასახლება. როგორც წერს The Economist, არის ბევრი ცრემლი გადასახლებულთა მხრიდანაც და გამსახლებელთა მხრიდანაც (ეს გამსახლებელი იზრაელის არმიის

ძალით გაჰყავთ მოსახლეობა გაზის ზოლიდან

ნაწილებია), მაგრამ გასახლებამ მაინც ნაკლები დრო დაიჭირა, ვიდრე მოსალოდნელი და მიცემული ვადა იყო: სამი კვირა. გამოყვანილი მოსახლეობა მკვიდრდება გაზის ზოლის ახლოს გაშენებულ ახალ სახლებში, რომლებიც შეუდარებლად უარესია დატოვებულ სახლთა უმეტესობაზე, მაგრამ ცოტა უარესია ყველაზე უფრო ღარიბულზე მათ შორის. კომპენსაცია დატოვებული სახლებისათვის დაახლოებით 300 ათასი დოლარის გარშემო ტრიალებს.

ის, ვინც დასახლდება გალილეაში ან ნეგევში, დამატებით თანხას მიიღებს, რადგან ამ პროვინციებში არაბული მოსახლეობის პროცენტი დიდია და მთავრობა დაინტერესებულია, იქ ებრაელების რიცხვი გაზარდოს.

ბუნებრივია, რომ ყურადღება ინაცვლებს ახალი საცხოვრებელი პირობებისაკენ. მაგრამ გამოყვანილ მოსახლეობას უფრო აინტერესებს ის, თუ როგორი შედეგები მოჰყვება პოლიტიკურად ამ ოპერაციას, რომელიც დაშორიშორების აუცილებლობით არის მოტივირებული, ვიდრე ის, თუ როგორი საცხოვრებელი პირობებია ახალ ადგილას.

რა იქნება მერე? ეს დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, შეწყვეტენ თუ არა პალესტინელი მილიტანტები (მებრძოლი ორგანიზაციები) თავდასხმებს სარაკეტო და სანაღმმტყორცნო დარტყმების ჩათვლით. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოერევა პალესტინის ოფიციალური ხელისუფლება ამ მებრძოლ ორგანიზაციებს და მთავარი ისლამური პარტიის — ჰამაზის — გავლენას. თუ ეს მებრძოლი ორგანიზაციები ებრაელი მოსახლეობის გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა და თავდასხმა განაგრძეს, მაშინ ეს შეაჩერებს სამშვიდობო პროცესს და ყოველივე ჩაითვლება პალესტინელთა ბრალად. ნოემბრის არჩევნებზე პარტია „ლიკუდის" ლიდერობისათვის იბრძოლებენ შარონი და ნათანიაჰუ. ლიბერისტული პარტია იმთავითვე დღევანდელი ლონისძიების მომხრეა.

იმას, რაც ახლა მოხდა ისრაელში, დიდი ხანია მოელიან. ჟურნალ NewsWeek-ის 24 ივნვრის ნომერში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მოიქცევა, — და როგორ უნდა მოიქცეს — არმიის სამხედრო მოსამსახურე, როცა მას აწყვეტინებენ თორმეტკვირიან ოპერაციას, რომელის მიზანია 21 დასახლების დაცლა გაზის ზონაში და ოთხისა — იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. ციტირებულია ორი კაცის ნათქვამი. ერთია 25 წლის სერჟანტი ავიამედესანტე, განსაკუთრებულად ძნელ ადგილებში ნაბრძოლი და ამჟამადაც თოფქვეშ მყოფი. მას გადაწყვეტილი აქვს არ მიიღოს მონაწილეობა გამოსახლების ოპერაციაში და ამისთვის ციხეში წავიდეს. მეორეა სამოქალაქო პირი, იმ დასახლების მაცხოვრებელი, რომელსაც აყრა ელის. იგი ფიქრობს, რომ არმიამ ყველა შემთხვევაში უნდა შეასრულოს ბრძანება. თუ არმიაში განხეთქილება მოხდება, ეს ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს სახელმწიფოსათვის.

ჟურნალი წერს აგრეთვე ხელმოწერების შეგროვების ჩუმ კამპანიაზე, რომელმაც, ჩანაფიქრით, მთავრობას ხელი უნდა ააღებინოს თავის განზრახვაზე.

ერაყში დიდი ხანია ეს ესმით

ჯერ კიდევ ა.წ. თებერვლის ნომერში ჟ. NewsWeek სიტყვას აძლევს ანალიტიკოსს, რომელიც ნათლად ხატავს ერაყში ამერიკელების დარჩენის სიძნელეებსაც და მათი იქიდან გამოსვლის სიძნელეებსაც. მთავარი ის არის, რომ ამერიკელების გამოსვლის შემთხვევაში ერაყი არ დასტაბილდება და არ შედგება, როგორც სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ იქ რეალური არჩევნები ჩატარდა. რატომ? იმიტომ, რომ ერაყული არმია, რომელიც შექმნეს და ქმნიან, არ კმარა ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა შესაკავებლად და არჩეული პარლამენტი თავისი, პრესტიჟით არ კმარა ვნებათა შესაკავებლად ამერიკელების იქ ყოფნის გარეშე. იქნება სამოქალაქო ომი შიიტების, სუნიტების და ქურთების მონაწილეობით, რომელსაც დასასრული არ ექნება. ამით გაიხარებენ არა მხოლოდ ალ-ყაიდა და მისი სულისკვეთების მატარებელნი, არამედ ამერიკელების ყველა მტრები და დემოკრატიის ყველა მტრებიც. მაგრამ ამერიკელების დარჩენაც ძალიან ძნელია. ანტიამერიკული განწყობილება ძალიან გავრცელებულია (რადგან მათ ვერ გაამართლეს დასტაბილებისა და უკეთესი ცხოვრების იმედი, რომელიც თან მოჰყვათ), და წინააღმდეგობები ხსენებულ ჯგუფებს შორის ძალიან დიდია.

ავტორის (ფარიდ ზაქარია) აზრით, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სადაც ამერიკელები შევიდნენ და გამოვიდნენ, იქ ქაოსი და სისხლისღვრა დარჩა. სადაც შევიდნენ, მაგრამ არ გამოსულან, იქ სიტუაცია თანდათან დარეგულირდა ან რეგულირდება. ავღანეთში დღეს შედარებით ნორმალური მდგომარეობაა, მაგრამ თუ ამერიკელები იქიდან გამოვიდნენ, იქ იქნება სისხლიანი ქაოსი და ნარკოსახელმწიფო — ნარკოტიკების ყოვლისწამლეკავი წარმოება. ამერიკელების ერაყიდან დაუყოვნებელი გამოსვლის მოთხოვნა („არჩევნები ხომ ჩავატარეთ, ახლა მათი საქმეაო") არც ქორული პოლიტიკაა, არც მტრედული. ეს სრაქლემას პოლიტიკაა, ამიტომ ამერიკაში ხმები გაყოფილია.

სადამ ჰუსეინის ჩუმი ნავთობი

როგორც ფიქრობს ჟურ. News-Week-ი, სადამ ჰუსეინმა იმ წლების მანძილზე, რაც ერაყის ნავთობი ემბარგოდადებული იყო, მონახა გზები, გვერდი აევლო ნაწილობრივ ამ ემბარგოსათვის და გაეროს მიერ დაშვებული პროგრამით „ნავთობი საკვების ნაცვლად" მილიარდობით დოლარები ეშოვა. ერაყიდან ნავთობი გადიოდა და მისი დამმალავ-გამაპატიოსნებელი ფირმები, ისევე როგორც საბოლოო მყიდველები, ძალიან ხშირ შემთხვევაში ამერიკელები იყვნენ. ჟურნალი ასახელებს ერთ მათგანს, ამერიკის მოქალაქეს ვინმე პოლნერს, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს და მრავალი ფირმა აქვს.

რეალური კრიზისი პუტინის რუსეთში

„რა არის დღეს რუსეთის მთავარი პრობლემა? უმრავლესობას მზა პასუხი აქვს: პრეზიდენტ პუტინის მიერ დემოკრატიის ხრჩობა. დიახ, მაგრამ არის უფრო დიდი პრობლემაც: არის თუ არა რუსეთი საკმარისად სტაბილური, რომ კვლავაც ერთიანი დარჩეს? რუსეთის ცოტა შემხედვარე თუ იტყვის, რომ რუსეთი დაშლის პირზეა მიმდგარი. მაგრამ ეს შესაძლებელია. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია მისი ახლანდელი საზღვრების შეცვლა. ცვლილებათა მოსალოდნელი ეპიცენტრი მუსლიმური ჩრდილო კავკასიაა. ეს ისეთი ადგილია, რომელსაც ცოტა ვინმე თუ აქცევს ყურადღებას კრემლის გარეთ, მაგრამ ჩვენ კი უნდა მივაქციოთ, რადგან იგი არ შედგება მხოლოდ ომით დაგლეჯილი ჩეჩნეთისაგან, რომელიც კონტროლიდან გადის. მისგან გადის მთელი რეგიონი, რომელშიც სუფევს აალებადი თანამოქმედება ტერორიზმისა, სილარიბისა, ეთნიკური დაძაბულობისა, გამუდმებული დამნაშავეობისა, კორუფციისა და რადიკალური ისლამისა, რამაც რუსეთი შეარყია და არყევს..."

„აქვს ფსკერი ამ მოვლენას? ეს ღრმად ფესვებგადგმული პრობლემები, შესაძლოა, რუსეთს მიერეკებიან მისი ავტორიტეტის პროგრესული კუმშვისაკენ მთელი მისი სამხრეთი საზღვრის გაყოლებით. ეს თუ მოხდა, ამით ძირი გამოეთხრება პუტინს და შეიძლება ამან მისი წასვლაც გამოიწვიოს. ამით ხდება რუსეთის გეოსტრატეგიული პოზიციის გარდაქმნაც. როგორც გვატყობინებენ. ისლამური რადიკალური უჯრედების ქსელმა უკვე ჩრდ. კავკასიის გარეთაც მოიცვა კრასნოდარი, სტავროპოლი და როსტოვი. ეს მზარდი ამბოხების სული, რომელიც მთელ ჩრდილო კავკასიას მოსდებია, ასუსტებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, რომელთაც მხარს უჭერს აშშ, სახელდობრ, საქართველოს და აზერბაიჯანს. თუ გავითვალისწინებთ საზღვართა დაუცველობას, ამ ტერორიზმის გამოძახილი ევროპასაც მისწვდება. როგორია პერსპექტივა ამ პოლიტიკური მოუსვენრობის პირობებში? დიახ, კრემლის მცოცავი ავტორიტარიზმი შემაშფოთებელია, მაგრამ იგივე ითქმის არეულობაზე მოსკოვის ცოტა სამხრეთით. — ასე მსჯელობს ამერიკელი ჟურნალისტი.

ისლამისტები აჩრდილავენს იგებენ. ეშინოდეს დასავლეთს?

ეს მოვლენათა ბუნებრივი განვითარებაა და ბუნებრივი პერსპექტივაა. ლოგიკურია — და, ამდენად, გარდუვალია, — რომ რაგინდარა არადემოკრატიული და „ბნელი" საზოგადოებები მიხვდებიან დემოკრატიული მექანიზმების უპირატესობებს, საზოგადოებაში არსებულ ძალთა ეფექტიანი გამოყენებისათვის მაინც, და არჩევნების გამართვას მოისურვებენ. ისიც ბუნებრივია, რომ ისლამური ქვეყნები არ აიღებენ ხელს თავის ღრმა დაპირისპირებაზე დასავლეთისადმი და ამ არჩევნებში, თუკი პროცედურა რეალისტური იქნება, გამარჯვებას ისლამისტები მოიპოვებენ ხოლმე. ასეც ხდება და ჟ. ECONOMIST ამ მოვლენას საგულისხმო ანალიზს უძღვნის.

საუდის არაბეთში ამას წინათ ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები პირველი იყო 40 წლის ინტერვალის შემდეგ. ამ არჩევნების ფაქტი, ჯერ ერთი, პლუსია არაბეთის მმართველი დინასტიისათვის, როგორც იმის ნიშანი, რომ იგი არც ისე ავტოკრატიულია. ეს შველის ამერიკელებთან ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს გაფუჭებული ურთიერთობის გასწორებას. მეორეც, ბუშს აძლევს საშუალებას, უფრო ლამაზი სახე მისცეს თავის თბილ დამოკიდებულებას თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ახლოაღმოსავლელი მოკავშირისადმი, რომლის მიწაზეც ძრავალ ტერორისტს ჩუმი ბუდე აქვს. (საუდის არაბეთს ის დამსახურებაც აქვს ამერიკელებთან, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მან დიდი და წარმატებული კამპანია ჩაატარა ისლამისტების საბრძოლო გზნების ჩასაცხრობად). მესამეც, ბუშს ამ ფაქტმა გაუადვილა საუდის არაბეთის მხარდაჭერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) მისაღებად და დიპლომატიური მუშაობის გასაძლიერებლად, რათა ცნობილ იქნას პალესტინის სახელმწიფო, რაც საუდის არაბეთის მმართველი დინასტიისათვის განსაკუთრებით სასურველია (ეს, სხვათა შორის, გასაღებს იძლევა იმის ასახსნელად, რატომ გახდა იზრაელი იძულებული თავისი დასახლებები მოეშალა გაზის ზოლში და იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე). მეოთხეც, არჩევნებმა მისცა დინასტიას იმის ილუსტრაციის საშუალება, რომ მას კი არ უნდა ქვეყნის კონსერვატიულად დაცვა, არამედ თვით ხალხს. მეხუთეც, არჩევნებით და მათი შედეგებით არაბეთის ხელისუფლებამ გააფრთხილა ამერიკელები, რომ თუ მართალა უნდათ არაბთა დემოკრატიზაცია, რათა ზღუდე აღუმართონ ექსტრემიზმს, ისინი უნდა შეურიგდნენ (ხოლმე) არჩევნების ისეთ შედეგებს, რომელიც მათთვის მუდამ სასიამოვნო არ იქნება. ყოველივე ზემოთქმული ძალაშია იმის მიუხედავად, რომ არჩევნების პროცესი სრულებითაც არ არის სანიმუშო: ქალები არ მონაწილეობდნენ, ყველაზე ავტორიტეტული ადამიანები, რომელნიც შეიძლებოდა არჩეულიყვნენ, განზე იყვნენ გამდგარნი, ასარჩევი ორგანოების შემადგენ-

ლობაში დიდი ნაწილი მაინც დანიშვნითი დარჩა და ა.შ.

არჩევნებში ისლამურმა ძალებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ისლამის ძალა იზრდება. ეს ხდება არა მხოლოდ არაბებში, არამედ სხვაგანაც. ერაყში — შიიტებშიც და სუნიტებშიც, — წამყვანი პოლიტიკური ძალა ისლამური (და არა სუნიტული) პარტიები აღმოჩნდნენ: ასევე ნაწილდება პოლიტიკური პრესტიჟი ეგვიპტესა და იორდანიაში. მაროკოშიც როიალისტმა ისლამისტებმა ცალკე და დისიდენტმა ისლამისტებმა — ცალკე შეავიწროვეს ერთ დროს გაბატონებული სოციალისტები და ლიბერალები.

ამ ჯგუფებს აერთიანებს არა უბრალოდ ისლამური ღირებულებების ერთგულება. ისლამური სამყაროს ძალიან ფართო პოლიტიკური სპექტრის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, ეს ისლამური პარტიები, რომლებიც წინ იწევენ, შედარებით პროგრესულნი არიან, მათ ძალას კვებავს მასის უკმაყოფილება, არსებული ავტოკრატიული რეჟიმების ხელიდან პირობების გაუმჯობესების ვერმილება, ერთის მხრივ, და გაღიზიანება ისლამისადმი დასავლელთა უარყოფითი დამოკიდებულების გამო, მეორეს მხრივ, მაგრამ ამავე დროს მათ მნიშვნელოვანწილად შეთვისებული აქვთ დასავლური ღირებულებებიც, როგორიცაა დემოკრატია და აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა. საყურადღებოა, რომ მრავალი სამღვდელო პირი, რომელიც ხსენებულ არჩევნებში ისლამისტური ძალების მესიტყვე იყო, არ ეკუთვნოდა ოფიციალურ ვაჰაბისტურ სამღვდელოებას. თუ ოფიციალური პირები ქადაგებენ ბრმა მორჩილებას მონარქისადმი, ესენი, პირიქით, ქადაგებენ, რომ მმართველებს პასუხისმგებლობა აქვთ ხალხის მიმართ. მრავალი ისლამისტი კანდიდატი, ვინც გაიმარჯვა, წვეროსანი ისლამისტი კი არ იყო, არამედ საჯარო სამსახურის მომცველი ბიოგრაფიის მქონე ტექნოკრატი. მათი აქცენტი უფრო მოდის ძირითადი ისლამის სტრუქტურის შენარჩუნებაზე, ვიდრე დეტალებზე, როგორიცაა ხმის უფლება ქალებისათვის და ა.შ. მათი სურვილია აგრეთვე სახელმძღვანელოთა გაწმენდა ურჯულოთა მიმართ სიძულვილის შხამისაგან.

ისლამის მოდერნიზაციის სულისკვეთება საუდის არაბეთში ბევრად უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე სადმე სხვაგან. მაროკოში, მაგალითად, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას ფართო მასშტაბი აქვს.

ეგვიპტეში „ისლამური საქმის" პარტია იბრძვის საპარლამენტო მმართველობისათვის, ძალაუფლებათა გაყოფისათვის და უმცირესობათა უფლებებისათვის. ლიბანში ჰიზბულას მეტი დემოკრატიული მოთხოვნები აქვს, ვიდრე შიიტურ რელიგიურ პარტიას — ამალს. ერაყელ შიიტთა სულიერი ლიდერი აიათოლა სისტანი ებრძვის მწვალებლებსაც და ირანისებრი თეოკრატიული მმართველობის იდეასაც.

საუდის არაბეთის ამომრჩეველმა უარი უთხრა ლიბერალ მოსოცოალისტო კანდიდატებსაც და ექსტრემისტ კონსერვატორებსაც. ეს ტენდენცია გაღრმავდება. შესაბამისად, ვაშინგტონშიც უფრო და უფრო ფეხს იკიდებს აზრი, რომ ხალხის არჩეული მთავრობა სჯობია შერყეულ ავტოკრატიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლობალიზაცია, ცივილიზაცია, პოეზია

აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელთაც საკუთარი დიდი კულტურული ტრადიცია აქვთ, მწვავედ დგას პრობლემა, რომელიც ქართველებს დიდი ხანია გადაჭრილი გვაქვს: დასავლურ ცივილიზაციასა და კულტურასთან დამოკიდებულების პრობლემა. ქართველებს იმთავითვე შეგნებული გვაქვს, რომ იმ დიდ ცივილიზაციას ვეკუთვნით, რომელიც დღეს მსოფლიოს დიდ ნაწილს მართავს, და მასში თუ მის გვერდით გვაქვს საკუთარი განუმეორებელი ადგილი და სახე, რომელიც არ უნდა დავკარგოთ. რა ქნან ისლამურმა კულტუროსანმა ერებმა, რომლებიც სხვა არიან — არც ქრისტიანული კულტურის მემკვიდრენი არიან, არც რაინდული ცივილიზაციის ეპოქა გაუვლიათ, არც რომანტიზმს დასწაფებიან, როგორც საკუთარს, და არც XIX საუკუნის დამლევის კულტურული კრიზისი განუცდიათ თავისად? ჟურ. NewsWeek-ის პუბლიკაცია გვაცნობს 36 წლის პოეტ ქალს საუდის არაბეთიდან, რომელიც ინგლისურად წერს და არაბულად არ თარგმნის თავის პოეზიას, რათა ალიტერაცია არ დაეკარგოს. მისი სიუჟეტებია კონფლიქტები ერაყსა და ავღანეთში, რელიგიური პოლიცია მის ქვეყანაში, პალესტინური „ინტიფადა" და გლობალიზაციის შეტევა ძველ ტრადიციებზე, რაც მის სამშობლოში დიდი პრობლემაა. წარმოშობით ინტელექტუალურ ელიტასა და მეცნიერთა ოჯახს ეკუთვნის. მამა 8 წლისას უკითხავდა შექსპირს ინგლისურად, ოცნებობდა ასტრონავტიკაზე, 15 წელი იმუშავა მთარგმნელად, რედაქტორად, ავტორად; მაგრამ აინტერესებს თავისიანების — თანამედროვე შრომით ასპარეზზე გასული საუდიელი არაბი ქალების — ხვედრი. სავსებით აკულტურირებულია ინგლისურ სამყაროში. ქართველებს თვალში გვეცემა — და კითხვადაც გვიყალიბდება, — ერთი: ნიჭიერ პოეტ ქალს არ გააჩნია (და ტიპიურ შემთხვევაში არ უჩნდება) სურვილი და მოვალეობის განცდა, რომ ახალი თემები და მოტივები, რაც ინგლისურენოვან ცივილიზაციას მოაქვს, თავის ენაზე ააჟღეროს, თავის მწერლობას ახალი ნუანსები, თემები, ამოცანები, გამოწვევები, სიტყვები და გამოთქმები შეჰმატოს? ქართული მწერლობის განვითარება სხვა და, ალბათ, უკეთესი გზით მიდის და ამაში წვლილი აქვთ არა მხოლოდ სამოციანელებს, რომელნიც ჩვენთან ყველაზე ახლოს არიან, არამედ უძველეს ტრადიციასაც შუა საუკუნეებიდან დღემდე.

ეკონომიკასაც თავისი ამინდი აქვს

ეს ამინდი დაახლოებით ათწლეულში ერთხელ იცვლება. ჟ. NewsWeek-ს მიაჩნია, რომ 1970-იან წლებში ამ დარგის ჩემპიონი იყო გერმანია. თავის შეგირდთა მომზადების პროგრამებით, მუშების მონაწილეობით დირექტორთა საბჭოებში, მძლავრი პროფკავშირებით და განშტოებული სოციალური კეთილდღეობის პროგრამებით. 1980-იან წლებში ეს იყო იაპონია, სადაც მშრომელს ეძლეოდა სამუდამო (სიკვდილამდე) დასაქმება და ასაკობრივი დანამატი ხელფასზე. 1990-იან წლებში ეს იყო, უდავოდ, შეერთებული შტატები. მაგრამ ახლა მისი წინსვლა შეფერხებულია. უმუშევრობა მცირეა, მაგრამ დასაქმების ზრდა ანემიურია. მაღალკვალიფიციური მშრომელები უყურებენ, როგორ გადააქვთ წამყვან ფირმებს ყველაზე კარგი სამუშაო ადგილები ჩინეთში და ინდოეთში. დოლარი დაეცა, სავაჭრო დეფიციტმა ახალ სიმაღლეებს მიაღწია, საბიუჯეტო დეფიციტი, პროგნოზით, მაღლა და მაღლა წავა. აშშ რომ განვითარებადი ქვეყანა იყოს, სავალუტო ფონდი მას მკაცრი რეცეპტით გაუმასპინძლდებოდა: შეკვეცეთ დეფიციტი, მოახდინეთ მართული რეცესია (წარმოების შემცირება) იმპორტის შესამცირებლად, აწარმოეთ მეტი და უფრო იაფი ექსპორტი, მეტი კომპანიები და საწარმოო სიმძლავრეები მიჰყიდეთ ჩინეთს, იაპონიას,

ევროპას. ბევრნი ფიქრობენ, რომ დღევანდელი დეკადის ვარსკვლავად ყოფნა ჩინეთს უწევს. ეკონომიკური ზრდა მას ყველაზე დიდი აქვს. ღარიბმა ქვეყანამ, მან არაჩვეულებრივი სისწრაფით მოახდინა მოდერნიზაცია და მასობრივი დაბანდება როგორც ადამიანურ, ისე ფიზიკურ კაპიტალში, ამასთან — სწრაფი პროგრესი განახორციელა მაღალი ტექნოლოგიების სექტორში, სადაც ისტორიულად გაბატონებულია აშშ. ჩინეთის სისუსტეებია: დიდი დისპროპორცია ქალაქსა და სოფელს შორის, კორუფცია და სუსტი სამართალდამცავი სისტემა, სუსტი საბანკო სისტემა, დაბინძურება, სუსტი ჯანდაცვა და დემოკრატიულ პროცესთა არარსებობა. განვითარებადი ქვეყნები რომ ერთ ათწლეულში ეკონომიკურ წარმატებას აღწევენ, მეორეში ჩავარდნა მოსდით ხოლმე (ინდონეზია, არგენტინა...). ჩინეთზეც ხომ არ გავრცელდება ეს?

რატომაა ძნელი პროგნოზირება ეკონომიკაში? იმიტომ, რომ ეკონომიკური პრობლემები იცვლება. 1970-იან წლებში პრობლემა იყო ინფლაციური შოკის დაძლევა, რომელიც გამოიწვია ნავთობის გაძვირებამ, და გადახდათა ბალანსის პრობლემები, რამაც უპირატესობა მისცა იმ ქვეყნებს, ვისაც შეეძლო ხელფასებზე და ფასებზე შეთანხმებათა კოორდინირება. 1990-იან წლებში პრობლემა გახდა მორგება უმუშევრობის მაღალ ციფრებთან და ახალ ტექნოლოგიებთან, რამაც წინ წამოწია ქვეყნები, სადაც იყო მუშახელის მაღალი მობილობა და ადვილი იყო კომპანიების შექმნა. დღეს პრობლემა ისაა, რომ მოერგოთ ჩინეთისა და ინდოეთის აღმავლობას, სადაც მოსახლეობა უზარმაზარია და ხელფასები დაბალი.

სხვა ყველაფერთან ერთად წარმატების ფაქტორია ბედიც. ეკონომიკური მოქმედება მოიცავს ელემენტებს, რომლის ხარისხის შეუმჩნეველი ნუანსები ისევე განსაზღვრავს მის წარმატებას, როგორც კინოფილმთა წარმატებას სალაროსთან.

11 სექტემბრის მოგონება

ეს მოგონებები გამოსცეს, ზოგი მაშინვე აღებული, ზოგი თვეების შემდეგ აღებული ინტერვიუების სახით. 503 მეხანძრე და მედმუშაკი ჰყვება იმას, რაც ნახა და განიცადა. ბევრნი იგონებდნენ, როგორ ხტებოდნენ ადამიანები ცეცხლით მოცული ზემო სართულებიდან. „ხუთი მილის მანძილიდან დავინახე, რომ შენობას რაღაცეები სწყდებოდა. ახლოს რომ მივედი, ადამიანები იყვნენ". „მეგონა, ნამსხვრევები ცვიოდა. შემდეგ დავინახე, რომ ადამიანები იყვნენ. ყველას ტანსაცმლის ფერი მახსოვს. ისიც მახსოვს, როგორ ხტებოდნენ. ზოგი ბარბაცით მოდიოდა, ზოგი ყვინთავდა, როგორც გედი". „დაახლოებით 30-40 სეკუნდის სიხშირით ეცემოდნენ დაბლა მინის გადახურვას. აფეთქებასავით ხმა ჰქონდათ. საკმარისად რომ შეეხედავდით, მერე აღარ გინდოდათ ყურება, რადგან იცოდით, რა იყო." (The Economist)

სირიის გასაჭირი



ბაშარ-ალ-ასადის, სირიის 39 წლის მემკვიდრეობითი პრეზიდენტის „იმეჯი" ფრიად დააზარალა ლიბანიდან მისი ჯარების გამოსვლის ფორმამ. ისინი, ფაქტობრივად, გამოყარეს საერთო-სახალხო დემონსტრაციის წყალობით. ჟ. Time-ის კომენტარით, მას ეს არ მოუვიდოდა, დროზე რომ დაეჯერებინა და თავისი 30-წლიანი ოკუპაცია ლიბანის ნაწილისა ნებით შეეწყვიტა. მისი მდგომარეობა ძალიან რთულია. ამერიკელებისაგან ზეწოლა აქვს, ერაყელი პოლიტიკოსები ძალიან ემდურებიან სისხლიანი მეამბოხეების დახმარებისათვის, საკუთარ ოპოზიციასთან პრობლემები აქვს. თუმცა ახლო აღმოსავლეთში ავტოკრატიული რეჟიმის დამხობა ადვილი არაა, ასადს მაინც გარანტია არაფრისა აქვს (TIME).

რა არგენინებს ქონდოლეზა რაისს?

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი თვალში საცემად ბევრს მოგზაურობს. მიზეზი ის არის, რომ, მისი აზრით, არ არსებობს უკეთესი დიპლომატია, ვიდრე პირდაპირ თქმაა. შედეგებიც შესაფერისი აქვს. მაგრამ მის კარგ შედეგებს ის მიზეზიც აქვს, რომ მას იმის თქმის უფლება ეძლევა, რისიც არ ეძლეოდა მისწინამორბედს ამ თანამდებობაზე კოლინ პაუელსს (ჟ. TIME)

როგორაა ნავთობის საქმე რეალურად?

ახალგაზრდა ჩერჩილმა — I მსოფლიო ომის დროს საადმირალოს პირველმა ლორდმა — ამ თანამდებობაზე ერთი რევოლუციის მოხდენა მოასწრო. მან ბრიტანეთის ფლოტი საკუთარი ნახშირიდან იმპორტულ ნავთობზე გადაიყვანა და ამით სიჩქარეში მოუგო გერმანულს. მას აქეთ ინგლისმა იცის, რომ უსაფრთხოება მხოლოდ საჭირო წყაროთა (ამ შემთხვევაში — ენერგიის წყაროთა) ალტერნატიულ სიმრავლეში დევს, ამიტომ ეძებს ნავთობს მთელ მსოფლიოში, რათა სხვებმა არ დაასწრონ. გასული საუკუნის შუაწლებიდან ამასვე აკეთებს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო — აშშ. რაკი არ უნდა საკუთარი მარაგის დაზარალება, იგი შეუთანხმდა ნავთობის აღმავალ მომწოდებელს — საუდის არაბეთს, — და თავისი ენერგეტიკა მისი რესურსებით არჩინა. ამასვე ესწრაფიან დღეს აღმავალი გიგანტები — ჩინეთი და ინდოეთი. ისინი ხარბად ჭიდაობენ ნავთობისათვის და მომპოვებელი ქვეყნებისაკენ — ლათინური ამერიკისაკენ, კანადისაკენ, რუსეთისა და აფრიკისაკენ ყველა საშუალებით გზას ეძებენ ქრთამების ჩათვლით. მაგრამ, The Economist-ის აზრით, მათი მილიარდები შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს.

დღეს ნავთობი მოფუნქციე (თავისი ფუნქციების შესაძლებლობებზე დამოკიდებული) მსოფლიო საქონელია და ნავთობის საბადოებში ჩადებული წილები ვერ დაგაზღვევთ ფასების ავარდნისაგან, რისგანაც ყველა შემთხვევაში შოკში ჩავარდნა გიწევთ (რაც შესაძლებელია, თუ ბარელის ფასმა 100 დოლარს გადააჭარბა). ასევე გიჟურია ამერიკელების მისწრაფება „ენერგეტიკული დამოუკიდებლობისაკენ", რისთვისაც მზად არიან დაუშვან ბურღვა თავის ხელუხლებელ საბადოებში და მილიარდები გასცენ ამ საქმის სუბსიდირებისათვის. ეს არარეალური იმედია: ამერიკას ნავთობი ისე ცოტა აქვს და ხარჯი ისე დიდი აქვს, რომ ამით დამოუკიდებელი ვერ გახდება. მისი ერთადერთი სწორი გზაა, რომ გამოიყენოს მსოფლიო ბაზრების ელასტიურობა, მოახდინოს თავისის კონსერვაცია და ეძებოს ენერგიის ალტერნატიული რესურსები.

ფასების ავარდნით განსაცდელში ვარდებიან არა მხოლოდ მომხმარებლები, არამედ ნავთობის ფირმებიც და მისი მწარმოებელი ქვეყნებიც, რომლებიც დღეს ფულში ბანაობენ. ჯერ ნავთობის ფასებს ეკონომიკური შოკი არ გამოუწვევია მომხმარებელ ქვეყნებში. როცა გამოიწვევს, დაზიანდებიან მწარმოებლებიც და ფირმებიც. გადაუჭრელი რჩება საკუთარი კლებადი რეზერვების შევსების ამოცანა. ალასკისა და ჩრდილოეთი ზღვის მარაგები სწრაფად დნება. თუ ფირმებს ხანგრძლივი გადარჩენა ჰსურთ, ენერგიის სხვა წყარო უნდა მოძებნონ ნავთობის გარდა.

ფასების ზრდა არც მწარმოებელი ქვეყნებისათვისაა ცალსახად კარგი: შემოსავლების ზრდა იწვევს კორუფციასაც და სახელმწიფოს მიერ კერძოთა, მათ შორის — უცხოთა შევიწროების სურვილსაც — იკეტება გზა უცხო პროგრესული ტექნოლოგიებისაკენ. მოქალაქე ვერაფერს იგებს. ამიტომ მათთვის ჯობს ორიენტაცია თავის ეკონომიკათა გამრავალფეროვნებაზე, ენერგეტიკულის ჩათვლით. ეს მათ უკეთ შეამზადებს იმ დღისათვის, როცა შავი ოქრო გამოლევას დაიწყებს.

ჯერჯერობით ნავთობის გამოლევა არ დაწყებულა. პრობლემაა მისი კონცენტრაცია. ნავთობის 2/3 სპარსეთის ყურის 5 ქვეყნის ხელში. ბაზარზე მათი წილის ზრდას შეიძლება მოჰყვეს განხეთქილება, ემბარგო ან კიდევ უარესი არაერთი რამ. სწორი პოლიტიკა მთავრობათა მხრიდან იქნებოდა ფასების თავისუფლება, ნავთობპროდუქტთა შესყიდვის სუბსიდიების მოხსნა და ამ პროდუქტებით ვაჭრობის დაბეგრვა, „მწვანე დაბეგვის" (ეკოლოგიური დაბეგრვა) ჩათვლით. მთავარი ამოცანა მაინც არის ენერგიის ალტერნატიულ წყაროთა ძებნა. ასეთი წყაროები მონახვადია.

ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲡ ᲢᲐᲮᲢᲘᲓᲐᲜ?

ამ თემას THE ECONOMIST-ში ფართო ასპარეზი აქვს. სამოცი წელია, ამერიკის საგარეო პოლიტიკის „ვარსკვლავია“ საუდის არაბეთთან მეგობრობა. ‖ მსოფლიო ომის დამთავებისთანავე ამერიკელებმა შესთავაზეს სამხედრო დაცვა სამეფო ოჯახს და სანაცვლოდ მიიღეს შედარებით იაფი ნავთობის გარანტირებული ნაკადი ამ „უდაბნოს სამეფოდან“. ეს მექანიზმი საუკეთესოდ მუშაობდა. ნავთობის მწარმოებელი კარტელის — „ოპეკის“ — ქვეყნებში საუდის არაბთა ხმა ყოველთვის ზომიერებისაკენ მომწოდებლად ულერდა.

სამწუხაროდ, ეს ჰარმონია შეილახა ბუშის მორიგეობის დროს: მიუხედავად ბუშების ოჯახის განთქმული სიახლოვისა არაბთა სამეფო სახლთან, ნავთობის ფასები ავარდა და კვლავ ზევით-ზევით მიცოცავს (ჯერ კიდევ 1998 წელს ფასი იყო 10 დოლარი ბარელზე). ბენზინი გაძვირებულია სამჯერ და მეტად. თუმცა ამერიკელები ჯერაც მოელიან იმ დროის დაბრუნებას, როცა გალონი 1 დოლარი ღირდა.

ბენზინის ფასის ზრდას თავისთავად მოსდევს ბუშის პოპულარობის კლება. სიამტკბილობა დარღვეულია: ბუში ღიად საყვედურობს საუდის არაბებს ფასების გამო. ეს უკანასკნელნი კი ფარული გულისტკივილით ითმენენ მათი მისამართით მიმდინარე ბრალდებებს, როგორც ტერორისტთა მფარველებისა და გამჩენების, გამო. მოლაპარაკებები ამ ორ მხარეს შორის არ წყდება და არაბთა როლი აქ მდგომარეობს პირობის მიცემაში, რომ ამდენსა და ამდენს დახარჯავენ ნავთობის მოპოვების გადიდებისათვის. მაგრამ არის ამ ორი გიგანტის შემღვრეული სიამტკბილობა იმის ნიშანი, რომ „ნავთობის ღერძი“ — მსოფლიოს ყველა დიდი მწარმოებლის და ყველაზე დიდი მომხმარებლის კავშირი — ძველებურად იმუშავებს? არ არის! და ამის მთავარი მიზეზია დიდწილად მოულოდნელი კუთხიდან დარტყმა. რატომ მოულოდნელი? იმიტომ, რომ მწვანეთა გოდეებაზე, იაფი ბენზინი გარემოს აფუჭებსო, მაიკლ მურის ბრიგადის ანტიბუშურ კამპანიაზე და ნეო-კონსერვატორულ გამოხდომებზე „ტერორისტი“ საუდელი არაბების წინააღმდეგ ამერიკულ ადმინისტრაციას პასუხები დიდი ხანია მონახული აქვს, მაგრამ არა აქვს მონახული ახალი მრავალრიცხოვანი პრაგმატისტული ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ღერძს ტექნოლოგიური მხრიდან უტევენ. ესენი მოითხოვენ ნავთობზე ორიენტაციისათვის ზურგის შექცევას. „კლდოვან მთათა ინსტიტუტი“, რომლის დაარსებაში პენტაგონსაც უდევს წილი, მოითხოვს საკუთარი საწვავის წარმოებისათვის „აგრესიულ დაბანდებას“ ბიოსაწვავის წარმოების ტექნოლოგიებში, რადიკალურად უფრო ეკონომიური ავტოძრავების განვითარებას და რიგ სხვა სიახლეებს. „ენერგეტიკული პოლიტიკის ეროვნულმა კომისიამ“, რომელიც ორივე მთავარი პარტიის პოლიტიკოსებითაა დაკომპლექტებული, აგრეთვე მოითხოვს ენერგიის საკუთარი წყაროების განვითარებას. ყველაზე მკაცრ შემოტევას შეიცავს ოცზე მეტი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ინტელექტუალის წერილი ბუშისადმი, სადაც ნათქვამია, რომ „იმპორტირებულ ნავთობზე დამოკიდებულობა საფრთხეს უქმნის შინაურ უშიშროებას“, რის გამოც აუცილებელია ნავთობის „სუფთა შინაურ შემცვლელთა განვითარება და ჩვენი სატრანსპორტო სისტემის ეფექტიანობის გაზრდა“. ამ ჯგუფის საყურადღებო თვისება ისაა, რომ იგი სანახევროდ ყოფილი პოლიტიკური „ქორებისაგან“ და სანახევროდ გულყრისათვის გამზადებული მწვანეებისაგან შედგება. „გეო-მწვანეებისაგან“ მოდის გაფრთხილებაც, რომ ამერიკულ-საუდის არაბული „ნავთობის ღერძის“ არსებული სისტემა გამრყვნელად მოქმედებს სიტუაციაზე, როცა ნავთობში მიღებული დოლარები საბოლოოდ ტერორისტების ფონდებში მიდის. წერილს ხელს აწერს რეიგანის ყოფილი მრჩეველიც უშიშროების დარგში მაკ ფარლეინი.

მაგრამ კონგრესი არ არის განწყობილი, რომ მიიღოს ეს ინოვაციური იდეები და „ნავთობის ჩვევას“ წიხლი ჰკრას. პირიქით: იგი იღებს და იღებს კანონებს, რომლებიც სანავთობე და გაზის ბიზნესისათვის უზარმაზარ სუბსიდიებს შეიცავს, აგრეთვე შეიცავს ხარჯებს იაფი უსაფრთხოებისათვის ბირთვულ ინდუსტრიაში. ამავე დროს, მას არ ჰსურს ამოქოლოს ის დიდი ხვრელი, რომლითაც გადის საწვავი სპორტული მანქანების შეუზღუდავი სიმძლავრის გამო. თვით ბუშის აზრი საჭირო რეფორმების შესახებ, ჟურნალის სიტყვით, განსხვავდება კონგრესის პოზიციისაგან, მაგრამ არც თუ დიდად. მაგალითად, იგი ხმაროს გამოთქმას „ენერგეტიკული დამოუკიდებლობა“. ჯამში, „ნავთობის ბეჰემოთი“ თავის შენარჩუნებას ფიქრობს, მაგრამ მასზე შეტევები ძალიან დიდია და სულ ახალ-ახალი მხრიდან მოდის. ფერმერებშიც კი შეიქმნა აქტივისტების ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, ნაცვლად მარცვლეულისა, რომელსაც მოგება არ მოაქვს, თავის მინდვრებში ხომ არ „დათესოს“ ქარის ენერგიაზე დამყარებული ელექტროგენერატორები. თუ ეს მოძრაობა ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვისაკენ იმავე მიმართულებით და ტემპით ივლის, რომლითაც ახლა მიდის, ამას „ნავთობის ღერძისათვის“ ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება.

ᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

მონტენეგროს მეფე ნიკოლა

მონტონეგროელები (ჩერნოგორიელები) ხშირად ხუმრობენ „ურუსეთოდ ნახევარი ვაგონი ხალხი ვართ, რუსეთიანად — ას მილიონზე მეტი“. ეს მათი ეროვნული აფორიზმია. ზოგჯერ რუსეთმა მათდამი სიყვერულის განახლება იცის. ალექსანდრე III აქაურ მეფეს — ნიკოლას — უწოდებდა „რუსეთის ერთადერთ ჭეშმარიტსა და ერთგულ მეგობარს“. 1900-იან წლებში რუსეთს რომ იაპონიასთან ომი ჰქონდა, მონტენეგრომ ჯარისკაცები გაუგზავნა.

ახლა რუსები დაბრუნდნენ, მაგრამ არაერთ მონტენეგროელს ეს აღიზიანებს. მაღალ გორაზე შემომჯდარი და ზღვის გადამყურე ვილა, სადაც მონტენეგროსა და რუსეთის დროშები ერთად ფრიალებს, რუსულ ინტერესთა საკუთრებაშია. სანაპიროზე ბულდოზერები გარემოს უქმნიან რუსული ფირმების ნაყიდ ოტელებს. ტურისტების სულ ცოტა 11% რუსეთიდან მოდის.

1990-იან წლებში, როცა მონტენეგრო სანქციების ქვეშ იმყოფებოდა, გარკვეული რუსები სიამოვნებით აკოტრებდნენ მას, შემდეგ დაიწყო რუბლების შემოდენა და საარდადეგო სახლების ყიდვა. დღეს რუსი ოლიგარქი ოლეგ დერიპასკა დაეძებს სამეფო ბრილიანტებს. მას ჰსურს ალუმინის ქარხნის ყიდვა, რომელსაც ინიციალების მიხედვით „კაპ“ ჰქვია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებით, მასზე მოდის მონტენეგროს ექსპორტის 80%, დასაქმების 30% (მის დაქვემდებარებულ საწარმოებთან ერთად) და მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 40%.

დღევანდელი რუსები ისე მოჯადოებულნი აღარ არიან, როგორც მეფე ალექსანდრე იყო. რუსეთის კონსული ვანიევი გაცოფებულია იმის გამო, რომ ამერიკელი გადამდგარი დიპლომატი აქაურებს რჩევებს აძლევს „კაპის“ გაპრივატების თაობაზე. ეს მოსკოვის კაცი სარკასტულად აღნიშნავს, „არ ვიცოდი, თუ ეს ქვეყანა ამერიკის 51-ე შტატი იყოო“ და აპირებს საქმის კურსში ჩააყენოს თავისი ბატონები.

ამ განცხადებამ მონტენეგროელთა სიამაყე ხელყო. მაგრამ მეორე დღესვე დერიპასკამ მაცდური მოლაპარაკება გააბა პრემიერ-მინისტრთან, რომელიც აპირებს, ეს ქვეყანა სერბიას მოსწყვიტოს და დამოუკიდებელი გახადოს. მონტენეგროელები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ არ არსებობს უკეთესი გარიგება, ვიდრე რუსი ოლიგარქისათვის ამ ქარხნის მიყიდვა 104 მლნ ევროდ, რასაც რუსი იძლევა. მისი ალუმინის ჯგუფი უდიდესთაგანია მსოფლიოში და სასამართლოსთან პრობლემები აქვს მრავალ ქვეყანაში.

ეს საწარმო ეკოლოგიური კოშმარია. ათობით მილიონები უნდა მის მიყვანას ევროპულ სტანდარტებამდე. რუსების წინადადებაში გათვალისწინებულია ამისათვის 20 მლნ დოლარი, მაგრამ აქაურებს უნდათ უფრო კონკრეტულად ცოდნა, თუ რას ნიშნავს ეს. მონტენეგროელებს აფიქრებთ, რა მოხდება, თუ პუტინმა ისევე მოუსვა ხელი ამ ალუმინის ჯგუფს, როგორც ხოდორკოვსკისა და მის ნაკბრობს ჯგუფს მოუსვა. „მაშინ ხომ ნახევარი მონტენეგრო რუსეთის სახელმწიფოს საკუთრება იქნება“.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲯᲘᲰᲐᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ

(ზოგი გაქრა, ზოგი გაქრება, მაგრამ ტერორიზმი არ გაქრება)

ინტელექტითა და ობიექტურობით გამორჩეული ჟურნალი The Economist, ისევე როგორც ბრიტანული პრესა საერთოდ, სხვა განწყობით უყურებს დღევანდელ მსოფლიოში ტერორიზმის აყვავებას, ვიდრე მსოფლიოს დიდი ნაწილი ჯერ ერთი, ამ პრესაში ნაკლები

ბაკუნინი | კროპოტნიკი

შეუთავსებლობაა, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, იმას შორის, რასაც იგი ფიქრობს და რასაც იგი ამბობს. მეორეც, დიდი სიმწიფე და ისტორიული გამოცდილება საზოგადოების შენებაში და კერძოდ მის დემოკრატიულსა და ამავე დროს მაქსიმალურ ეფექტიან შენებაში ბრიტანელებს საშუალებას აძლევს, მშვიდად შეჰხედონ ვითარებას იმ პერსპექტივის ჩათვლით, რომ ამიერიდან მათ დიდი ხნით მოუხდებათ ბომბების მეზობლობაში და აფეთქების გრიალში ცხოვრება. გარემოებათა მიერ შექმნილ არჩევანში „უსაფრთხოება თუ თავისუფლება (ანუ არადემოკრატიული პროფილაქტიკური ზომების არმიღება)“? ბრიტანელებმა უკვე ცალსახად აირჩიეს თავისუფლება განსხვავებით ამერიკელებისაგან, რომლებმაც, ბრიტანული პრესის დიდი ნაწილის შეფასებით, უპირატესობა უსაფრთხოებას მისცეს. ბრიტანელებმა ამავე ჟურნალის შთაბეჭდილებით (რომელიც „საქართველოს“ მკითხველს უკვე გავაცანით), მყარად გაიცნობიერეს ორი რამ: რომ მათ ცხოვრება მოუხდებათ ტერაქტებისაგან თავის დაცვისა და მუდმივი დაძაბვის პირობებში და რომ მათ არ ჰმართებთ, — და უფლებაც არა აქვთ საკუთარი ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე, — ამის გამო თავისი კანონმდებლობისა და ცხოვრების წესის დედემოკრატიზაცია მოახდინონ.

მკითხველს ვაწოდებთ (შემოკლებით) ჟურნალის ორ წერილს ამ თემაზე.

ერთის მიხედვით, ანარქიტებს, რომელთაც მთავრობა არ სწამდათ, არაფერი ან ცოტა აქვთ საერთო ჯიჰადისტებთან (მუსლიმური „საღვთიო ომის მებრძოლებთან“), რომელთაც მკაცრი მთავრობის შექმნა სურთ. საერთო ისაა, რომ ორივეს თეორეტიკოსები წეროსანნი და გამწყრალნი იყვნენ და ადვილად ჰკიდებდნენ ხელს ბომბს. მაგრამ მათ უფრო არსებითი ურთიერთმსგავსებაც აქვთ. ამიტომ იმ ერთი მუჭა ფანატიკოსების მოქმედებიდან და ბედიდან, რომლებიც ცხრა წლის წინ მოღვაწეობდნენ და რომელთა იდეოლოგიის ფასი დღეს ნოლია, შეგვიძლია, სულ ცოტა, ორი გაკვეთილი გამოვიტანოთ.

პირველი ისაა, რომ რეპრესია, გაძევება და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ტერორზმს ვერაფერს აკლებს. ეს მეთოდები დიდი მონდომებით იყო ნაცადი XIX საუკუნის დამლევს, როცა ანარქისტები ევროპასა და ნაწილობრივ ამერიკას თავზარს სცემდნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ანარქისტებს შეეწირნენ იმპერატორსა, მეფე, პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი ისეთ მოწერსიგებულ ქვეყნებში, როგორიც იყო ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და აშშ. დიდი იყო ნაკლებ ამაღლებულ უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლიც. მკვლელობა იმდენად საშიში იყო, რომ იტალიის მეფე უმბერტომ, როცა გვერდზე გახტა და ამით ტერორისტის დაშნას გადაურჩა, იხუმრა „რას იზამ, ეს არის ხელობასთან დაკავშირებული რისკი“. შემდეგში იგი ტყვიით მოკლეს. მაშინაც ისევე, როგორც დღეს, საზოგადოების მოთხოვნას, რომ ზომები მიეღოთ, მთავრობები პასუხობდნენ ყველა იმ პირთა კრიმინალიზაციით (დამნაშავედ ჩათვლით), ვინც ძალადობას იქადაგებდა, ან მას ლმობიერად მოეკიდებოდა. თუ საქმე უცხოელს ეხებოდა, მას ქვეყანაში არ აჭაჭანებდნენ. ესპანეთმა შემოიღო სამხედრო ტრიბუნალი ამგვარი დამნაშავეებისათვის. ინგლისი, თავისი შემწყნარებლობის დიდი ტრადიციით, მრავალი კონტინენტური რადიკალის ბინად იქცა, მათ შორის გერმანიიდან გაძევებულთათვისაც კაიზერ ვილჰელმ II-ზე 1878 წელს განხორციელებული თავდასხმის გამო. მაგრამ ინგლისს ეს ბომბების აფეთქებები არ შეეხო სხვა ქვეყნებს კი შეეხო. ესპანეთში, რომელშიც განსაკუთრებით მკაცრი წამებით პასუხობდნენ ამგვარ დანაშაულს, ბევრად მეტი შემთხვევები იყო მისი, ვიდრე სხვაგან. მაგრამ ამ გარემოებებიდან ცოტა დასკვნები გაკეთდა. ტონი ბლეერის მიერ 5 აგვისტოს (ტერაქტის საპასუხოდ) გამოცხადებული ზომები თითქმის იგივეა, რაც საფრანგეთმა მიიღო 1893 წელს, როცა პარლამენტში ბომბი შეაგდეს.

თუმცა ბრიტანელებიც და ამერიკელებიც ამბობენ, რომ ახალი თავდასხმა გარდაუვალია, მაინც ყოველ ახალ თავდასხმას აქ მოჰყვება სიფრთხილის ახალი ზომა, თითქოს, ასეთი ზომები ადრე რომ მიღებულიყო, აგვაცილებდა იმ ახალი ტერაქტის განხორციელებას. ეს არ მოხდებოდა, რადგან, ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომელთა დამარცხება შესაძლებელია, ტერორიზმის დამარცხება შეუძლებელია. ეს გახლავთ ის მეორე გაკვეთილი, რომელიც ანარქისტთა ისტორიისაგან უნდა მივიღოთ. ხანდახან ამ ტიპის ადამიანებს იჭერენ მანამდე, სანამ ისინი თავის საქმეს მოახდენდნენ. ეს დაზვერვითი და პოლიტიკური



ანარქისტების აღჭურვილობა

მუშაობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. შესაძლოა, ასეთ ადამიანთა რიცხვი ნაკლები იქნებოდა, თუკი შემცირდებოდა მათი უკმაყოფილების საფუძველი, რაც მათი თავდასხმის გამართლებისთვისაა გამოყენებული. ეს გვავალებს პოლიტიკური ზომების მიღებას და უეჭველია, რომ საზოგადოება მოითხოვს უსაფრთხოების გარანტიის განახლებას, ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა პატიოსანი ახსნა: რომ ტერორიზმი არ ემუქრება არც ერთ დასავლურ მთავრობას, ხოლო უსამართლო ნაცვალგება, პოლიციის მიერ განხორციელებული აჩქარებითა და ნერვული აგზნების პირობებში, გამოიწვევს კიდევ ახალ ძალადობას და რომ კიდევ ახალი შეზღუდვები ვერ მოიტანს უსაფრთხოების ახალ ხარისხს. პატიოსანი ახსნა და მარტივი ისტორიის გათვალისწინება იმასაც გულისხმობს, რომ ტერორის ეს ტალღა გადაივლის, ისევე როგორც გადაიარა ანარქიზმამ, მაგრამ ტერორი არ გადაივლის, იგი არ გაქრება მანამდე, სანამ იარსებებენ უცნაური ადამიანები, უცნაური იდეებით შეპყრობილი ჯიჰადისტები წავლენ, მაგრამ მათ ადგილს დაიჭერენ სხვანი.

რეპრესიებმა დიდად ვერ შეაჩერა ანარქისტების ძალადობა, მაგრამ მსოფლიომ თავის გზა განაგრძო და მათი მოძრაობა დაჭკნა.

ბომბები, წერები და ჩანთა ფართო მასის წარმოდგენაში იმათი გარეგნული ნიშნებია, ვინც დღეს დროდადრო აფეთქებებით აზანზარებს დასავლეთის ქალაქებს. ასე იყო ათი წლის წინათაც. ანარქისტ-

დასასრული მე-16 გვერდზე

საქართველო
ანარქისტები, ჯიჰადისტები, ტერორისტები

(ზოგი გაქრა, ზოგი გაქრება, მაგრამ ტერორიზმი არ გაქრება)

ტერორისტებს ხალხის ფანტაზია ბომბიანს, წვეროსანსა და შიშინა ამფეთქებლით აღჭურვილს ხედავდა. ტლეევანდელს ჰგავს მაშინდელი ტერორის ორი ტალღით გამოწვეული შიშიც, მასზე რეაგირებაც და სიტუაციის ზოგი სხვა მხარეც. ანარქისტული ძალადობის აფეთქება 1880-იან და 1890-იან წლებში იგრძნო, არაპირდაპირი გზით, ყველა სხვა კონტინენტმაც, ისევე როგორც ტლეს გრძნობს თანამედროვეს. მან იმსხვერპლა ასობით ადამიანი, მათ შორის — მთავრობათა მეთაურები, აღძრა ფართოდ განფენილი შიში და ახალ კანონთა და შეზღუდვათა უდიდესი რაოდენობის პროვოცირება მოახდინა. მაგრამ ამ ტერორმა ჩაიარა, ჯიჰადიზმი თუმცა იმ ტერორიზმის ჩამომავალი არაა, მისი გაგებისთვის მაინც სასარგებლოა ანარქისტულის გათვალისწინება.

ისლამისტებს, კერძოდ — მის ბინ-ლადენისეულ ფრთას თავისი მიზნები აქვს. ზოგი მათგანი — მაგალითად, „დავიბრუნოთ პალესტინა", „ავიღოთ ჩვენი ერის შვილთა სისხლი", „გავაძევოთ ურწმუნოთა არმიები მუჰამედის მიწიდან" — შეიძლება სხვა ჩვეულებრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლოზუნგებიც იყოს. სხვა მიზნები უფრო ფართოა. მაგალითად, „მოვაქციოთ ყველანი ისლამზე", რომელიც, ბინ-ლადენის სიტყვით, არის „სხვათადმი მოწყალების, კაცთა შორის სამართლიანობის, მათთვის მათ ულებათა მინიჭების და ჩაგრულთა და დევნილთა დაცვის რელიგია". ყოველივე აღსრულდება, როცა ყველანი იცხოვრებენ შარიათის სამართლით მართულ ისლამურ სახელმწიფოში, ამიტომაც მტრის წინააღმდეგ მოწამეობრივ ოპერაციებში მონაწილეს მოელის სამოთხე. ანარქისტებს, პირიქით, უნდათ მსოფლიო მართვის გარეშე. მათი პირველი დიდი თეორეტიკოსი პიერ-ჟოზეფ პრუდონი სულაც სახელმწიფოს გაუქმების მომხრე იყო, მაგრამ ამას, მისი აზრით, ქაოსი კი არ მოჰყვებოდა, რასაც საყვედურობენ ხოლმე ანარქიზმს, არამედ, პირიქით ჰარმონიული წესრიგი: სახელმწიფოს ჩაენაცვლებოდა ავტონომიური ჯგუფების და თემების სისტემა, რომელნიც შეკავშირებულნი იქნებოდნენ ხელშეკრულებით და საერთო ინტერესებით კანონთა ნაცვლად. თვითონ პრუდონი ძალადობისაგან შორს მდგარი კაცი იყო და საზოგადოების მმართველად მას მიაჩნდა მისი „ცენტრალური ვარსკვლავი" — სამართლიანობა. თუმცა პრუდონის სიტყვებია „საკუთრება ქურდობაა" — მას სინამდვილეში მიაჩნდა, რომ კაცს უფლება აქვს ჰქონდეს სახლი, მცირედი მიწა და მისი დასამუშავებელი იარაღები. მაგრამ ესეც ზედმეტად მიაჩნდა რუს ნაციონალისტ-რევოლუციონერს და შემდეგ ანარქისტად ქცეულ ბაკუნინს, რომელსაც ჰსურდა წარმოების ყველა საშუალებები საერთო ყოფილიყო. მას მიაჩნდა აგრეთვე, რომ „ნგრევის ვნებაც შემოქმედებითი სტიმულია", რაც მის თვალში ბარიკადებისკენ მოწოდება იყო და არა, უბრალოდ, კაპიტალისტური პრაქტიკის აღწერა, რომელიც ძველ ეკონომიკურ წყობას ანგრევს და მის ნაცვლად ახალს აშენებს. მაგრამ ნგრევისა და მის ნაცვლად ახლის აგების თემა საერთოდ პოპულარული იყო ანარქისტებში და პოპულარულია ჯიჰადისტებშიც.

„რა არის ის ძალა, რომელსაც ადამიანი იდეალისტური ფიქრის საუფლოდან პრაქტიკული ძალადობისაკენ გადაჰყავს? ეს დიდწილად საიდუმლოა, რომლის შესახებაც მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია". მაგრამ ფაქტია, რომ ყოველ რელიგიას და თითქმის ყოველ ფილოსოფიას მიზიდული ჰყავს თავისი მომხრეები, რომელნიც მზად არიან სისხლის დასაღვრელად საკუთარის ჩათვლით. ძალის გამოყენებისათის ეს მზაობა ძნელი გასაგები არ არის ტირანიის, სადიზმისა და ექსპლოატაციის პირისპირ, რომლებიც გარშემო სუფევენ. მაგრამ ანარქიზმმაც და ჯიჰადიზმმაც სისხლისღვრა თავის იდეოლოგიაში შეიტანეს. ყოველ შემთხვევაში, ასე მოიქცნენ მათი ფანატიკური მიმდევრები და ორივენი მზად აღმოჩნდნენ გაამართლონ არა მხოლოდ ჯარისკაცთა მოკვლა, არამედ პოლიტიკოსების, სახელმწიფოს სხვა მოქალაქეებისაც კი".

ანარქისტთა საძმეები

ანარქისტული თეორია იტალიაში გაფორმდა. 1876 წელს ენრიკო მალატესტამ დაწერა: „ამბოხების აქტი, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ სოციალისტური პრინციპები მოქმედებით დაამტკიცოს, პროპაგანდის ყველაზე ქმედითი საშუალებაა". „საქმით პროპაგანდის" ეს თეორია სიხარულით აიტაცა და განაგრძო მეორე დიდმა ანარქისტმა, მოაზროვნემ, რუსმა თავადმა კროპოტკინმა, რომელიც რევოლუციონერის განსახიერებად ჰყავდათ ევროპისა და ამერიკის რადიკალურ პეწისმაძიებელ წრეებს.

მართლაც ასეთი თეორია იყო უწყინარი იდეალისტების გადამქცევი მკვლელებად თუ იგი მხოლოდ საბაბს აძლევდა ფსიქოპატებს, მარტივი ჭკუის ადამიანებს და რომანტიკოსებს, რათა მკვლელობები ჩაედინათ, ნათელი არ არის. მაგრამ მკვლელობები რომ ხდებიდა, სადავო არ არის. მიყოლებით მოკლეს პრეზიდენტი კარნო საფრანგეთში (1899), პრემიერ-მინისტრი კანავა დე კასტელიო (1897), იმპერატრისა ელისაბედი ავსტრიაში (1898), მეფე უმბერტო იტალიაში (1900), პრეზიდენტი მაკ-კინლი შეერთებულ შტატებში (1901) და პრემიერ-მინისტრი მენენდესი ესპანეთში (1912). ეს მკვლელობები ალყაიდას აქტებზე მეტად ჰგავს რუსი ხალხოსნებისას, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „ყველაზე დიდი მოხელეების მოკვლა ძირს უთხრის **მთავრობის პრესტიჟს და აღვიძებს** რევოლუციურ სულისკვეთებას" (მართლაც მოკლეს ალექსანდრე II 1881). სინამდვილეში ამგვარ მკვლელობათა პრაქტიკა უძველესია. იგი პრაქტიკაში ჰქონდათ ასასინების შიიტურ სექტას XI-XIII საუკუნეებში, რომლებსაც თავისი მტრების მოკვლა ჰაშიშით გაბრუებულ ადამიანთა ხელით (აქედან — სიტყვა „ასასინი" — მკვლელი) თავის რელიგიურ მოვალეობად მიაჩნდათ.

ბინ-ლადენი დღეს სიამოვნებით დახოცავდა პრეზიდენტებს და პრემიერ-მინისტრებს, მაგრამ ისინი დღეს აღარ სხდებიან გაზეთის წასაკითხად ოტელის ტერასაზე, სადაც სამუშაოდაკარგულ იტალიელ მბეჭდავს შეუძლია მიადგეს, რევოლვერით ჯიბეში, და ტყვია დაახალოს, როგორც დაახალეს კანოვასს, და არც მადრიდის ქუჩებში დასეირნობენ დაცვის გარეშე, რათა წიგნის ვიტრინები ათვალიერონ, როგორც კანალესი ათვალიერებდა, როცა მოკლეს, ასე რომ, ბინ-ლადენი იძულებულია დაკმაყოფილდეს განცხადებით 11 სექტემბერს ტერაქტის შემდეგ: „ყოვლად ძლიერმა ღმერთმა შეერთებულ შტატებს დარტყა ყველაზე მონყლვად ადგილას, მან გაანადგურა მათი ყველაზე დიდი შენობები. შეერთებული შტატები შიშმა მოიცვა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის და ჩრდილოეთიდან სამხრეთამდის". ანარქისტებიც, ჯიჰადისტებივით, ტერორის ნაკლებად შერჩევითს აქტებს მიჰმართავდნენ. მათი გაზეთის რედაქტორი 1886 წელს ჩიკაგოში წერდა, „ერთი გირვანქა დინამიტი ერთ გროვა ტყვიებად ღირსო" და მკითხველები მას ეთანხმებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ნასროლი ბომბით მოკლეს შვიდი პოლიციელი, რომელიც გაფიცულთა შეკრებას შლიდა.

თავისი „დინამიტაირები" (მედინამიტეები) ჰყავდა საფრანგეთსაც. 1892 წელს მათ ბომბი ააფეთქეს რესტორანში, მეორეთი დაიმიზნეს მაღაროს პატრონთა ოფისს და მოკლეს ექვსი პოლიციელი, რის შედეგადაც გავარდა ხმა, რომ მოწამლულია წყალსადენი, დანაღმულია ყველა ეკლესია და ანარქისტები ჩასაფრებულნი არიან ყველა კუთხეში. ერთი წლის შემდეგ ერთმა ახალგაზრდა ანარქისტმა, რომელმაც ვერ არჩინა თავისი თავი, ქალიშვილი და მამაკაცი საყვარელი, გადაწყვიტა თავის მოკვლა და იმავე დროს პროტესტის გამოხატვა. იგი მზად იყო სიკვდილისათვის, მაგრამ არა მკვლელობისათვის, ამიტომ ერთი ბღუჯა ლურსმები და ასაფეთქებელი ნივთიერებების მცირე მუხტი ქვაბში ჩადო და ხალხისათვის განკუთვნილი ქანდარიდან პარლამენტის დარბაზში ჩააგდო. თუმცა არავინ მომკვდარა, იგი სიკვდილით დასაჯეს. ხოლო შემდეგ მისი სისხლი აიღეს სხვა ბომბით, რომელიც კაფეში აფეთქდა, ერთი მუშტარი მოკლა, 19 დააშავა. ამის ჩამდენი, რომელსაც მიზნად ჰქონდა „მასების გამოღვიძება", მხოლოდ იმას ნანობდა, რომ მსხვერპლი ცოტა იყო. პოპულარული გახდა სიმღერა „მოვა დრო, მოვა დრო, ყველა ბურჟუა ბომბს მიიღებს" და მას მრავალნი ეთანხმებოდნენ.

სხვა ქვეყნებშიც იგივე ხდებოდა. ბომბი ჩააგდეს მონარქისტების პარადზე ფლორენციაში (1878), ორი დღის შემდეგ მეორე ბომბი პიზელ **ბრბოში. 1893 წელს ორი ბომბი ჩააგდეს პრემიერის დროს** ბარსელონას ოპერაში და 22 მყურებელი მოკლეს. ერთი წლის შემდეგ აფეთქდა (გაუფრთხილებლობით) ტერორისტი გრინვიჩ-პარკში, — როგორც ჩანს, იგი ობსერვატორიისაკენ მიდიოდა. აურაცხელი თავდასხმები მოხდა დიდ ფიგურებზე, როგორიც იყო ესპანეთის მეფე ალფონსო (1878), კაიზერი ვილჰელმ-I (1878), კარნეგის ბიზნეს პარტნერზე პიტსბურგში (1892), სერბულ მონასტერზე (პარიზი, 1893) და მეფე ალფონსო XIII-ზე თავისი ინგლისელი საცოლითურთ მათი ქორწინების დღეს (1906), რამაც 20 დამსწრე იმსხვერპლა.

ტერორისტული აქტები პოლიტიკური ფიგურების მიმართ არც მანამდე ყოფილა უცხო ხილი: მოკლული იყო ამერიკის ორი პრეზიდენტი: ლინკოლნი და გარფილდი (1865, 1881), შვიდჯერ ხელყვეს დედოფალ ვიქტორიას სიცოცხლე და არც ერთი ეს აქტი არ ეკუთვნოდა ანარქისტებს. მიუხედავად ამისა, მთავრობებს არ შეეძლოთ ზომების არმილება ანარქისტების წინააღმდეგ. გერმანიის კაიზერზე მეორე თავდასხმის შემდეგ დაიჭირეს ხუთასი კაცი, ამათი მნიშვნელოვანი ნაწილი — თავდასხმის „მონაწილეობისათვის". ესპანეთმა უმისოდაც იცოდა ეჭვმიტანილთა წამება, ახლა მან ახალი კანონებიც მიიღო და სამხედრო ტრიბუნალი დააწესა ყველა დანაშაულისათვის, რომელშიც გამოიყენებოდა ასაფეთქებელი ნივთიერებები. ტრიბუნალის სხდომებზე დასწრების უფლება მხოლოდ ოფიცრებს ეძლეოდათ. საფრანგეთმა პარლამენტში ბომბის ჩაგდების შემდეგ ორიათასი დაპატიერების ორდერი გასცა, დაარბია ანარქისტული კაფეები და დახურა გაზეთები. ბომბის ჩამგდები დაიჭირეს და იმ დღესვე მიუსაჯეს სიკვდილი. აპოლოგეტს, რომელმაც თქვა, არავის შეენანება პრეზიდენტი, თუ იგი შეწყალებაზე უარს იტყვის და ამის გამო თვითონაც მოკვდებაო (მართლაც ასე მოხდა), ორი წელი მიუსაჯეს „მკვლელობის ჩასადენად წაქეზებისათვის". საფრანგეთის პარლამენტმა დანაშაულად აღიარა არათუ წაქეზება ამბოხებისაკენ, არამედ მისი გამართლებაც. „ბოროტმოქმედთა ასოციაციების" განსაზღვრა დანესდა მათი ზრახვის და არა მათი ქმედებისდა მიხედვით, აიკრძალა ყოველგვარი ანარქისტული პროპაგანდა. ამის მსგავსადვე ტონი ბლეირმა განაცხადა, რომ დანაშაულად ჩაითვლება „შემრიგებლური დამოკიდებულება" და მისი „განდიდება" არა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, „ექსტემიზმისათვის წაქეზება", „სიძულვილის გაღვივება", „ძალადობის გამოყენება პიროვნების რწმენის გაძლიერებისათვის", ან ასეთი „ძალადობის გამართლება". ბუნებრივია, რომ მოქალაქენი, რომლებიც ასეთ „ექსტრემიზმში" იქნებიან გადაჭრილნი, გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეობას დაკარგავენ.

ჯიჰადისტები საზღვრებს კვეთენ უცხოეთში მიღებული ინდოქტრინაციით (იდეოლოგიური ჩაგონებით) დატვირთულები. ასე ხდებოდა ანარქისტების შემთხვევაშიც: თუმცა მათი ტერაქტები, როგორც წესი, მარტოობაში იგეგმებოდა ხოლმე, მათ ბევრი იდეები შემოჰქონდათ ევროპაში უცხოეთიდან რუსეთის ჩათვლით, სადაც ბაკუნინი და კროპოტკინი იყვნენ შობილნი. იტალიამ, პირიქით, მრავალი ასასინი (მკვლელი) შობა. მათი მოკლულნი იყვნენ, მაგალითად, კარნო, კანოვასი, იმპერატრისა ელისაბედი და მეფე უმბერტო. იტალია აწარმოებდა უტოპისტთა ექსპორტსაც, რომელბმაც, მაგალითად, დააარსეს ანარქისტული კოლონია ბრაზილიაში, გერმანიიდანაც მრავალი ფანატიკოსი გავიდა, მათ შორის ებრაელი ანარქისტები, რომელბმაც თავი მოიყარეს ლონდონში, საფრანგეთიდან **იყო ცნობილი** თეორეტიკოსი ელიზე რეკლიუ, რომელიც პროფესორად იყო ბრიუსელში. ანარქისტების მთავარი მასპინძელი ქვეყნები იყვნენ ინგლისი და შვეიცარია. საინტერესოა, რომ ბელგიამ, ბრიტანეთმა და შვეიცარიამ 1898 წელს უარი უთხრეს თავისი ანარქისტი მოქალაქეების მაძიებელ ქვეყნებს მათთვის ეჭვმიტანილთა გადაცემაზე, თუმცა მანამდე, 1893 წელს ინგლისი იძულებული გახდა აეკრძალა ანარქისტთა ღია კრებები იმის გამო, რომ დიდი ჟურნალისტური შეტევა იყო ლიბერალურ შინაგან საქმეთა მდივანზე ასკვიტზე, რომელმაც ნება დართო ანარქისტული მიტინგის ჩატარებას ჩიკაგოს ჰაიმარკეტის „მარტვილთა" მოსაგონარად.

ანარქისტთა უმრავლესობა, ისევე როგორც ისლამისტებისა, პირადად მშვიდობიანი იყო. საინტერესოა, რომ პირველთა და მეორეთა არამშვიდობიანი უმცირესობის არგუმენტაცია უდანაშაულოთა ხოცვის სასარგებლოდ ერთმანეთს თანხვდება. ანარქისტი ემილ ანრი, რომელმაც ბომბი დადო კაფეში, თავის ქმედებას ასე ამართლებს, ყველა, ვინც იჯდა, „იყო არსებული წესრიგით კმაყოფილი, ყველა — თანამოსაქმე და მსახური საკუთრებისა (ასომთავრულით.რედ.) და სახელმწიფოსი (ასომთავრული.რედ). არ არსებობს უდანაშაულო ბურჟუა". ბინ-ლადენი 2002 წელს თავის "წერილში ამერიკას" ასაბუთებს თავის აგრესიას სამოქალაქოთა წინააღმდეგ იმ დანაშაულთა გამო, რომელიც მათარ ჩაუდენიათ: „მათ იმით დაიმსახურეს სიკვდილი, რომ, როგორც ამერიკელმა მოქალაქეებმა, აირჩიეს თავისი მთავრობა თავისი თავისუფალი ნებით მოახდინეს არჩევანი, რომელიც გამოდინარეობდა მათი თანხმობიდან ამ მთავრობის პოლიტიკასთან".

ჟურნალი კითხვას სვამს: ანარქისტი ტერორისტები იყვნენ ადამიანები, რომლებსაც თანაგრძნობის თანდაყოლილი დეფექტი და დამახინჯებული მორალური გრძნობა ჰქონდათ. მათ ეს თვისებები სახეზე არ ეწერათ, ამიტომ ძნელი იყო მათი აღმოჩენა და შეუძლებელი — მათი შეჩერება. მაშ რატომ გადაიარა ტერაქტის ამ ტალღამ? მთავარი მიზეზი, ჟურნალის აზრით, ალბათ, იყო პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის რევოლუცია, ომი ფაშიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ და სხვა დიდი მოვლენები, რომელებმაც ყურადღება ჩანთქა. მაგრამ მეორე მიზეზი იყო ის, რომ ანარქისტთა უფრო გონიერმა ნაწილმა დაინახა, რომ ტერორიზმი იშვიათად აღწევს დასახულ მიზანს — მსგავსად იმისა, როგორც ეს ამ ცოტა ხნის წინ აღიარა ირლანდიურმა IRA-მ. მაგრამ ტერორიზმი, ჟურნალის აზრით, არ გამქრალა. მან მხოლოდ სახე იცვალა. ანარქისტები შეცვალეს ფენიანებმა, სერბმა ნაციონალისტებმა, ბოლშევიკებმა, დაშნაკებმა, პოლონეთის, მაკედონიისა და ინდოეთის ნაციონალისტებმა, ფაშისტებმა, სიონისტებმა, მაოისტებმა, გევარისტებმა, შავმა პანტერებმა, წითელმა ბრიგადებმა, წითელი არმიის ფრაქციებმა, პალესტინელებმა და ალ-ყაიდელებმაც კი. ამათში ცოტა ვინმე თუ იზიარებს ანარქისტების მიზნებს, მაგრამ ყველას აქვს შეთვისებული ცოტა რამ მაინც მათი ტაქტიკისა და იდეებისაგან. „მაგრამ მსოფლიომ ცხოვრება განაგრძო, ალბათ განაგრძობს იმ შემთხვევაშიც, თუ გუშინდელი „მედინამიტეები" ხვალ „მეპლუტონიუმეებად" იქცევიან. ტერორიზმი, საფიქრებელია, ვერ აღმოიფხვრება. მანამდე, სანამ იარსებებენ ზემოხსენებულ ტიპის ადამიანები, (რომელთაც თანაგრძნობის თანდაყოლილი დეფიქტი და დამახინჯებული მორალური გრძნობა აქვთ) იარსებებს მათი გაღიზიანებისათვის საკმარისი მიზეზებიც და ამიტომ ადგილი ექნება მათ მოქმედებასაც მათი თანამოქალაქეების დაშინების მიზნით".

რედაქციისაგან. ჟურნალს, რომელიც მუდამ ზუსტია ფაქტების მიმართ, ამჯერად მცირედი უზუსტობა აქვს დაშვებული: ბოლშევიკები ხელისუფლების აღებამდე უარყოფდნენ ტერორს (რადგან ასპროცენტიანი თავგანწირვისათვის მზადმყოფი ადამიანები არ ჰყავდათ), მათ „წითელი ტერორი" გამოაცხადეს მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ხელისუფლება ჰქონდათ და შეეძლოთ თავისი მოწინააღმდეგეების ხოცვა დახვრეტის ფორმით. ჟურნალს განუხილავად აქვს დატოვებული ტერორის ის სახეც, რომელიც მხოლოდ დამნაშავეს ეხება და განაჩენს აღსრულების სახე აქვს (ესეერი ტერორისტები, მაგალითად, არ ესროდნენ თავის მსხვერპლს, სანამ პარტიის არგუმენტირებულ განაჩენს არ ნაუკითხავდნენ), არ იხილავს იმ შემთხვევებსაც, როდესაც ტერორიზმს საბრძოლო ოპერაციის სახე აქვს და სტრატეგიის ეფექტური ელემენტია (მაგალითად, საქართველოში 1906-1907 წლებში, როცა მიმდინარეობდა ანგარიშსწორება 1905 წლის რევოლიუციის მონაწილეებთან, პროკურორები ვერ ბედავდნენ სასიკდილო განაჩენის მოთხოვნას და მოსამართლეები — გამოტანას, რადგან ეშინოდათ დასჯისა ტერორისტების მიერ. იხ. შ. შავიშვილის მოგონებები, რომელიც ახლახან გამოვიდა ქართულ ენაზე. შვეიცარიაში, გამოცემულია 1950-წლებში ფრანგულ ენაზე). თქმული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ: ჟურნალის პუბლიკაციას ამ შემთხვევაში ანალიტიკურთან ერთად პედაგოგიურ-შემაგონებელი, ინგლისში მოქმედი პოტენციური ტერაქტების შემაკავებელი მიზანიც აქვს.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს აგებს. ავტორი აგებს.